# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 9 ივნისი 1999 №106 (879) | ფასი 50 თეთრი


8

## ვიერი და რონალდო, როგორი თავდასხმაა?!



„ინტერმა" სუპერფორვარდში სარეკორდო, 42,89 მილიონი დოლარი გადაიხადა

9

## წავიდა

ჯანლუკა ვიალი აღარ ითამაშებს

14

## რას გადაურჩა ნაპოლეონი



მარტო პანტანის კა არა, მთელ იტალიას მოუკლეს გული

15

## დღეიდან:

ბუფალო თუ დალასი?

ხმალთატეხვა თუ ვარსკვლავთცვენა?

# პირველად: დავით ყიფიანი დინამოს წინააღმდეგ

გუშინ თბილისის „დინამოს" ვარსკვლავი ქუთაისის „ტორპედოს" მწვრთნელად დაინიშნა

ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ყიფიანთან იხილეთ მეოთხე-მეხუთე გვერდებზე



დავით ყიფიანი კარიერას ქუთაისის „ტორპედოში" გააგრძელებს

# დინამო გაორდა

საქართველოს ჩემპიონატი

პირველ ჯგუფში გადასასვლელი მატჩი

| | |
|---|---|
| დინამო 2 | 1 |
| ლარწყალი | 1 |

პენალტებით 4:2

გუშინ „დინამო 2" „ლარწყალს" ძირითად დროში 1:1, დამატებითში 0:0 ეთამაშა, პენალტების სერიაში კი 4:2 მოიგო და პირველჯგუფელი გახდა

იხილეთ მეორე გვერდი



გუშინ გორში: „დინამო 2" „ლარწყალს" გასცდა და პირველი ჯგუფს შეემატა



ეს-ესაა, ზურაბ ბათიაშვილმა მეორე პენალტი მოიგერია და „დინამოს“ სათადარიგო სკამიც მისალოცად წამოიშალა

საქართველოს ჩემპიონატი

**გადათამაშება**
**პირველ ჯგუფში**
**გადასასვლელი მატჩი**

# დინამო გაორდა

გორი
8 ივნისი
18 საათი
ცენტრალური
6 000 (ტევადობა 8 230)

**დინამო 2 1:1 ლარწყალი**

**პენალტებით 4:2**

0:1 ტოკლიკიშვილი (20), 1:1 მიქაძე (28)

პენალტები

0:1 სირაძე, 1:1 გაგუა, 1:1 ცომაია (მეკარე, ძელი), 2:1 ბურდული, 2:2 ბარამიძე, 3:2 კვარაცხელია, 3:2 გოძიაშვილი (მეკარე), 4:2 მიქაძე

**დინამო 2:** ბათიაშვილი, რუხაძე, ხიზანიშვილი, აბრამიძე, ე. საჯაია, ო. გველესიანი, გ. მიქაძე, გ. კვარაცხელია, ი. შენგელია (თ. აფციაური 46), ვალერი გაგუა, ლ. მელქაძე (ლ. ბურდული 15)

*სათადარიგონი:* მამალაძე; სულაქველიძე, ტყებუჩავა, რ. გოცირიძე, კანდელაკი

**ლარწყალი:** ნაჭყეპია, თელიაშვილი, გულაშვილი, ბარამიძე, დ. ცომაია, გოლეთიანი, გელაშვილი, გოძიაშვილი, ჯ. წიკლაური (მიკუჩაძე 77), ტოკლიკიშვილი, დ. ჩიგოშვილი (სირაძე 96)

*სათადარიგონი:* ჭიჭინაძე; ბ. აფციაური

**გაფრთხილება:** აბრამიძე (23), ტოკლიკიშვილი (34), წიკლაური (41), ხიზანიშვილი (41), გოლეთიანი (51), თელიაშვილი (78), გულაშვილი (109)

**მსაჯები:** ს. კვარაცხელია; კ. მესხი (ორივე ზუგდიდი), გ. ჩიგოგიძე (სამტრედია); ლ. ფანიაშვილი (თბილისი)

**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

**სფფ-ის დელეგატი:** მ. ლაცაბიძე

**პაატა კვანტალიანი** გორიდან

— დაგვასვენონ, ჩვენც ხომ ადამიანები ვართ, გორის გარდა სხვა ქალაქი ვერ ნახეს ამათ სათამაშოდ — გორელი პოლიციელი სტადიონზე... კვარაცხელია, რა გაცინებს, რა? — განწირულად მყვირალი ქიზიყელი გულშემატკივარი... ბარემ თბილისის ჩემპიონატი ჩაატარეთ, თქვენი... — ადგილობრივი გულშემატკივარი... მოთუხთუხე ჩაიდანს დამსგავსებული ტრიბუნების თვალწინ მთავარი მწვრთნელი ბორის სიჭინავა ბედნიერმა დინამოელებმა ჰაერში შეათამაშეს... კვარაცხელია რა გაცინებს, რა? — ხმაში დალლაშეპარული ისევ ის ქიზიყელი... ტრიბუნებიდან თუ ლოჟიდან გადმოფურთხებულს და გადმონთხეულ გინებას ვერ უმკლავდება (ანკი როგორ გაუმკლავდებოდა) ადგილობრივი პოლიცია... დინამოელებმა ერთიც გარისკეს და აბორგებულ ქომაგთა საერთო კორიანტელში სამახსოვრო, გუნდური ფოტო გადაიღეს... ჩოჩქოლი სტადიონის გარეთ გრძელდება, თბილისელი ფეხბურთელები პოლიციის დახმარებით აღწევენ ავტობუსამდე...

ეს ყოველივე გუშინ, გორის ცენტრალურ სტადიონზე ხდებოდა. სტადიონზე, სადაც უსაშველოდ გაწელილ მატჩში პირველი ჯგუფის მეთხუთმეტე ბინადარი — „დინამო 2“ (ისე, დღეიდან შეგიძლიათ ეს სახელი პირობითად ჩათვალოთ) გამოვლინდა.

არადა, ძველანაგელთა უპირატესობა საგრძნობი იყო — ქიზიყელებს მრავლად ახლდნენ ქომაგები და მთელი მატჩის განმავლობაში ტრიბუნები „ლარწყალს“ გუგუნებდა (პერიოდულად „ლარწყალს“ „კვარაცხელია“ ცვლიდა).

არ შემცდარა მსაჯთა კორპუსის გამოცდილი თავკაცი ანატოლი მილჩენკო, როცა ამ მატჩის გაძღოლა სერგო კვარაცხელიას ანდო. ძნელი წარმოსადგენია, რა მოხდებოდა გორში სხვას რომ ემსაჯა. გამოცდილი მსაჯის რკინის ნერვებმა ყველაფერს გაუძლო და შესაძლო გახადა მატჩის დამთავრება. კვარაცხელია ბოლომდე არ დაბნეულა, მაგრამ ცოდვა გამხელილი სჯობსო და, მთელ მატჩში მსაჯის ერთადერთი შეცდომა „ლარწყალს“ ძვირად დაუჯდა...

შეხვედრის პირველ ათ წუთში უპირატესობა დინამოელებისა იყო. ისინი ბევრს მოძრაობდნენ. ბურთსაც უკეთ აკონტროლებდნენ და მოკლე პასებით ცდილობდნენ მოწინააღმდეგის საჯარიმოში შეღწევას. მე-11 წუთზე „ლარწყალის“ კაპიტანმა გოლეთიანმა 25 მეტრიდან ლონივრად დაარტყა და ბათიაშვილი გვარიანად ანერვიულა — წონასწორობადაკარგულმა მეკარემ თვალიღა გააყოლა კარს ოდნავ აცდენილ ბურთს. ეს მომენტი გადამწყვეტი აღმოჩნდა ქიზიყელთათვის — „ლარწყალმა“ თამაში დაალაგა, საგრძნობლად გააქტიურდა მცველი სოსო ბარამიძე, რომელიც, ფაქტობრივად, მეტოქის ყველა შეტევას შლიდა და შეტევებშიც ენერგიულად ერთვებოდა, სწორედ მისი ჩაწოდების შემდეგ გაიხსნა ანგარიში.

გოლი კი მართლაც ჩინებული იყო. ბარამიძემ თელიაშვილთან გაითამაშა ჯარიმა და ბურთი გამოზომილად ჩაჰკიდა საჯარიმოში, იქ კი ტოკლიკიშვილმა ეფექტური თავურით შორეულ კუთხეში გაუტანა ბათიაშვილს. სანამ ბადეში გაეხვეოდა, ბურთი ძელსაც მოხვდა და... კინაღამ ჩამოინგრა გორის სტადიონის ისედაც შელახული ტრიბუნები. მალე ჩამორჩენილებმაც გაიხარეს. გამოცდილმა გულაშვილმა დაცვაში მიუტევებელი შეცდომა დაუშვა. საჯარიმოში ჩაწოდებული ბურთი თავით პირდაპირ მიქაძეს დაუგდო და გიორგიმაც მეტოქისგან ნაბოძები შანსი ხელიდან არ გაუშვა — ჩაწოლილ ნაჭყეპიას ახლო მანძილიდან აუღელვებლად გადაატარა ბურთი. ანგარიში გათანაბრდა და მოედანზეც და ტრიბუნებზეც მდგომარეობა გამწვავდა. გულშემატკივრების აღელვება ფეხბურთელებსაც გადაედოთ და ერთ-ერთ ეპიზოდში კვარაცხელიამ ყვითელი ბარათით დააცხრო ერთმანეთზე შემართული წიკლაური და ხიზანიშვილი.

მეორე ნახევარი „ლარწყალის“ შეტევით დაიწყო. ბარამიძემ სამ მოწინააღმდეგესთან ჭიდილში მოიპოვა ბურთი და წიკლაურს გადააწოდა. მაგრამ ჯაბამ მეურვის მოტყუება ვერ შეძლო... 62-ე წუთზე კი დინამოელთა რიგებში შეცვლაზე შესულმა ერთობ ტექნიკურმა თორნიკე აფციაურმა კუთხურის ხაზთან ორი მცველი გააბითურა და კართან ახლოს მყოფ მიქაძეს თავზე დაასვა ბურთი, გოლი გარდაუვალი კი ჩანდა, მაგრამ მიქაძეს დარტყმა გაუცუდდა. 2 წუთის შემდეგ ტოკლიკიშვილი გადიოდა მეკარესთან პირისპირ, მაგრამ ბოლო წამს საჯაიამ ითამაშა თავგანწირვით... შემდეგ კი ნაჭყეპიას ჯერი დადგა. დამატებით დროს სწორედ მას უნდა უმადლოდნენ თანაგუნდელები. ჯერ გველესიანს არ დაანება „ლარწყალის“ კარის დარაჯმა გატანა — დინამოელის მიერ 30 მეტრიდან დარტყმული ბურთი მეკარისგან შორეულ, მაღალ კუთხეში მიფრინავდა, შემდეგ კი მიქაძეს არ გაატანინა ახლო მანძილიდან. ძირითადი დროის დამთავრებამდე 8 წუთით ადრე კი ძველანაგელებიც ახლოს იყვნენ მიზანთან — ბათიაშვილი გამოსვლაზე შეცდა, საჯარიმოში დავარდნილი ბურთი მიკუჩაძემ ხელსაყრელ პოზიციაში მყოფ ჩიგოშვილს დაუგორა, ამან კი დაუცველ კარში უზუსტოდ დაარტყა. დამატებით დროში გუნდებს ბევრიც არ გაურისკავთ. თუმცა ერთი-ორჯერ ნაჭყეპიას კარგმა თამაშმა იხსნა „ლარწყალი“. შემდეგ კი პენალტების ჯერიც დადგა, იღბალმა „დინამო 2“ ირჩია...

. რაც შეეხება თავში ნახსენებ მსაჯის შეცდომას, პირველი ტაიმის მე-40 წუთზე „ლარწყალი“ პენალტს იმსახურებდა. საჯარიმოში შეჭრილი ტოკლიკიშვილი დინამოელმა მცველმა მოცელა, ძნელი სათქმელია, რას ფიქრობდა იმ წუთში სერგო კვარაცხელია... ტრიბუნებზე მსხდომნი კი ამაოდ ელოდნენ მის სასტვენს...

შეცდა „ლარწყალის“ მთავარი მწვრთნელი ანზორ გძელიძეც. შეცდომა იყო 77-ე წუთზე, გამოცდილი ჯაბა წიკლაურის ნაცვლად (იგი ერთ-ერთი ყველაზე აქტიური იყო თანაგუნდელთაგან) მოედანზე პირტიტველა მიკუჩაძის შეყვანა, არც ჩიგოგიძე იყო შესაცვლელი, მაგრამ მწვრთნელია და გუნება. ერთი კია, მსაჯობით აღშფოთებულმა გძელიძემ მატჩის შემდეგ სწორედ ამ ცვლილებების უმართებულობაზე გაამახვილა ყურადღება.

„დინამო 2“ კი მომავლის გუნდია, ახალგაზრდებმა მართლაც კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. ჩემი აზრით, ქართულ ფეხბურთს მათი სახით ღირსეული ცვლა ეზრდება.



დინამოელებმა მთავარი მწვრთნელი ბორის სიჭინავა აიბურთავეს



დინამოელმა გიორგი მიქაძემ რევაზ ნაჭყეპიას (№1) კი დაასწრო, მაგრამ თავური უზუსტო გამოუვიდა

# კოლხეთი დაინომრა

გუშინდელ „სარბიელში“ საინტერტოტოოდ მაკედონიურ „ცემენტარნიცასთან“ მოახლოვებულ 19 ივნისის მატჩისთვის ფოთის „კოლხეთის“ სამზადისზე ვწერდით. გუშინვე ფოთელთა შემადგენლობა გაგაცნეთ. კოლხთა მწვრთნელმა გია ტყებუჩავამ გუშინ უეფაში გასაგზავნი სრული შემადგენლობაც, მუდმივი ნომრებითურთ, გვაცნობა. „კოლხეთის“ განაცხადში რამდენიმე უნომრო ფეხბურთელის გვარიც შეგხვდებათ, ესენი ზღვისპირელებს საინტერტოტოოდ არა და XI ჩემპიონატისთვის შეუგულებიათ. ტყებუჩავამ ისიც გვითხრა, 22 კაციდან მაკედონიაში 17-ს წავიყვანო. ბალკანეთის ნახევარკუნძულზე წამსვლელთა სიას, უნომროთა დარად, ელგუჯა პაპავა, მამუკა ჩაგანავა, ზაზა ბურკვაძე, სპარტაკ ბაჩილავა და გიორგი კრასოვსკი გამოაკლდნენ.

**მეკარეები:**

| | |
|---|---|
| 1. მამუკა გვასალია | 12. ბიძინა ჩემია |

**მცველები:**

| | |
|---|---|
| 2. კახაბერ გოროზია | 3. ვალერი ტორჩინავა |
| 4. გია გიორგაძე | 5. ლევან ანჯაფარიძე |
| 7. გიორგი ჩადუნელი | 16. ელგუჯა პაპავა |
| 21. ჯონი შალამბერიძე | 25. მამუკა ჩაგანავა |
| შალვა ჩხენკელი | ბაჩუკი გვაზავა |

**ნახევარმცველები:**

| | |
|---|---|
| 6. ზაველი ლალანიძე | 8. გოჩა ტრაპაიძე |
| 11. ბუბა ტყავაძე | 13. ზაზა ბურკვაძე |
| 18. ბესიკ ამაშუკელი | 24. სპარტაკ ბაჩილავა |
| ხარიტონ ბურჭულაძე | გოჩა ჭანტურია |
| დავით თედეევი | თემურ ჯლამაძე |

**თავდამსხმელები:**

| | |
|---|---|
| 9. ელდარ გვასალია | 10. ლევან შავგულიძე |
| 15. ივანე ჯულელი | 17. მამუკა ბულუხია |
| 20. ნუგზარ მიქაბერიძე | 23. გიორგი კრასოვსკი |
| რემი ჩხენკელი | |

# გულშემატკივარი ლოჟის გალმიდან არ ჩანს

*ფეხბურთის მოყვარულთათვის სოსო ჭედიას სახელი კარგადაა ცნობილი. მისი კარიერა „დინამოში" თუ საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებში ასე თუ ისე წარმატებული გამოდგა. მერე იყო უცხოეთი და ისევ საქართველო — მურთაზ ხურცილავას დროინდელი „ოდიში", ისევ ერთწლიანი ვოიაჟი პოლონეთში და ბოლოს მაინც ზუგდიდი. პირველი ნაბიჯები სამწვრთნელო საქმეში, რომელიც კრახით დასრულდა. სეზონის დამთავრებას არც დალოდებია, იტალიაში გაემგზავრა, კოვერჩანოში, სამწვრთნელო სკოლაში. შინ დაბრუნებისას კი...*



სოსო ჭედია

**— ჯერ იტალიაზე ვისაუბროთ. გაჭირვებული „ოდიშიდან" პირდაპირ უცხოეთში — საიდან?**

— არა, „ოდიში" და იტალია ერთმანეთთან არავითარ კავშირში არაა. ყველა ხარჯი ფეხბურთის ფედერაციამ გაიღო. რა თქმა უნდა, მთელი ფედერაციის და პირადად მერაბ ჟორდანიას მიმართ მადლობის მეტი არაფერი მეთქმის. დამწყები მწვრთნელისათვის ყველა ასეთი ნაბიჯი დიდი საქმეა.

**— მაინც რა ხდებოდა იტალიაში?**

— ჯერ უნდა გავერკვეთ, სად ვიყავით და რას ვაკეთებდით. იტალიაში მწვრთნელები, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატში მოღვაწეობენ, სამ — A, B და C კატეგორიად იყოფიან და შესაბამის სერიებში მუშაობენ. მათ შემდეგ მოდიან მოყვარული მწვრთნელები, მაგრამ მათაც მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტები უწევენ დახმარებას. საქართველოდან მივლენილი 14 მწვრთნელიც სწორედ ამ ლექციებს დავესწარით. თეორიული მეცადინეობების გარდა იტალიის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდის, „ფიორენტინას" ვარჯიშებსაც ვესწრებოდით. ჯოვანი ტრაპატონის, ამ მართლაც უდიდეს სპეციალისტის მუშაობის გაცნობამ ჩემში ბევრი რამ შეცვალა. ზოგიერთ მოვლენას სულ სხვა თვალით შევხედე. ფეხბურთში ტაქტიკა, მონახაზები და დავალებები კი მინახავს, მიმუშავია, გამომიცდია, მაგრამ ამ დონეზე ავტომატიზმამდე მისული ვარჯიში და თამაში ვერც კი წარმომედგინა.

**— იტალია კარგია, მაგრამ ციდან ჩამოვეშვათ. ორიოდე სიტყვა „ოდიშზე" ვთქვათ, რომელიც თქვენს ხელში გავარდა პირველი ჯგუფიდან. სინდისი არ გქეჯნით?**

— ჯერ ერთი, „ოდიში" ჩემს ხელში გავარდებოდა თუ ჩემს გარეშე, როგორც ზუგდიდელს, ძალიან დამწყდებოდა გული, რადგან ამის უშუალო მონაწილე გავხდი, ძალიან განვიცდი. სეზონის დაწყებისას, როცა „ოდიშში" მოვედი, გუნდში კატასტროფული მდგომარეობა იყო. გუნდს საწყისი ორი მატჩი ჰქონდა წაგებული, ბურთიც კი არ გაეტანა და მომავლის იმედიც არ ჩანდა. „ოდიში" კი ერქვა, მაგრამ ფარმ-კლუბის ფეხბურთელებით იყო დაკომპლექტებული.

**— ასეთ დროს გუნდში რომ მოხვედით, ალბათ, რაღაცის იმედი გქონდათ?**

— იმ პერიოდში კლუბის ეგრეთ წოდებული პრეზიდენტის — ვახტანგ ნანავას იმედი გვქონდა, მაგრამ მალე გაირკვა, რომ ამაო იყო მოლოდინი. მაინც არ გავიტეხე გული. შევხვდი ქალაქის ხელმძღვანელობას. მე ჩემი ვუთხარი, მათ თავისი თქვეს. შემპირდნენ, ყველანაირი დახმარების იმედი მომცეს და მეც საქმეს შევუდექი. იყვნენ ზუგდიდში ვეტერანი ფეხბურთელები, რომლებიც უკვე ფეხბურთიდან მიდიოდნენ, მაგრამ მათი გამოცდილება წაადგებოდა გუნდს. რამდენიმე ფეხბურთელიც სხვა რაიონიდან დავიმატეთ, სერიოზულად მივუდექით საქმეს და შედეგიც გამოჩნდა. სადებიუტო ორი მატჩი მოვიგეთ, მერეც სტაბილურად ვითამაშეთ და პირველი წრეც მეათე საფეხურზე დავამთავრეთ.

**— მაგრამ მეორე წრეში ყველაფერი თავდაყირა დადგა.**

— იმაში, რაც მეორე წრეში მოხდა, მე მთლიანად ქალაქის ხელმძღვანელობას ვადანაშაულებ. სწორედ მათი საქმისადმი უგულო მიდგომამ გამოიწვია კატასტროფა. შეპირებული დახმარება, რომელიც მხოლოდ ელემენტარულ პირობებს დაუკმაყოფილებდა გუნდს, შეპირებადვე დარჩა, რასაც კრიტიკულ მომენტში გუნდში „რევოლუცია" მოჰყვა: ფეხბურთელთა გაფიცვა და ზედიზედ წაგებული შეხვედრები, თანაც უშუალო კონკურენტებთან, მე მეტი ვერაფერი შევძელი. რამდენიმე სიტყვა გულშემატკივრებზეც მინდა ვთქვა. მაშინ, როცა მურთაზ ხურცილავა წვრთნიდა „ოდიშს", მთელი ზუგდიდი მხარში ედგა. ერთხელ ზუგდიდელებმა გაიგეს, სტადიონს ცხელი წყალი შეუწყდაო და 400-500 კაცი შეიკრიბა, მოითხოვა — გუნდს მუშაობის საშუალება მიეცითო. წელს კი რა მოხდა, გულშემატკივრებმაც კი ზურგი გვაქციეს.

**— ოპონენტები ძირითადად ორ საკითხში გადანაშაულებენ. ჯერ ერთი, რომ შეგეძლოთ უსასყიდლოდ აგეყვანათ რამდენიმე ფეხბურთელი განმუხურის „ენგურიდან", რომლებიც მნიშვნელოვნად შეძლებდნენ გუნდის, განსაკუთრებით თავდასხმის გაძლიერებას და ეს არ გააკეთეთ. მეორეც, ისეთ გადამწყვეტ დროს, როცა „სამგურალს" მასპინძლობით ფეხბურთელებთან კონფლიქტი მოხდა, შეგეძლოთ, გადაგელახათ პატივმოყვარეობა და დათმობაზე წასულიყავით, მაგრამ არც ეს გააკეთეთ.**

— ვინც ამას ამბობს, ან საქმეში ჩაუხედავია, ან უბრალოდ პროვოკატორი. მეც ძალიან კარგად ვიცი, რომ ემზარ შონია და კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი გუნდს გამიძლიერებდა და ისინი თანახმანიც იყვნენ ჩვენთან გადმოსვლაზე, მაგრამ ეს იყო შუა სეზონში. მეორე წრეში რამდენიმე მატჩი უკვე ჩატარებული იყო და მათი განაცხადში შეყვანა შეუძლებელი გახლდათ. რაც შეეხება პატივმოყვარეობას, რისი თქმა უნდათ, ვერ გავიგე. „გურიას" რომ ვუმასპინძლეთ და მოვუგეთ 17 მარტი იყო, ხოლო წყალტუბოელებს 3 აპრილს დავუხვდით. მთელი ამ დღეების განმავლობაში ფეხბურთელები პროტესტს აცხადებდნენ, ხელფასს ითხოვდნენ. ქალაქის საწარმოთა ხელმძღვანელები, პოლიტიკური პარტიები საქმის კურსში იყვნენ, მაგრამ აინუნშიც არ ჩააგდეს და 3 აპრილს, როცა მატჩი უნდა დაწყებულიყო, ფეხბურთელებმა გვითხრეს, თუ ფული არ იქნა, თამაშზე არ გავალთო. სიტყვა საბოლოო იყო. რა უნდა მექნა? ურმის გადაბრუნების შემდეგ ვითომ გზა იპოვეს და ჯოხი მე გადამამტვრიეს. ისე, მინდა ყველამ იცოდეს, ამ გაზაფხულამდე კლუბი და სტადიონი ერთად იყო. სტადიონის შემოსავალი, რასაც ავტობაზრობა და რამდენიმე სხვა ობიექტი ემატებოდა, ჩვენთან მოდიოდა და ამ ფულით რაღაცას მაინც ვახერხებდით. გაზაფხულზე კი სტადიონი კლუბისგან გამოყვეს და ეს კაპიკებიც დაგვიკარგეს. ეხლა კი ჩემზე არიან გულმოსულები?

**— ასე გამოდის, გუნდის გავარდნაში თავს დამნაშავედ არ თვლით.**

— ამ სეზონში ერთი დიდი შეცდომა დავუშვი. მეორე წრე არ უნდა დამეწყო.

**— მომავალი? რას უნდა ველოდოთ?**

— მე „ოდიში" დავტოვე. ეს უკვე გადაწყვეტილია. გუნდი პირველ ჯგუფში იყო და არავინ დაგვეხმარა, ახლა კი საერთოდ... მე და „ოდიში" ერთმანეთს დავშორდით. გუნდის მომავალზე ვერაფერს გეტყვით, ხოლო რაც შემეხება მე — მაქვს წინადადებები, უახლოეს მომავალში გაირკვევა. ახალ სეზონს ალბათ თბილისში, ერთ-ერთ მეორეჯგუფელ გუნდთან შევხვდები. წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა. მერე კი ისევ ფედერაციის დახმარებით ერთწლიან სამწვრთნელო სკოლაში წავალ. ასე რომ, მე და ფეხბურთი ერთად ვიქნებით.

**— არ შეიძლება, ორიოდე სიტყვა ჩვენს ნაკრებზეც არ ითქვას. თქვენი აზრი მწვრთნელზე, ფეხბურთელებზე და საერთოდ გუნდზე.**

— ბოსკამპი რომ კარგი სპეციალისტია, ამას ლაპარაკი არ უნდა, მაგრამ პროფესიონალი ფეხბურთელის დეფიციტისას რა უნდა გააკეთოს. ვისაც თამაში უნდა, იმან უნდა ითამაშოს. მნიშვნელობა არა აქვს, ვინ რომელ კლუბში გამოდის. ვინც უფრო მონდომებს და მწვრთნელს მოუსმენს, ის გამოადგება, გუნდს პატრიოტიზმი აკლია. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობამ საქართველოს ჰიმნი არ იცის. ჯერ ჰიმნი ისწავლონ და მერე უმტკიცონ ერთმანეთს პატრიოტიზმი, მანამდე არაფერი არ გამოვა.

P.S. საქართველოს ჩემპიონატის ოქმებში თუ ჩაიხედავთ, ერთი რამე გეცემათ თვალში. ზუგდიდში მაყურებელი ორიდან სამი ათასამდე მერყეობდა მაშინ, როცა სხვაგან ზოგიერთი გამონაკლისის გარდა 500-ს არ სცილდებოდა.

„ოდიშს" ამ მხრივ მხარდაჭერა არ აკლდა, მაგრამ, ეტყობა, სტადიონის ლობის გალმიდან ეს არ ჩანს.

**თენგიზ ძოჩუა**

**ზუგდიდიდან**

# სტუმრობა თუ მეზობლობა

ჩემპიონთა ლიგა, უეფას თასი, ევროპის ჩემპიონატი, ევროპის ჩემპიონატი ახალგაზრდულ (21, 18, 16) გუნდებს შორის და ასე შემდეგ. ეს იმ ტურნირთა არასრული ჩამონათვალია, რომელიც ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის — უეფას ეგიდით ტარდება. ამათ ნუსხას კი უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იუჰანსონმა და კომპანიამ კიდევ ერთი შეჯიბრება მიამატეს — უეფას რეგიონთა თასი მოყვარული ფეხბურთელებისთვის. ასეთი სახის შეჯიბრების გამართვის იდეა ევროპული ფეხბურთის მამებს სამი წლის წინათ გაუჩნდათ. ევროპაში სამოყვარულო ფეხბურთის განვითარების მიზნით უეფამ 1996 წლის ნოემბერში შექმნა სამოყვარულო კომიტეტი, რომელსაც ზემოხსენებულ საკითხზე მუშაობა დაევალა. კომიტეტის წევრობის პატივი ჩვენი ქვეყნიდან საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საერთაშორისო ურთიერთობათა კომიტეტის უფროს, ინსპექტორს დავით პეტრიაშვილს ხვდა წილად.

1997 წლის მაისში უეფაში შემუშავდა შეჯიბრების ძირითადი პრინციპები, განისაზღვრა ტურნირის მიზანი, მოთამაშეთა სტატუსი, დაწესდა ასაკობრივი ლიმიტი. ამ გათამაშებაში მონაწილეობის უფლება მხოლოდ მოყვარულ ფეხბურთელებს აქვთ. ამისთვის კი შემდეგ პირობებს უნდა აკმაყოფილებდნენ:

— არასოდეს ჰქონიათ დადებული პროფესიული კონტრაქტი, არ უთამაშიათ პროფესიულ ლიგაში, ამჟამად არ გამოდიან უმაღლეს დივიზიონში, არ მიუღიათ მონაწილეობა უეფას შეჯიბრებებში, ჩემპიონატში მონაწილეობა შეუძლიათ 18 წლის და უფროსი ასაკის მოყვარულ ფეხბურთელებს.

ბუნებრივია, უეფა ყოველ შეჯიბრებაზე საკვალიფიკაციო ბარიერის გადალახვას სთხოვს გუნდებს. ჰოდა, გამონაკლისი არც ეს ტურნირი გახლავთ. ის კი არა, განსხვავებულიც კია. სხვა შეჯიბრებათა (მაგ. ევროპის ჩემპიონატი) მსგავსად ტურნირის მასპინძელს ფინალურ ეტაპზე თამაში დაბევებული სულაც არა აქვს. ჯერ მასპინძელი ქვეყანაც არ არის შერჩეული. ამაზე ქვევით მოგახსენებთ.

წლეულს ამ შეჯიბრების დებიუტია. ტურნირში უეფას შერჩევით 32 გუნდი მიიღებს მონაწილეობას, ისინი 8 ჯგუფში გეოგრაფიული პრინციპით განაწილდნენ. ფინალურ ეტაპზე თამაშის უფლებას მხოლოდ ქვეჯგუფებში გამარჯვებულნი მოიპოვებენ. თავად ფინალური ტურნირი წლეულს შემოდგომაზე, ოქტომბერში, გაიმართება. სავარაუდო მასპინძლად უეფამ 4 ქვეყანა შეიგულა: საბერძნეთი, იტალია, პორტუგალია და თურქეთი. სწორედ ამათგან აარჩევს ღირსეულს.

საქართველო საკვალიფიკაციო ეტაპზე I ქვეჯგუფში მოხვდა, სადაც მეტოქეებად რუსეთის, თურქეთის და აზერბაიჯანის მოყვარულთა ნაკრები გუნდები არგუნეს. კენჭისყრის შემდგომ, უეფამ ბევრი იფიქრა, თუ ცოტა, გადაწყვიტა ერთწრიანი ტურნირი, სადაც ყველა გუნდი შეხვდება ერთმანეთს, თბილისში ჩატარდესო. ჰოდა, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციასაც საფიქრალი გაუჩნდა. ბოლო-ბოლო უეფას ეგიდით ტარდება, რომ არ შევრცხვეთ, ღირსეულ დონეზე ვუმასპინძლოთ მეზობლებსო და დაფაცურდნენ.

ფედერაციამ საქართველოს მოყვარულ ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელობა გამოცდილ სპეციალისტს, ჯონი ჯანელიძეს ანდო. ისიც მიდგა-მოდგა, ხალხი შეაწუხა, შესაფერი ფეხბურთელებიც მოძებნა და საქმესაც შეუდგა. უკვე რა ხანია, ჯონი ჯანელიძეს ნაკრების წევრები მალთაყვაში ჰყავს შეკრებაზე. წვრთნით ხომ წვრთნის, ამასთანავე სპარინგ-პარტნიორად ფოთის „კოლხეთი" შეიამხანაგეს და ორჯერ გაეჯიბრნენ, თუმცა ორჯერვე 1:2 და 2:4 დამარცხდნენ.

სანამ ტურნირის კალენდარზე და ორგანიზაციულ მხარეზე ვიტყოდე, იმ ფეხბურთელთა ვინაობას გაგაცნობთ, ვისაც ჯონი ჯანელიძე დაეყრდნობა. მწვრთნელმა სულ 30 მოყვარული ფეხბურთელი შეარჩია, ამათგან სამი მეკარეა — ავთანდილ ჩაჩიბაია, კახაბერ როხაძე და გოგი შენგელია; ლაშა გოლეთიანი, მიხეილ მოსიაშვილი, ლევან გვაზავა, გურამ მეტრეველი, ლაშა ხმალაძე, ირაკლი შენგელია, შოთა ფუტკარაძე, სულიკო კაკაბაძე, გიორგი რცხილაძე, ჯონდო ტილკავაშვილი, ტრისტან მანაგაძე, დავით მეტრეველი, კობა ოდიშარია, მინდია კორძაძე, გოდერძი კვირკვია, მალხაზ მურადელი, გიორგი მეტრეველი, როინ ონიანი, ბეჟან სულაშვილი, ვლადიმერ კაკაშვილი, თემურ თირქია, გიორგი ჭანტურიძე, თემურ ზაკუტაშვილი, დავით წიკლაური, მამუკა ტალახაძე, ემზარ გელაშვილი და გიორგი გაბიდაური.

ახლა კი ტურნირის ორგანიზაციულ მხარეზეც ვთქვათ ორიოდ სიტყვა.

შეჯიბრება 12 ივნისს, „შევარდენის" სტადიონზე დაიწყება. პირველად ერთმანეთის პირისპირ 15 საათსა და 30 წუთზე საქართველოსა და აზერბაიჯანის ნაკრებები წარსდგებიან, მერე, 19 საათზე, რუსეთისა და თურქეთის გუნდები ჩაერთვებიან. მეორე ტურის მატჩები 13 ივნისს ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე გაიმართება. 15 საათსა და 30 წუთზე საქართველო — რუსეთი, 19 საათზე აზერბაიჯანი — თურქეთი. დასკვნითი ტური კი 15 ივნისს გაიმართება, ორივე მატჩი „შევარდენზე" შედგება, 15 საათსა და 30 წუთზე საქართველო თურქეთს შეხვდება, 19 საათზე აზერბაიჯანი რუსეთს.

ცნობილია ტურნირზე მომსახურე არბიტრთა და მათ ასისტენტთა ვინაობაც. დემოკრატიულობის პრინციპი რომ არ დაირღვეს, ოთხივე ქვეყანა თავიანთი არბიტრებით იქნება წარმოდგენილი. საქართველოს ზურაბ ანიაშვილი წარადგენს, აზერბაიჯანს — იმნხამ სულტამი, რუსეთს — ალექსანდრ გონჩარი, თურქეთს კი — ალი კორასი. ასისტენტები შეთანხმებისამებრ ქართველები — სოსო აფციაური, მამუკა ლომსაძე, გია მარღიშვილი და დათო გიგაშვილი იქნებიან.

გუშინ თბილისს საღამოს ხანს ეწვია სლოვაკეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალური მდივანი პეტერ ჟიდოვსკი, რომელსაც უეფას შესაბამისმა კომიტეტმა ამ მატჩების დელეგატობა დაავალა. ზეგ კი საქართველოს დედაქალაქს რუსეთის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელი, ამავე დროს უეფას ინფორმატორი სერგეი ბორისოვი ესტუმრება, მას დავალებული აქვს, ტურნირი რაც შეიძლება მაღალ დონეზე გაშუქდეს.

ასე რომ, სხვა რა დაგვრჩენია, ვინძლო ქართველები ევროპის ჩემპიონატზეც კი მოვხვდეთ, გამორიცხული არაფერია. ამ შემთხვევაში კი ქართველებმა ჩვეული სტუმარმასპინძლური ხელგაშლილობა დროებით უნდა დაივიწყონ, თუნდაც კარის მეზობელთან.

**გიორგი ვაშაკიძე**


## სპორტულ ჟურნალისტთა საყურადღებოდ!

დღეს, 9 ივნისს იმერეთის განვითარების სააგენტოს თბილისის ოფისში გაიმართება ქუთაისის „ტორპედოს" ხელმძღვანელთა პრესკონფერენცია.
დასაწყისი 17 საათზე;

*მისამართი: თამრიკო ჭოველიძის (ყოფილი ბელინსკის) 12ა გამომცემლობა „სამშობლოს" უკან*



დავით ყიფიანი

დაიბადა 1951 წლის 18 ნოემბერს.

ფეხბურთელი

1971-82 წლებში თამაშობდა თბილისის „დინამოში".
სსრკ ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 245 მატჩი, გაიტანა 78 ბურთი.
1978 წლის სსრკ ჩემპიონი.
1977 წლის ვერცხლის პრიზიორი.
1971, 72, 76 (გაზაფხული და შემოდგომა), 81 წლების ბრინჯაოს პრიზიორი.
1976, 79 წლებში სსრკ თასის მფლობელი.
1977 წლის სსრკ საუკეთესო ფეხბურთელი.
სსრკ-ს ნაკრებში ჩაატარა 19 მატჩი, გაიტანა 7 ბურთი.
1978, 82 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებისა და 1980 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩების მონაწილე.
1981 წლის ევროპის თასების მფლობელთა თასის მფლობელი.
ევროთასებზე ჩაატარა 35 მატჩი, გაიტანა 10 ბურთი.
გრიგორი ფედოტოვის სახელობის ასიანთა კლუბის წევრი — 106 ბურთით.
1980 წელს ითამაშა უეფას ნაკრებში ჩეხოსლოვაკიის წინააღმდეგ.
სსრკ 33 საუკეთესოს შორის 1977, 78 წლებში დასახელებული იყო პირველ ნომრად; 1976, 80, 81 წლებში II ნომრად, ხოლო 1973, 75, 79 წლებში III ნომრად.

მწვრთნელი

1984-85 (პირველი ნახევარი) წლებში თბილისის „დინამო"
1988 წელს თბილისის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (ფშმ)
1988-დან (მეორე ნახევარი) 1991 წლამდე თბილისის „დინამო"
1992-94 წლებში კვიპროსის „ოლიმპიაკოსი"
1995-98 წლებში თბილისის „დინამო"
1997 წელს საქართველოს ნაკრები
1998 წელს რუსეთის „შინიკი" და ბელგიის „რასინგ მეხელენი"
საქართველოს ექვსგზის ჩემპიონი (1990, 91, 94-95, 95-96, 96-97, 97-98)
საქართველოს თასის სამგზის მფლობელი (1995, 96, 97)



დავით ყიფიანი

ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

# ყიფიანის არჩევანი

EXCLUSIVE



ქუთაისის „ტორპედოს" ახალი მწვრთნელი დავით ყიფიანი

ბადრი ქოთოლაშვილის ფოტო

*სამშაბათიდან დავით ყიფიანი ქუთაისის „ტორპედოს" მწვრთნელია. პირველად თავის სამწვრთნელო კარიერაში — ყიფიანი არა „დინამოში", არამედ ქუთაისურ კლუბშია. პირველად კლუბის არსებობის მანძილზე — „ტორპედო" უეფას თასზე ითამაშებს და ამ პირველ ნაბიჯებს დავით ყიფიანის ხელმძღვანელობით გადადგამს.*

*8 ივნისი. 11 საათი და 45 წუთი. თბილისი. იმერეთის წარმომადგენლობა — „ტორპედოს" კუთხე. საქმიანი ატმოსფერო — პერსონალის ფუსფუსი.*

*ოთახში — ქართული სპორტის ორი ლეგენდა. ფეხბურთის და კალათბურთის ორი ვარსკვლავი დავით ყიფიანი და მიხეილ ქორქია. მათი გზები „ტორპედოში" გადაიკვეთა. პრეზიდენტი და მწვრთნელი — ქორქია და ყიფიანი.*

*პრეზიდენტი — მშობლიურ ქალაქსა და ქართულ სპორტში დაბრუნებული. მიხეილ ქორქიას ფეხბურთში პირველად მოსვლა და „ტორპედოს" ვერცხლის წელიწადი...*

*მწვრთნელი — სამშობლოში და ქართულ ფეხბურთში დაბრუნებული.*

*1998 წლის 3 სექტემბრის „სარბიელი". რუბრიკა — ქართველები საბჭოთა ნაკრებში. ამონარიდი პირველი წერილიდან — „დიდი მეათე ნომერი":*

*— ერთ-ერთ კითხვაზე პლატინი პასუხობდა: სადღა არიან ახლა დიდი მეათე ნომრები. აი ჩვენ დროს... ო, პლატინის დროს სხვას რომ თავი დავანებოთ, თავად პლატინი თამაშობდა. ფეხბურთელი, რომელსაც განსაკუთრებული ხიბლი ჰქონდა. ის ეპოქა სწორედ დიდი ათი ნომრებისა გახლდათ და მადლობა უფალს, ჩვენც გვყავდა ჩვენი გამორჩეული ნომერი ათი.*

*დავით ყიფიანი. მოუსვენარი ბუნების პიროვნება და ამბიციური მწვრთნელი.*

*დავით ყიფიანს ბლომად დაუგროვდა სალაპარაკო, „სარბიელის" მკითხველი მას, კარგა ხანია, არ შეხვედრია და აი, ექსკლუზიური ინტერვიუ დავით ყიფიანთან. ყიფიანის პირველი ინტერვიუ „ტორპედოს" მწვრთნელის რანგში.*

**— თქვენ მაშინ წახვედით ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელის თანამდებობიდან, როცა გუნდი აღმავლობას განიცდიდა. ეს ნებაყოფლობითი გადაწყვეტილება იყო, თუ მაშინდელი ფედერაციის ჩინოვნიკებთან შეუთანხმებლობის ნაყოფი?**

— გადამწვეტი, ალბათ, მეორე ფაქტორი იყო.

**— სფფ-ს ბოლო ყრილობაზე სიტყვა ითხოვეთ. ბევრ რამესთან ერთად ნაკრებში თქვენი მოღვაწეობის სტატისტიკური მონაცემები გაიხსენეთ. ამით რისი თქმა გსურდათ?**

— საერთოდ სტატისტიკა რაღაცის მტკიცების რთული ფორმაა. სტატისტიკა არის ის, რაც რჩება. თამაშის პერიპეტიები, სახიფათო მომენტები და სხვა ამგვარი რამ კი აღარავის ახსოვს. როცა სტატისტიკურ მონაცემებზეა ლაპარაკი, მე ვთვლი, რომ ეს არის შედეგი. აქედან გამომდინარე, არ არის გასაკვირი, კაცი გულნაკლული დარჩეს, როდესაც წაგებულ თამაშს ზოგს წარმატებად უთვლიან, მოგებულს კი წარუმატებლობად... აი, ამიტომ დამჭირდა სტატისტიკა.

**— ნაკრების ხელმძღვანელობისას დავით ყიფიანის გუნდს ურიგო შედეგი არ ჰქონდა. როგორ ფიქრობთ, მეტის გაკეთება თუ შეგეძლოთ, რომ დაგცლოდათ?**

— მეტის გაკეთება შემეძლო და მეტსაც გავაკეთებ. უბრალოდ, თხოვნა მექნება თქვენდამი. სამწუხაროდ, მასმედიასთან ჩემს დამოკიდებულებას მაინცდამაინც კარგს ვერ დავარქმევ. მოდით, ყველაფერს ერთ კაცს ნუ დავაბრალებთ. დიდი საქმე ერთად კეთდება, ერთიანობაში... ახლა „კოლხეთის" მწვრთნელი გია ტყებუჩავა უდისციპლინობის გამო ფეხბურთელებს რომ გაუშვებს გუნდიდან, ამას ბოსკამპს ნუ დავუკავშირებთ.

**— ამ ბოლო დროს მსგავსი ფაქტები თითქოს აღარ ხდებოდა.**

— ვერ დაგეთანხმებით, ასეთი რამ ყოველთვის იყო. იცით, რას გეტყვით, თბილისის „დინამო" ნოდარ ახალკაცის დროსაც თამაშობდა ხაზზე დაცვაში, ლიბეროს გარეშე, 1981 წელს. ამიტომ ახლა მთლად ნუ გავიგიჟებთ თავს და პაპუასებივით არ გამოვჩნდეთ მსოფლიოს საფეხბურთო სამყაროში.

**— ქართული ფეხბურთის საკლუბო თუ სანაკრებო დონეზე წარუმატებლად გამოსვლის მთავარ მიზეზად რას მიიჩნევთ?**

— მთავარ მიზეზს იმაში ვხედავ, რომ ზედმეტ ეიფორიაშია ქართველი გულშემატკივარი და სულ ერთ რამეზეა ლაპარაკი, თითქოს ფეხბურთელები გვყავს მაღალი კლასის და მწვრთნელები არ გვივარგა. მე კიდევ პირიქით ვფიქრობ, საკმაოდ კარგი მწვრთნელები გვყავს და მაღალი კლასის ფეხბურთელების ნაკლებობას განვიცდით.

**— ნაკრებიდან წასვლის შემდეგ „დინამოდანაც" მალე წახვედით და რუსეთში თითქმის განწირული „შინიკის" უმაღლეს დივიზიონში დარჩენაში ლომის წილი დაიდეთ. იქ მოღვაწეობას როგორ გაიხსენებთ?**

— ძალიან კარგად. უკვე ნახევარ საუკუნეს მიღწეული კაცი ვარ და ასეთი პატივისცემა და სიყვარული კარგა ხანია, არსად მიგრძვნია, დღესაც გაკვირვებული ვარ. სხვათა შორის ახლაც იგივე მდგომარეობაშია „შინიკი" და კვლავ მთხოვენ დახმარებას, მაგრამ რაღაც სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო არ გავაკეთე ეს. თუმცა იქ გატარებულმა პერიოდმა მეტად ნათელი კვალი დატოვა ჩემს სამწვრთნელო კარიერაში.

**— სიყვარული და პატივისცემა, როგორც ვიცით, არც იაროსლავლიდან ბელგიაში ჩასულს დაგკლებიათ...**

— იქ არც ახლა მაკლია პატივისცემა. ძალიან კარგი პროექტი იყო „რასინგ მეხელენის" განვითარებისთვის და აღმასვლითვის. სხვათა შორის, ბელგიელები ნანობენ, რომ იმ პროექტის განხორციელების საქმე ბოლომდე არ მივიდა. რა თქმა უნდა, პირადული ინტერესები დაერთო კონკურენტი გუნდის მხრიდან. მე ამაზე ტელევიზიით გამოსვლისასაც განვაცხადე... იცით, პროფესიონალი მწვრთნელის პოზიცია არის ერთი — უნდა ჰქონდეს ძალიან პატარა ჩანთა, მივიდეს, საქმე გააკეთოს, თუ ვერ შეძლებს ამას, აიღოს ის ჩანთა და წავიდეს შინ, რადგან ჩვენს მოღვაწეობას ყველა ერთი კუთხით უყურებს — შედეგით. როგორი კარგი კაციც არ უნდა იყო და როგორც არ უნდა უყვარდე ყველას, შედეგი მაინც ყველაფერს გადაწონის. ვისაც სურს ამ სფეროში მუშაობა და მწვრთნელის კარიერის გაგრძელება, ამას შეჩვეული უნდა იყოს. ეს უმადურობისთვის განწირული პროფესიაა — მიიგებ, კარგი ხარ, წააგებ და ვერავინ გიშველის...

**— „რასინგ მეხელენიდან" ქართველთა წამოსვლის ერთ-ერთ მიზეზად იქაურთა შოვინიზმიც დასახელდა...**

— შოვინიზმს ნუ დავუძახებთ იმას, რაც იქ მოხდა. უფრო ინტერესების დაპირისპირებას ვუწოდებდი. პატარა ქალაქში ორი გუნდი იყო. უფრო ძლიერს არ აწყობდა ის კონკურენცია, რომელიც „რასინგ მეხელენმა" გამოუცხადა. ფინანსური ინტერესებიც ამოტივტივდა. როცა ორი გუნდია პატარა ქალაქში, იყოფა რეკლამა, შემოსავალი, გულშემატკივარი, სპონსორთა დაინტერესება და ასე შემდეგ.

**— ჩვენი ინფორმაციით, სწორედ ბელგიაში ყოფნისას უნდა გაგევლოთ კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები გერმანიის კიოლნის სამწვრთნელო სკოლაში.**

— სამწუხაროდ, ეს არ მოხერხდა, რადგან კიოლნის სკოლაში მხოლოდ გერმანულ ენაზე მიდიოდა სემინარები. გერმანულს კი ვერ ვფლობ. თუმცა ბელგიაში გავიარე კურსები. ახლა კი 22 ივნისს იტალიურ კოვერჩანოში მივდივარ და სასწავლო პროცესის რამდენიმე ეტაპად გავლის შემდგომ, დაახლოებით სექტემბერში, მწვრთნელის იურიდიული ლიცენზია მექნება.

**— მეხელენიდან დაბრუნების შემდეგ თითქოს განმარტოებული იყავით. ბევრი დრო გქონდათ ფიქრისთვის და მაინც ქართულ ფეხბურთში დაბრუნება გადაწყვიტეთ. ფედერაციაში გლობალურმა ცვლილებებმაც ხომ არ გადაგადგმევინათ ეს ნაბიჯი?**

— საქართველოს საფეხბურთო დონისა და ჩემი კომპეტენციის გათვალისწინებით, ვთვლი, რომ ჩემი შესაძლებლობების მწვრთნელი ქართულ ფეხბურთში მხოლოდ სელექციონერის თანამდებობით არ უნდა კმაყოფილდებოდეს. ეგ არაა ჩემთვის საინტერესო, ბევრისთვის კი იქნებ მისალები იყოს უცხოეთში მოგზაურობებისა და მრავალი შეხვედრის ფაქტორის გამო. ეს ყველაფერი მობეზრებული მაქვს. ჩემი გადაწყვეტილება მხოლოდ ფეხბურთის სიყვარულმა განაპრობა და ისევ ფეხბურთს წაადგება. ზოგიერთი პიროვნების ამბიციურობა მარტო „დინამოთი" იწყება და მისითვე მთავრდება. ჩემთვის ასე არ არის. მე მზად ვარ ვიმუშაო იქ, სადაც საჭიროა...

**— მიუხედავად ყველაფრისა, ეროვნულ ნაკრებში სელექციონერად მიგიწვიეს. როგორ ფიქრობთ, ნაკრებს აუცილებლად უნდა ჰყავდეს საბაზო გუნდი თუ ლეგიონერებს დაეყრდნოს?**

— ზუსტი პასუხის გაცემა ცოტა ძნელია. თუ ქვეყანაში არსებობს ძლიერი ფეხბურთელებით დაკომპლექტებული კლუბი, შეიძლება ნაკრების ძირითადი ბირთვი მისგან გაკეთდეს. თუმცა მთლიანობაში ნაკრებში ყველა საუკეთესო უნდა თამაშობდეს. ლეგიონერი იქნება ის, თუ ადგილობრივი, ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს.

**— იოჰან ბოსკამპზე დღეს ბევრი იწერება. თქვენი შეხედულება გვაინტერესებს.**

— უმაღლესი დონის პროფესიონალია. ჩემი აზრით, მისი ჩამოყვანა სწორი და ძალიან დროული გადაწყვეტილება იყო. ეჭვი არ მეპარება, რომ კარგ ნაკრებს გააკეთებს და „დინამოსაც" დაატყობს ხელს.

**— ქართული კლუბებიდან მიწვევა თუ გქონდათ?**

— დიახ, თანაც რამდენიმე.

**— ქუთაისთან ბევრი რამ გაკავშირებთ...**

— ეს საქმეს არ ეხება.

**— იქნებ არც ღირდეს მცხეთაში მომხდარი ინციდენტის გახსენება, მაგრამ...**

— მცხეთაში არავითარი ინციდენტი არ მომხდარა. იყო რაღაც გაურკვევლობა გულშემატკივართა ერთ ჯგუფთან მიმართებაში, რომელიც აბსოლუტურად არ ასახავს იმერეთის რეგიონის მოსახლეობის უმრავლესობას. იგივე ინციდენტი შეიძლება მომხდარიყო კასპში, გორში და ბათუმშიც.

**— არანაირი კომპლექსი არ გქონიათ, სანამ „ტორპედოში" მუშაობაზე დათანხმდებოდით?**

— აბსოლუტურად არანაირი.

**— დავით ყიფიანი ადრე ხშირად აცხადებდა, რომ გუნდის სრულად ჩამოყალიბებისთვის მინიმუმ 2-3 წელია საჭირო. ქუთაისში კი იმ დროს მიდიხართ, როცა უეფა-მდე თვენახევარიღაა დარჩენილი...**

— მოდით, მაგაზე სექტემბერში ვილაპარაკოთ.

**— „დინამოს" თავკაცობისას თითქმის ყველა შეხვედრა მოუგეთ „ტორპედოს"...**

— მარტო „ტორპედოს"?

**— ამ შემთხვევაში კონკრეტულად ქუთათურთა კლუბზე ვსაუბრობთ. იმ მონაცემებიდან გამომდინარე, ზედმიწევნით კარგად უწყით „ტორპედოს" სუსტი მხარეები და წესით არ უნდა გაგიჭირდეთ ნაკლოვანებების აღმოფხვრა.**

— ვთვლი, რომ მოიგე-წააგეზე არ არის ლაპარაკი. „დინამოს" მწვრთნელობისას მე ყველაფერი მოვიგე — თასი, სუპერთასი, ჩემპიონობა. იყო კონკრეტული მატჩები, როცა გუნდი კარგად თამაშობდა, ზოგჯერ — ცუდად. წარსული შეხვედრებით ნუ ვიმსჯელებთ.

**— მომავალი ჩემპიონატი ახალი სისტემით ტარდება...**

# ტორპედოს ყველა მწვრთნელი

ეროვნულ ჩემპიონატებში „ტორპედოს“ ხუთი მწვრთნელი ჰყავდა, მათგან ორს კუტივაძეს და ხერხაძეს, არცერთი სეზონი თავიდან ბოლომდე არ უთავკაციათ. ყველაზე ცოტა ხანს, ორ თვეს კუტივაძე წვრთნიდა ქუთაისელებს, ყველაზე დიდხანს, ხუთ წელიწადს — რევაზ ბურკაძე

მივესალმები ფედერაციის გადაწყვეტილებას ეროვნული ჩემპიონატის ახალი დებულების მიღებასთან დაკავშირებით. ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ცვლილებები სხვა სფეროებსაც შეეხო — ბავშვთა ფეხბურთიდან დაწყებული ნაკრები გუნდით დამთავრებული. შესამჩნევია, რომ ეს ხალხი მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობს. რამდენად მართებულია ფედერაციის მესვეურთა გადაწყვეტილება, რამდენად სწორ გზას ადგანან ისინი და მივალთ თუ არა ტაძრამდე, ამას მომავალი გვიჩვენებს. თუმცა ამის მცდელობა რომ არის, ფაქტია. უცხოელი სპეციალისტის მოყვანა, წარმატებები ბავშვთა ფეხბურთში, 18-წლამდელთა ნაკრების ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე მოხვედრა. ამის დაუნახაობა არ შეიძლება. ყველაფერი უცებ არ ხდება. ამბიციურობა ერთია, მაგრამ სხვა ფაქტორებიც არსებობს.

ერთ-ერთ გაზეთში ეწერა, რომ ქვეყნის პრეზიდენტი ოფიციალურად აცხადებს სახელმწიფო პროგრამის შემუშავების აუცილებლობის შესახებ. პრეზიდენტი, რომელსაც მილიონი საქმე აქვს და უფრო მნიშვნელოვანი საკითხებითაა დაკავებული, ამ მომენტშიც ფიქრობს იმაზე რომ მისმა ხალხმა გაიხაროს. ამის ერთ-ერთი საშუალება კი სპორტია. არის ისეთი სახეობები, რომლებიც გენეტიკურად ალიქმება ჩვენი ერისთვის. როცა პრეზიდენტი აცხადებს, რომ აუცილებელია სახელმწიფო პროგრამის მიღება, ეს არის უკვე გეგმა, მიმართულება, რა გზითაც უნდა განვითარდეს იგივე ფეხბურთი.

მე ერთ რამეზე მწყდება გული. ეს კაცი ბოლომდე ვერ გავახარეთ, მაგრამ მან კარგად იცის ფეხბურთის ფასი, ადრეული ხანიდან მოყოლებული დღემდე. მოვა დრო და გაიხარებს. ყოველ შემთხვევაში, უამისოდ არ გავუშვებთ.

**— ერთ მშვენიერ დღეს „ტორპედოს“ პრეზიდენტმა მიხეილ ქორქიამ კლუბში მიგიწვიათ. „დინამოს“ გარდა კი აქამდე საქართველოში არც ერთი გუნდისთვის არ გიხელმძღვანელიათ. მაინც, რა იყო ის მთავარი ფაქტორი, რის გამოც ბატონ მიშას წინადადებას დასთანხმდით?**

— ბევრს, ალბათ, ჰგონია, რომ ყიფიანს იმდენი გადაუხადეს, ყველაფერზე უარი თქვა, დაადო თავი და ქუთაისში წავიდა — ეს არ არის სიმართლე. ადამიანი მარტო მატერიალური კეთილდღეობისთვის არ უნდა ცხოვრობდეს. ჯერ ერთი, არ ვმალავ და არც მომავალში დავმალავ, რომ ძალიან დიდი გავლენა იქონია ბატონი მიშას ავტორიტეტმა. იგი ისეთი პიროვნებაა ქართულ სპორტში, რომლის დავიწყებაც დაუშვებელია. მიხეილ ქორქია ყველას უნდა ახსოვდეს — ოლიმპიურ კომიტეტსაც, კალთბურთის ფედერაციასაც და ყველა გულშემატკივარს.

და მეორე ყველაზე მთავარი. რა ფაქტორმა იმოქმედა? განსაკუთრებით არაფერმა. ჩემზე წერენ, რომ ყიფიანი ამბიციური კაცია და თავისი რენომეს დამტკიცება უნდა. რატომაც არა?.. ჩვენ ერთად დავამტკიცებთ ამას... შედეგით.

**— „ტორპედოსაც“ ძალიან ამბიციური გულშემატკივრები ჰყავს. ქუთაისი ცხრა წელი ელოდა მისი გუნდის ასეთ სეზონს. სწორედ ამ დროს მიდიხართ კლუბში და უეფას თასის გათამაშებაზე პირველად გამსვლელ „ტორპედოს“ უდგებით სათავეში. თანაც შარშანდელ ინტერტოტოზე „ლომელის“ მწარე გამოცდილებაც არსებობს. ცოტა შიში ხომ არ გიპყრობთ?**

— რაც შეეხება „ლომელის“ მწარე გამოცდილებას, ეს ფეხბურთია... მაშინ „ბაიერნის“ მწვრთნელს ოტმარ ჰიტცფელდს თავი აქვს მოსაკლავი, 4 წუთში ჩემპიონთა ლიგა წააგო. ფეხბურთში ყველაფერი ხდება. შიში კი უცხოა ჩემთვის. ხშირად მეკითხებიან, თამაშის დროს რატომ არ ნერვიულობო. ნერვები აღარ მაქვს და რითი ვინერვიულო? მთავარია, კაცმა იმუშაოს და მისი შრომა ყველამ დაინახოს. ხელმძღვანელობიდან დაწყებული გულშემატკივრით დამთავრებული. კარგია, როცა ამას ამჩნევენ. მერე კი ბევრი ფაქტორია ისეთი, რასაც ვერ გაექცევი, იქ არის ნიჭის, ბედის და სხვა უამრავი ფაქტორი.

მე ერთი ცხადად ვიცი. ქუთაისის „ტორპედოს“ გამოსვლა იმაზე ცუდი შედეგით, რაც წლეულს გუნდს ჰქონდა, წარუმატებლობა იქნება. „ტორპედომ“ ამ სეზონში თასი აიღო და მეორე ადგილი. გაისად ორივე რომ დათმოს და მესამეზე გავიდეს, ეს უკვე წარუმატებლობაა. თუმცა რამდენიმე წლის წინათ ეს წარმატებულ მიღწევად ჩაითვლებოდა. ვინც არ რისკავს, ის შამპანურს არ სვამს...

**— თქვენი საუბრიდან გამომდინარე, მხოლოდ სამთვიან კონტრაქტზე არ არის საუბარი. უეფაზე გამოსვლის შემდეგაც დაეხმარებით „ტორპედოს“?**

— კონტრაქტის ფორმა, რომელზეც თქვენ თქვით, მიღებულია ევროპაში და, ალბათ, ასეც უნდა იყოს. ვნახოთ, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს. თუ ხელმძღვანელობა ჩემი მუშაობით კმაყოფილი დარჩა, ალბათ, თანამშრომლობაც გაგრძელდება, თუ არადა, ჩვენ კვლავ მეგობრებად დავრჩებით, ჩემს ადგილს კი სხვა სპეციალისტი დაიკავებს.

**— როგორ აფასებთ დღევანდელი „ტორპედოს“ ძალას?**

— დასამალი არაფერი მაქვს. ძალიან ბევრი სამუშაო მექნება. გუნდში არის ძირითადი ბირთვი, რომელსაც ინტენსიური მუშაობის შემდეგ შეუძლია 30-40 პროცენტით მოუმატოს თამაშს.

**— ალბათ, რამდენიმე ფეხბურთელს დაიმატებთ?**

— თუ ვიპოვით ისეთ მოთამაშეებს, რომლებიც აჯობებენ მათ, ვინც დღეს გუნდშია, ალბათ, დავიმატებთ.

**— როგორც ვატყობთ, „ტორპედოსა“ და თქვენი ამბიცია ერთმანეთს ემთხვევა. ქუთაისელთა კლუბში ეროვნულ ჩემპიონატშიც თუ მოგიწიათ მუშაობა, ალბათ, ჩემპიონობისთვის იბრძოლებთ და ბოსკამპის „დინამოს“ ძლიერ კონკურენციას გაუწევთ.**

— მარტო ქუთაისზე არ უნდა იყოს ასეთი ლაპარაკი. ჩემი აზრით, „ბათუმიც“, „კოლხეთიც“ და „ლოკომოტივიც“ საჩემპიონო ამბიციებით დაიწყებენ სეზონს. თუ რამდენად რეალური იქნება პირველობისთვის ბრძოლა, ამას მომავალი თამაშები აჩვენებს.

ხშირად მეკითხებიან, როგორ შეიძლება ამდენი ხანი სულ „დინამო“ იყოს ჩემპიონი? ყველაზე კარგია და იმიტომ. აჯობე და შენც გახდი, ვინ გიშლის?...

**— ხშირად საუბრობენ თქვენს ცვალებად ხასიათზე. თითქოს ერთ ადგილას დიდხანს არ ყოვნდებით. რა ჰქვია იმ გუნდს, რომლისკენაც მიგიწევთ გული და იქ ხანგრძლივად დარჩებოდით?**

— მადრიდის „რეალი“...

**— თუ მაინც ეროვნული ნაკრები?**

— შეიძლება ეს დროც დადგეს. თუ მუშაობ, ჯარისკაცად სიკვდილი არავის სურს. მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ. ჩემი დღევანდელი გადაწყვეტილება, ჯერ ერთი, საშუალებას მომცემს, ახლობელ ხალხთან ვიმუშაო. მეორეც — ეს ეტაპი, წარმატების შემთხვევაში, მასმედიის კრიტიკის ქარცეცხლიდან დამაღწევინებს თავს. მომავალზეც ხომ უნდა ვიფიქრო.

**— კრიტიკა ხანდახან სასარგებლოა.**

— მე ყოველთვის წინააღმდეგი ვარ იმის, რომ ყოველგვარი დასაბუთების გარეშე კაცი აქო და ადიდო. ასევე დაუშვებლად მიმაჩნია, აძაგო ადამიანი, არგუმენტაციის უქონლობის შემთხვევაში.

როცა მე დილმის ბაზაზე არ ვუშვებდი არავის იმიტომ, რომ გუნდი ისვენებდა, მეორე დღეს მაკრიტიკებდნენ. დღეს იგივეს აკეთებს ბოსკამპი და ამას დისციპლინას ეძახიან. მისაღები ფორმები უნდა არსებობდეს პრესკონფერენციების სახით. სწორედ ასეთ მეთოდს დავნერგავთ „ტორპედოს“ ბაზაზე. უდროო დროს ვერავინ შეგვაწუხებს. იქნება დანიშნული დღეები ჟურნალისტებისთვის, გვექნება პრეს-სამსახური და ყველა დაინტერესებული ამომწურავ ინფორმაციას მიიღებს.

**— როდიდან აპირებთ „ტორპედოში“ ვარჯიშების დაწყებას?**

— 17 ივნისიდან.

**— კოვერჩანოში გამგზავრება ხელს არ შეგიშლით?**

— არავითარ შემთხვევაში.

**— უცხოურ შეკრებას ხომ არ აპირებთ?**

— აუცილებლად.

**— კონკრეტულად რომელ ქვეყანაში?**

— ჯერ ზუსტად არ გადაგვიწყვეტია.

**— ვინ მიგაჩნიათ იდეალურ ფეხბურთელად?**

— ჰოლანდიელი იოჰან კრუიფი.

**— მწვრთნელი?**

— ბევრი მწვრთნელი შემხვედრია, მაგრამ ერთი ფაქტორი რომ არ ალვნიშნო, წარმოუდგენელია. ყველაზე მადლიერი ნოდარ ახალკაცის ვარ. შეიძლება იდეალი არ იყო, მაგრამ... ნუ დაივიწყებს ქართველი გულშემატკივარი მის სახელს. იგი დიდი ადამიანი იყო თავისი მინუსებით და პლუსებით. გული მტკივა, რომ დღეები და წლები გადის და თითქოს თანდათან ივიწყებენ მის ამაგს. ხშირად უნდა გავიხსენოთ ნოდარ ახალკაცის და ანდრო ჟორდანიას სახელები. ისინი უდიდესი პიროვნებები იყვნენ.

**— ფეხბურთის გარდა რა არის დავით ყიფიანის საყვარელი საქმე?**

— გიორგი ყიფიანი...

**— თქვენი სამაგიდო წიგნი დაგვისახელეთ?**

— არ მიყვარს ნაწარმოების გამორჩევა. ისე, სიმართლე გითხრათ, ბოლოს როდის წავიკითხე წიგნი, აღარც კი მახსოვს.

**— დავით ყიფიანის სიმპათიები ხელოვნებაში?**

— სიმღერა. კარგი ქართული სიმღერა...

ხვიჩა სანიძიძე



ქართული სპორტის ორი ვარსკვლავი — დავით ყიფიანი და მიხეილ ქორქია „ტორპედოს“ სამსახურში

### რევაზ ბურკაძე



ჯემალ ხერხაძემდე „ტორპედოს“ ყველაზე ხელხვავიანი მწვრთნელი გახლდათ. პირველი ბრინჯაო ქუთაისელებს საგაზაფხულო ჩემპიონატში მოაგებინა. მეორედ ეს მაშინ შეძლო, როცა არავინ ელოდა: 1994 წელს გიგა ნორაკიძისგან ახლადჩამოყალიბებული, მანამდე უცნობი შემადგენლობა რომ ჩაიბარა, მხოლოდ „დინამოს“ და „კოლხეთს“ ჩამორჩა".

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1990 | 34 | 20 | 5 | 9 | 62:33 | 65 |
| 1991 | 19 | 11 | 2 | 6 | 17:3 | 35 |
| 91-92 | 19 | 7 | 3 | 9 | 32:28 | 24 |
| 93-94 | 25 | 13 | 6 | 6 | 49:37 | 45 |
| 95-96 | 19 | 7 | 4 | 4 | 42:25 | 37 |

### გიგა ნორაკიძე



მას პირველს ერგო მძიმე ხვედრი, ერთობ შემადგენლობაშეთხელებული „ტორპედოსთვის“ ეთავკაცა. თუმცა, გიგა ნორაკიძის დიდმა ცოდნამ თავისი გაიტანა და თავიდან აუტსაიდერად შეგულებულმა „ტორპედომ“ 1993 წელს ჩემპიონატი მეხუთე ადგილზე დაასრულა.

ახალ სეზონში ნორაკიძეს კვლავ ახალი გუნდის კეთება მოუწია, მაგრამ სასტარტო წარუმატებლობასა და მღელვარებას ვერ გაუძლო და „ტორპედო“ მისსავე გამოზრდილ ბურკაძეს დაუტოვა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 92-93 | 32 | 16 | 4 | 12 | 70:54 | 52 |
| 93-94 | 7 | 2 | 1 | 4 | 7:12 | 7 |

### სოსო ფრუიძე



„ტორპედოში“ უსუსტესი დებიუტი ჰქონდა. თავიდანვე გუნდის გაახალგაზრდავება დაიწყო და ქუთაისელები მანამდე არნახულ, ბოლო, მეთექვსმეტე ადგილზე დაეშვნენ. თუმცა, ტორპედოელთა ამჟამინდელ წარმატებებსაც საფუძველი მან ჩაუყარა. წლევანდელი „ტორპედო“, ფაქტობრივად, მისი ჩამოყალიბებულია, თუმცა „ბათუმთან“ საშინაო 3:3 გამო წლევანდელ წარმატებათა სიხარული ვერ გაიზიარა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 96-97 | 30 | 14 | 4 | 12 | 70:58 | 46 |
| 97-98 | 20 | 11 | 5 | 4 | 37:23 | 38 |
| 98-99 | 3 | 2 | 1 | 0 | 11:5 | 7 |

### სერგო კუტივაძე



„ტორპედოს“ ყველაზე ღლემოკლე მწვრთნელია. გუნდს სულ ათი ტურის განმავლობაში ედგა სათავეში და საჩემპიონატო შედეგზე მეტად, საქართველოს თასზე გამოსვლა დაუწუნეს: მეოთხედფინალიდან გორის „დილასთან“ (1:3, 0:0) დამარცხების შემდეგ გაათავისუფლეს.

„ტორპედოში“ საკუთარი კვალის დატოვება ვერც მოასწრო. დასამახსოვრებელი მხოლოდ იმდროინდელ ლიდერ „ოდიშთან“ 4:1 საშინაო მოგება იყო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 97-98 | 10 | 4 | 4 | 2 | 14:7 | 16 |

### ჯემალ ხერხაძე



მის სახელს „ტორპედოს“ ყველაზე დიდი წარმატება და წარუმატებლობა უკავშირდება.

გუნდს სულ სამ, არასრულ სეზონს წვრთნიდა და თუ პირველად, ქუთაისური კლუბისთვის ყველაზე სამარცხვინო, მეთერთმეტე ადგილს დასჯერდა, წლეულს აქამდე არნახულ შედეგს მიაღწია — ვიცე-ჩემპიონიც გახდა და საქართველოს თასიც კლუბის ისტორიაში პირველად მოიგო.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 91-92 | 19 | 8 | 1 | 10 | 32:35 | 25 |
| 95-96 | 11 | 4 | 3 | 4 | 26:24 | 15 |
| 98-99 | 27 | 21 | 3 | 5 | 62:22 | 60 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყველა** თაობას ჰყავს თავისი საფეხბურთო კერპები, თუმცა დროის სვლასთან ერთად მხოლოდ გამორჩეულები შერჩებიან ხოლმე მეხსიერებას და გულშემატკივარიც დროის გადასახედიდან უფრო ობიექტურად აფასებს ამა თუ იმ ფეხბურთელის ღირსებებს. უკვე 40 წელია, რაც ვლადიმერ ელოშვილმა ფეხბურთს თავი დაანება (მოთამაშეობას ვგულისხმობთ, თორემ იგი სულ მუდამ იყო და დღესაც მოღვაწეობს ქართულ ფეხბურთში) და მისი თამაში კვლავაც ახსოვთ ძველ, ერთგულ ქომაგებს. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ფეხბურთში მის შემდეგ არაერთი შესანიშნავი მცველი მოვიდა, ელოშვილი დღესაც მიაჩნიათ ამ ამპლუის ერთ-ერთ საუკეთესო ქართველ მოთამაშედ და ბევრს კი იმ შემსრულებლად, რომელმაც თავის დროს გაუსწრო და თანამედროვე მცველის სახე ჩამოაყალიბა.

— ფეხბურთის თამაში უბანში დავიწყე — იხსენებს ვლადიმერ ელოშვილი — ცხრა ძმის ქუჩაზე ვცხოვრობდი. ის ქუჩა სვანეთის უბანსა და ნაძალადევს შორისაა. სვანეთის უბნელებში სვანეთის უბნელი ვიყავი, ნახალოვკელებში — ნახალოვკელი. დილიდან სალამომდე ბურთს დავდევდი და ერთ მშვენიერ დღეს თბილისის „შრომითი რეზერვების" გუნდში აღმოვჩნდი, რომელიც მთელი კავშირის მასშტაბით იყო ცნობილი. მასში ირიცხებოდნენ ავთო პაიჭაძე, გარიშვილი, ქვარიანი, დავთიანი, სურგულაძე და გუნდმა 1944 წელს „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობაზე მეორე ადგილი დაიკავა. ყველა ეს ფეხბურთელი მოსკოვში დატოვეს სათამაშოდ და 1945 წელს ახალი შემადგენლობა შეიკრიბა, სადაც მეც ამიყვანეს. ჩვენი გუნდი წინამორბედებს არ ჩამოუვარდებოდა. აქ გამოდიოდნენ რეზო მახარაძე, კაკო თოდრია, კუკური გოგლიძე, კუკური სიხარულიძე. 1945-ში ჩვენ გავიმეორეთ წინა შემადგენლობის წარმატება — მე-2 ადგილზე გავედით „შრომითი რეზერვების" საკავშირო პირველობაზე, 1946-ში კი უკვე ჩემპიონებიც გავხდით. მიგვიწვიეს თბილისის „დინამოში", თუმცა მე გუნდიდან მალე წავედი და ორი წელი „ბ" კლასში მოასპარეზე თბილისის „ლოკომოტივში" გავატარე. 1949 წლიდან კი ისევ „დინამოში" გადავედი და მთელი ჩემი კარიერაც ამ გუნდს დაუკავშირდა.

**— თქვენ მალევე დამკვიდრდით ძირითად შემადგენლობაში...**

— პირველივე სეზონში „დინამოს" ცნობილი მცველის, კიკნაძის ადგილი დავიკავე.

*იმ წლებში „დინამოში" ელოშვილთან ერთად ახალგაზრდა ნიჭიერი თაობა მოვიდა, რომელიც მალე საკავშირო ჩემპიონატის ელიტაში მოხვდა. 1951 წელს კი „დინამოს" მეორე თაობამ, როგორც იხსენიებენ მაშინდელ ფეხბურთელებს, საკავშირო პირველობის ვერცხლის მედლები მოიპოვა.*

**— თქვენი დაცვა ერთ-ერთი საუკეთესო იყო იმ დროის საბჭოთა კავშირში. მეკარე ვლადიმერ მარღანიამ, განაპირა მცველებმა ვლადიმერ ელოშვილმა და იბრაგიმ სარჯველაძემ, ცენტრში ნიაზ ძიაპშიპამ თბილისის „დინამოს" ისტორიაში ერთ-ერთი უძლიერესი დაცვის ხაზი შექმნეს. რა იყო თქვენი წარმატებული თამაშის მიზეზი?**

— მარღანია შესანიშნავი მეკარე იყო. ჩვენ, მცველები კი ერთმანეთთან კარგად ვიყავით შეთამაშებული. ძიაპშპა დაცვის ცენტრში ჭკვიანური თამაშით გამოირჩეოდა და კარგად გვაზღვევდა მე და იბრაგიმს. მაგრამ, ალბათ, ჩვენს დაცვის ხაზს ის გამოარჩევდა, რომ მთელი მონდომებით, ჯიგრიანად ვთამაშობდით.

**— თქვენ საბჭოთა ფეხბურთში პირველი მცველი იყავით, რომელმაც შეტევებში ჩართვა დაიწყო. ამას დღესაც აღნიშნავენ ფეხბურთის ისტორიკოსები.**

— საქმე ისაა, რომ მაშინ ეს იშვიათობა იყო. იმიტომ კი არა, რომ მცველებს ამის უნარი არ შესწევდათ, თვითონ სათამაშო მონახაზი არ იძლეოდა საშუალებას. მოგეხსენებათ, ჩვენ „დუბლ-ვეს" დროს ვთამაშობდით (3-2-5). ჰოდა, ისედაც სამ მცველს ხუთი თავდამსხმელის წინააღმდეგ უხდებოდა პაექრობა და ამ დროს ერთ-ერთ ჩვენგანს თავისი ზონა რომ მიეტოვებინა, წარმოიდგინეთ, რამხელა რისკი იყო.



1957 წელი. ვლადიმერ ელოშვილი (მარცხნივ) ბირმულ ტურნესას

ვლადიმერ ელოშვილი
დაიბადა 1927 წლის
18 დეკემბერს
1949-1959 წლებში
თამაშობდა თბილისის
„დინამოში". 1951, 1953
წლების საბჭოთა
კავშირის ჩემპიონატების
ვერცხლის პრიზიორი,
1950, 1959 წლების
ბრინჯაოს პრიზიორი.
საკავშირო სპარტაკიადის
ვიცე-ჩემპიონი.
1956, 1957 წლებში
დაასახელეს საბჭოთა
კავშირის 33 საუკეთესო
ფეხბურთელს შორის.
საბჭოთა
კავშირის დამსახურებული
მწვრთნელი

# უოქროსმედლო ჩემპიონი

**— მიუხედავად ამისა, თქვენ ხშირად აკეთებდით ამას და გოლებიც გაგქონდათ...**

— ეს ჩვენი მწვრთნელის, მიხაილ იაკუშინის დამსახურება იყო. მან მოიფიქრა ისეთი ტაქტიკური მანევრი, რითაც მე უხიფათოდ ვერთვებოდი შეტევაში. მის დროსვე შემუშავდა კუთხურის გათამაშება, როცა მე საჯარიმოში შევდიოდი და იქიდან ვაწვდიდი პასებს ჩვენს თავდამსხმელებს, რომლებიც მათ შედეგიანად აგვირგვინებდნენ. „მიხაი", როგორც იაკუშინს უწოდებდნენ, დიდი მწვრთნელი იყო.

*თბილისის „დინამოს" შესანიშნავი ფეხბურთელები ჰყავდა — ამას იჯერებს ახალგაზრდა თაობა, მაგრამ რადგან არ იცის, რა დრო იყო მაშინ, უკვირს, რომ ასეთმა ბრწყინვალე მოთამაშეებმა მხოლოდ ორჯერ, 1964 და 1978 წლებში შეძლეს საბჭოთა კავშირის ჩემპიონის ტიტულის მოპოვება. იმ დროს ფეხბურთელებს მარტო მოთამაშეებთან არ უხდებოდათ ბრძოლა. 1953 წელს თბილისის „დინამო", ფაქტობრივად, გახდა საბჭოთა კავშირის ჩემპიონი...*

— ეს წელი მწარე მოგონებად დარჩა. ჩვენი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი იყო და ჩინებული გუნდი ჩამოაყალიბა. პირველივე წრეში დავწინაურდით — 6 მოგება, 3 ფრე და 1 წაგება გვქონდა და 15 ქულით პირველ ადგილზე ვიყავით. მეორე წრეც შესანიშნავად ჩავატარეთ. ბოლო ტურის წინ ჩემპიონობის მოპოვების შანსი ჩვენ და მოსკოვის სპარტაკელებს გვქონდა. ჩვენ მოსკოვში ვთამაშობდით „ტორპედოსთან", „სპარტაკი" — ლენინგრადში „ზენიტთან". თუმცა მანამდე ცუდად გვენიშნა ერთი ფაქტი. პირველობის დამთავრებამდე 4 ტურით ადრე ჩვენი მწვრთნელი მიხაილ იაკუშინი მოსკოვის „დინამოს" თავკაცად გადაიყვანეს, იხვეწებოდა იაკუშინი, ჩემპიონატი ჩამამთავრებინეთო, მით უმეტეს, პირველობის მოგება შეგვეძლო, მაგრამ ამაოდ...

მოკლედ, 10 წუთი აკლია „ტორპედოსთან" მატჩის დამთავრებას, 2:1-ს ვიგებთ და ამ დროს სტადიონის დიქტორი აცხადებს, რომ „სპარტაკი" ლენინგრადში აგებს შეხვედრას — ეს კი, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ჩემპიონები გავხდებით. უცებ მთელი სტადიონი აზუზუნდა — მოედანზე გამძვინვარებული, მთვრალი გულშემატკივრები გადმოცვივდნენ (ამ მატჩის შემდეგ აიკრძალა სტადიონზე სპირტიანი სასმელების შეტანა) და დაგვერივნენ. გულშემატკივრებს ჩვენი გაჩემპიონება ვერ აეტანათ, თანაც 1953 წლის ბოლო იყო, აღარც სტალინი, აღარც ბერია... მთელი ბოღმა ჩვენზე გადმოანთხიეს. გიორგი ანთაძეს ვიღაც ქალი ქოლგას ურტყამდა, დანარჩენებსაც საცემრად დაგვედევნენ. ჩვენ ყველა ეს გამოხტომა მოვითმინეთ და მსაჯმაც მატჩი ბოლომდე მიიყვანა. ჩემპიონები ვართ! ის არბიტრი ძლივს გადაურჩა ბრბოს და მანქანის საბარგულში ჩაწოლილი გააპარეს სტადიონიდან — თამაში რატომ არ ჩაშალაო. ასეა თუ ისე, ჩვენ სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა და იმავე საღამოს დიდი ზარ-ზეიმით აღვნიშნეთ „დინამოს" პირველი ჩემპიონობა რესტორანში.

მეორე დილით სასტუმროში ვიღვიძებთ და ვხედავთ, ჩვენს მწვრთნელ ბორის პაიჭაძეს (იაკუშინის შემდეგ იგი ჩაუდგა გუნდს სათავეში) დანა პირს არ უხსნის. გადათამაშება უნდა ვითამაშოთ ხვალო — გვეუბნება. — რა გადათამაშება, რის გადათამაშება? — აღვშფოთდით ჩვენ. ჯერ ერთი, მატჩი დასრულდა. მეორეც, ინციდენტი მოხდა „ტორპედოს" გულშემატკივრების და არა ჩვენს გამო და გადათამაშება რა შუაშია? ბორის პაიჭაძე გვეხვეწა, თქვენი ჭირიმე, საქმე არ გაირთულოთ, უნდა ვითამაშოთო. როგორი საქმეა? მაგრამ სხვა რა გზა იყო. დავთანხმდით. თურმე მოსკოვის ტორპედოელებიც უარობდნენ თამაშს. სხვათა შორის, ძალიან კარგი, ვაჟკაცი ბიჭები იყვნენ. მეორე დღეს სამართალდამცავმა ორგანოებმა სულ სათითაოდ მოიყვანეს მილიციის მანქანებით სათამაშოდ.

ეს კიდევ არაფერი. მატჩის დღეს სასტუმროს დერეფანში გამოვდივარ და ვხედავ, ცნობილი მსაჯი ნიკალაი ლატიშევი ბორის პაიჭაძეს ესაუბრება (გადათამაშებაში მსაჯად ლატიშევი დანიშნეს, არადა, ის მოსკოველი იყო. თუმცა ამას ვიღა დაგიდევდათ). შემთხვევით ყური მოვკარი ლატიშევის ნათქვამს — ბორის სოლომონოვიჩ, რაც დღეს მოედანზე მოხდება, არ გეწყინოსო. ავღელდი — ესე იგი, განწირულები ვართ. შევედი ჩემს ოთახში, ბუცი გავიხადე და კარადას ვესროლე. სარკეს მოხვდა და ხმაურზე პაიჭაძე შემოვიდა. ვუთხარი, რა აზრი აქვს ჩვენს თამაშს-მეთქი? ბორიამ, ვოვა, უნდა ვითამაშოთ, რა გაეწყობაო.

გავედით სათამაშოდ. ყველაფერი გასაგებია. ტორპედოელებსაც არ უნდათ თამაში. უკვე პირველ ტაიმში ლატიშევმა რეზო მახარაძე გააგდო მოედნიდან, მერე გაგნიძე დაშავდა და ცხრანი დავრჩით. რასაკვირველია, უნდა წავაგოთ. ერთ მომენტში გაბრაზებულმა ჩემს კარში დავარტყი. მარღანიამ რის ვაი-ვაგლახით მოიგერია ბურთი და გაკვირვებულმა შემომხედა, რას შვრებიო? შევძახე, რა მნიშვნელობა აქვს, ვინ გაიტანს-მეთქი. პაიჭაძემ გუნდის ექიმი გამომიგზავნა და შემომითვალა, დამშვიდდი, ნუ ცხარობ, რაიმე არ დაგმართონო. მოკლედ, წაგვაგებინეს და ჩემპიონად „სპარტაკი" გამოაცხადეს. სტადიონიდან რა გრძნობით წამოვიდოდით, კარგად მოგეხსენებათ. გარეთ გულშემატკივრებით გარშემორტყმული მიხაილ იაკუშინი იდგა და აღშფოთებული გაჰყვიროდა — ესაა თქვენი სამართლიანობაო.

ამ წლიდან დაიწყო თბილისის „დინამოს" ჩავარდნა საკავშირო ჩემპიონატებში. ბრწყინვალე ფეხბურთელებით (ღოღობერიძე, მარღანია, ჭკუასელი, კალოევი, ელოშვილი, სარჯველაძე, ანთაძე, მახარაძე) დაკომპლექტებული გუნდი მხოლოდ ხუთეულს მიღმა იყო. მორალური ტრავმა ძალიან მძიმე გამოდგა. მართლაც რთულია, ითამაშო, როცა პირველ ადგილზე გასვლა აკრძალული გაქვს. ერთ თამაშში კი იჯერეს გული. იმ ავბედითი წლის შემდეგ სეზონში პირველი მატჩი თბილისში სწორედ მოსკოვის „სპარტაკთან" ჰქონდათ, ზღვა ხალხი მოაწყდა „დინამოს" სტადიონს და უბედურებაც დატრიალდა — ჭყლეტის დროს ოთხი გულშემატკივარი დაიღუპა. „დინამომ" შესანიშნავად ითამაშა და ცრუ-ჩემპიონი 2:1 დაამარცხა. არადა, „სპარტაკის" ის შემადგენლობა, თითქმის უკლებლივ, მერე ოლიმპიური ჩემპიონი გახდა.

*ელოშვილი, მიუხედავად გუნდისთვის კრიზისული პერიოდისა, მაინც გამოირჩეოდა ჩინებული თამაშით. ხშირად ხვდებოდა 33 საუკეთესოს შორის და ნაკრების კანდიდატიც იყო.*

— მაინცდამაინც მაშინ მივიღებდიხოლმე მძიმე ტრავმას, როცა ოფიციალურ ტურნირზე უნდა წავსულიყავი. ასე იყო მელბურნის ოლიმპიადაზე და 1958 წელს შვედეთის ჩემპიონატის წინაც, როცა მენისკის ოპერაცია დამჭირდა და მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოვხვდი.

**— მსოფლიოს პირველობისთვის სტრელცოვთან ერთად ემზადებოდით. რას იტყვით მასზე?**

— უდიდესი ტალანტი იყო. უნიჭიერესი ფეხბურთელი და შესანიშნავი პიროვნება — განზრახ გააფუჭეს. ის რომ ციხეში არ მოხვედრილიყო, პელეს და გარინჩას დონის მოთამაშე იქნებოდა. რომ გათავისუფლდა, მაინც დაამტკიცა თავისი სიძლიერე, მაგრამ უკვე ძველებური სტრელცოვი აღარ იყო.

ერთ შემთხვევას გავიხსენებ. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი გვქონდა ბულგარეთში. სასტუმროში რომელიღაც სიმპოზიუმის მონაწილეებიც იყვნენ და ნომრები ჭირდა. ერთ ნომერში მოვხვდით მე, მეკარე ოლეგ მაკაროვი და სტრელცოვი. არადა, საწოლი ორი იყო. ერთს დივანზე უნდა დაეძინა, რომელიც არცთუ მოხერხებული იყო. მე, რადგან თადარიგში ვიყავი, დივანზე დავწექი, მაკაროვი უკვე საწოლში იყო და ვიფიქრე, სტრელცოვმა, ნაკრების მთავარმა ფიგურამ, კარგად უნდა მოისვენოს, მასზე ბევრია დამოკიდებული-მეთქი. ოთახში რომ შემოვიდა, ლოგინში გადამაწვინა, აქ რატომ წევხარო. ის მაშინ ოცი წლის ბიჭი იყო, მე — გაცილებით უფროსი და ჩემი „მსხვერპლი" არ მიიღო. არადა, დივანზე ვერ დაეტია. დილით ნომერში კაჩალინი შემოვიდა. მე ვუთხარი, დივანზე ვწვებოდი და ედიკამ არ დამაყენა-მეთქი. „ონ უმნიცა" — თქვა კაჩალინმა და გაელიმა. იგი ინტელიგენტი იყო და რა თქმა უნდა, სტრელცოვის საქციელიც მოეწონა.

20 წლის სტრელცოვი უცხოეთშიც დიდად პოპულარული იყო და მერე რაც მოხდა, კარგად იცით...

**— მიხეილ მესხის ფინტის შესახებაც გვითხარით. ახალი თაობიდან ბევრმა არ იცის, როგორ შეიქმნა იგი.**

— „დინამო" ბულგარეთში ატარებდა მატჩებს. მიშა მაშინ ჩვენთან არ იყო, ახალგაზრდულ ნაკრებში იყო გამოძახებული. ერთ-ერთი თამაშისას ბულგარელი თავდამსხმელისკენ გავემართე და უცებ ამ ფინტით თავბრუ არ დამახვია?... გავგიჟდი, კარგად ვერც გავიგე, რა მოხდა. ფეხბურთელი იქით წავიდა, ბურთი — აქეთ. გავოგნდი. მატჩის შემდეგ, ბანკეტზე ის თავდამსხმელი ჩემს წინ იჯდა და იცინოდა, ეს რა გაგიკეთეო. თვითონაც გახარებული იყო, რომ გამოუვიდა.

მერე, მიშა ახალგაზრდული ნაკრებიდან რომ დაბრუნდა მკითხა, ასეთი რა გაგიკეთა იმ ბულგარელმაო. მე ვუჩვენე. მიშამ ფინტის დამუშავება დაიწყო და მართლაც, შესანიშნავად დახვეწა. თუ ბულგარელმა დამდგარმა გააკეთა (აშკარად გამოუვიდა), მიშა მოძრაობდა და ეს ფინტი მისი „საფირმო იარაღი" გახდა.

*ვლადიმერ ელოშვილმა 1959 წელს დაასრულა კარიერა, დაასრულა ღირსეულად. იმ წელს თბილისის „დინამომ" ხანგრძლივი შესვენების შემდეგ კვლავ მოიპოვა საბჭოთა კავშირის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალი. თუმცა ელოშვილი ფეხბურთიდან არ წასულა. იგი ახალგაზრდა ფეხბურთელების აღზრდას ემსახურა და ემსახურება დღესაც. მან აქაც დიდ წარმატებებს მიაღწია: მისი მწვრთნელობით თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა ორჯერ გახდა საკავშირო ჩემპიონი. ორჯერ იყო საკავშირო ჩემპიონი საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებიც. ელოშვილი ევგენი ლიადინთან ერთად თავკაცობდა საბჭოთა კავშირის ახალგაზრდულ ნაკრებს, რომელიც ორჯერ იყო ევროპის ჩემპიონი და ორჯერ ბრინჯაოს პრიზიორი (ასეთ წარმატებისთვის ნაკრებს შემდეგ არ მიუღწევია). მის აღზრდილთა შორის არიან ვახტანგ ჭელიძე, დავით გოგია, ფირუზ კანთელაძე, მანუჩარ და გოჩა მაჩაიძეები, ვახტანგ კოპალეიშვილი, ალექსანდრე ჩივაძე, ვლადიმერ გუცაევი.*

*და ვლადიმერ ელოშვილი კვლავ ფეხბურთშია. ისევ სტადიონზეა და ქართული ფეხბურთის მომავალს ზრდის, ვეტერან ფეხბურთელთა კავშირის თავმჯდომარეც გახლავთ.*

**— მთელი ცხოვრება ფეხბურთში გაატარეთ. ხომ არ მოგბეზრდათ?**

— ამას ხშირად მეკითხებიან, მაგრამ, ალბათ, ესაა ჩემი ცხოვრებაც — უფეხბურთოდ არ შემიძლია და ახლაც ვთამაშობ.

შარშან აგარაში ვთამაშობდით ვეტერანები ადგილობრივ ფეხბურთელებთან. სამჯერ გავიყვანე თენგიზ სულაქველიძე მეკარესთან პირისპირ და სამი გოლი გაიტანა. მოვიდა და მითხრა — კაცო, შენ რა მაგარი ყოფილხარო!

— აბა, ორმოცი წლის წინ გენახემეთქი, ვუთხარი.

*და მართლაც, ვისაც უნახავს ორმოცი-ორმოცდაათი წლის წინანდელი ვლადიმერ ელოშვილი, არასოდეს დაავიწყდება მისი გულიანი, ბრწყინვალე თამაში, რითაც მან სამუდამოდ დაიმკვიდრა ღირსეული ადგილი თბილისის „დინამოს" ისტორიაში.*

*და ერთიც. ის, რაც ამ ერთმა კაცმა, ვლადიმერ ელოშვილმა მისცა ქართულ ფეხბურთს, უნდა იყოს მაგალითი ყველასთვის, ვისაც ამ საქმისთვის გული შესტკივა.*

ილია მხეიძე

# დუმილი და მრისხანება

აშკოლდს ულდრიკისი ათენიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ლატვიის ნაკრების მწვრთნელ რევაზ ძოძუაშვილისა ვერ გამიგია, უკვე მესამე დღეა, ათენში ვიმყოფებით, ერთ სასტუმროში ვცხოვრობთ, ერთმანეთს დღეში რამდენჯერმე ვხედავთ, ის კი ისეთი დაბღვერილი დადის, ინტერვიუზე ლაპარაკიც ზედმეტია, სიტყვასაც იშვიათად ამბობს. და გგონიათ მარტო ჩემდამია თქვენებური მწვრთნელი ასე განწყობილი? ყველასთან. ძოძუაშვილი ძალიან უხასიათოდაა, თუ ლაპარაკობს, ისიც მხოლოდ სლოვენიასთან ამასწლინანდელ მარცხზე. სულ იმ თამაშის მსაჯის გინებაშია, რა პენალტი დანიშნაო, ამბობს და მერე ლატვიის ფეხბურთის ფედერაციასა და ლატვიის კლუბებს აძაგებს, ნუთუ არ შეიძლებოდა, ჩემპიონატის კალენდარი სხვანაირად შეედგინათ, სად გაგონილა, 19 დღეში გუნდმა შვიდჯერ ითამაშოსო. არადა, ძოძუაშვილი მართალია, ლატვიაში მართლაც ისეა მატჩები დანიშნული, ფეხბურთელს სულის მოთქმაც უჭირს. სლოვენიასთან თამაშამდე კი ჩემპიონატის მორიგი მატჩები 30 მაისს ჩაატარეს, რამაც ძოძუაშვილი ალაშფოთა და ათქმევინა, კლუბების მწვრთნელებს ნაკრები საერთოდ არ აინტერესებსო. სწორედ ისინი იყვნენ იმ ტურის გადადების წინააღმდეგნი. მოკლედ, მწვრთნელი საკმაოდ ცუდ ხასიათზა, თავის ოთახიდან არ გამოდის და ბერძნებთან მნიშვნელოვან შეხვედრაზეც არაფერს ამბობს.

გუნდში კი საბრძოლო განწობაა. ძოძუაშვილისგან განსხვავებით, ფეხბურთელები მხიარულად გამოიყურებიან. წაგებაზე არავინ ფიქრობს. ეგ კი არა, გუშინ ჩვენი ნაკრების კაპიტან ბაბიჩევს რომ ვკითხე, მიპასუხა, აგერ ნახავთ, ბერძნებს თუ არ მოვუგებთო. დამეთანხმებით, საკმაოდ ოპტიმისტური განცხადებაა, ცოტაც გადაჭარბებული, რადგან ოთხშაბათსაც ხუთი ძირითადის ფეხბურთელის გარეშე მოგვიწევს ბერძნებთან თამაში, რომელთაგან ერთ-ერთი მეკარე კარავაევსია. მათ არყოფნაში ძოძუაშვილი, ალბათ, ახალგაზრდებს ენდობა — რუბენსმა და კორობლიოვსმა ხომ სლოვენიელებთანაც ითამაშეს. მწვრთნელს ყველაზე მეტად ის ადარდებს, რომ ფეხბურთელები სასურველ ფორმაში არ არიან, პიკამდე ძალიან ბევრი უკლიათო — თვითმფრინავში ამბობდა ძოძუაშვილი. მისმა ბერძენმა კოლეგა ვასილის დანიელმა კი, გუშინ რომ ვესაუბრე, მითხრა, არც ჩვენები არიან სათანადოდ მომზადებულნი, გადაღლილებს, ლატვიელებთან გაუჭირდებათ. თუმცა, ყველაფრის მიუხედავად აუცილებლად უნდა მოვიგოთ და კარგი იქნება, საქმეს პირველივე ტაიმში თუ მოვამთავრებთ. მეორეში იქნებ დაღლილობამ თავისი ქნას და მეტოქემ გვაჯობოსო. დანიელმა ისე თქვა, თითქოს მატჩი მხოლოდ ერთტაიმიანი იყოს.

ბერძენთა მწვრთნელს ლატვიის ნაკრებზე საკმაოდ ბევრი ინფორმაცია ჰქონია, მას რამდენჯერმე უნახავს ჩვენი ამასწინანდელი მატჩი სლოვენიელებთან.

ყველაფერი კი დღეს გამოჩნდება. თამაში აქაური დროით 9 საათზე დაიწყება.

# ხალხი ზღვაზეა, სტადიონზე რა უნდათ

ვასილ საბრაკოსი ათენიდან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

თბილისიდან შინ დაბრუნებულმა საბერძნეთის ნაკრებმა კვირას დაისვენა და ორშაბათიდან ლატვიელებთან სათამაშოდ დაიწყო მზადება. ყველას კარგად ესმის ამ მატჩის მნიშვნელობა, ლატვიელებთან შეხვედრა ხომ ჩვენთვის ფაქტობრივად გადამწყვეტია და თუ გავიმარჯვეთ, ჯგუფში მეორეობის ძალიან დიდი შანსი მოგვეცემა.

ეროვნული გუნდის მწვრთნელი კი ჩემმა კოლეგებმა თბილისური მატჩის შემდეგ კარგა გვარიანად გააკრიტიკეს, მოვიგეთ, მაგრამ თამაშის ხარისხი სასურველისგან შორს იყო, იღბალი გვქონდა, თორემ დიდი ანგარიშით წავაგებდითო. ვასილის დანიელს ტაქტიკაც დაუწუნეს, შემადგენლობაც და ახლა ლატვიელებთან უეჭველი, თანაც ლამაზი ფეხბურთით მოგება მოსთხოვეს. მწვრთნელი კი ჯიუტად აცხადებს, თბილისში მოგებული შემადგენლობის შეცვლას არ ვაპირებ, მხოლოდ, იძულებული ვარ, კონსტანტინიდისა და პურსუნიდისის ნაცვლად, რომლებსაც ორ-ორი გაფრთხილება აქვთ, ზიკოსი და ფრანცესკოსი ვათამაშოო. ჩემი ინფორმაციით, დანიელი არც „ნიუკასლის“ მცველ დაბიზასის დაყენებას აპირებს ძირითადში.

ისევ ტრავმირებულები არიან ნიკოლაიდისი, ლიბეროპულოსი და იანაკოპულოსი. მათი თამაში გამორიცხულია. სამაგიეროდ, თბილისის მსგავსად დანიელს საქართველოში დაბადებული ანდეას ნინიადისისა ეიმედება — წინა მატჩში ყველაზე მეტად ის გამოირჩეოდა, დარწმუნებული ვარ, ლატვიელებსაც ბევრ პრობლემას შეუქმნის — თქვა მწვრთნელმა, რომელმაც გუშინწინ პრესკონფერენციაც გამართა და ქომაგებს მოუწოდა, სტადიონზე მობრძანდით, თქვენი მხარდაჭერა ჩვენთვის აუცილებელიაო. მე კი მეეჭვება, ათენის ოლიმპიურზე 10 ათასზე მეტი გულშემატკივარი მივიდეს. ჩვენთან ახლა საკმაოდ ცხელა და ხალხი ზღვაზეა გაკრეფილი. ესეც რომ არა, საბერძნეთის ნაკრების ბოლოდროინდელმა წარუმატებლობებმა ქომაგთ სულ აალებინა ეროვნულ გუნდზე ხელი.

პრესკონფერენციაზე კი მოწოდების გარდა ვასილის დანიელმა თქვა:

— ოთხშაბათს ყველაფერი უნდა გავაკეთოთ. აუცილებლად მოგება გვჭირდება. ლატვია ხელწამოსაკრავი გუნდი როდი გახლავთ. მათ სიძლიერეში რიგაში თამაშის დროსაც დავრწმუნდი. ძნელია, მათ დაცვას ხარვეზი მოუნახო. ვიცი, რომ ახლაც დაცვით ფეხბურთს ითამაშებენ და ჩვენს კონტრშეტევებზე დაჭერას შეეცდებიან. მცველები ყურადღებით უნდა იყვნენ, თორემ პახარსი და შტოლცერსი ისეთი სწრაფები არიან, არაფრისგან შეუძლიათ საგოლე მომენტების შექმნა. პრობლემა კი ერთი გვაქვს, ფეხბურთელები გადაღლილები ჩანან, მძიმე ჩემპიონატის შემდეგ ფაქტობრივად არც დაუსვენიათ, თანაც ჩვენი გუნდის უმეტესობას ხომ ოლიმპიაკოსელები შეადგენენ და ჩემპიონატის გარდა საბერძნეთის თასზე და ჩემპიონთა ლიგაშიც თამაშობდნენ.

თბილისში, „შერატონში“, რომ ინციდენტი მოხდა, ამჯერად აღარ განმეორებულა. ვასილის დანიელი გაცილებით კორექტული იყო, თუმცა ბევრი არც ულაპარაკია, პრესკონფერენციაც მალევე დამთავრდა.

ერთი სიტყვით, ლატვიელებთან ქულების დაკარგვაზე რაიმეს თქმა ზედმეტად მიმაჩნია. მხოლოდ მოგება! წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენს მსგავსად, ალბათ, ჩვენც ევროპის ჩემპიონატს მიღმა დავრჩებით.

რაც შეეხებათ ლატვიელებს, მათზე ბევრი არაფერი ვიცი. აქ კვირას ჩამოვიდნენ და სასტუმრო „კარაველში“ დაბინავდნენ, რომელშიც, სხვათა შორის, საქართველოს ნაკრებიც ცხოვრობდა.

და ერთიც. თამაშზე თქვენებურთა გუნდის მწვრთნელ იოჰან ბოსკამპის დასწრებასაც ელიან. მას, ალბათ, საბერძნეთზე მეტად ლატვია აინტერესებს, ჩვენ ხომ ერთმანეთთან საქმე უკვე გარკვეული გვაქვს.

# ძველებურად...

მიძელე იანკუ ტირანადან
საგანგებოდ „სარბიელისთვის“

ტირანაში ბევრი არაფერი შეცვლილა. სლოვენიელებს, რომლებიც ორიოდ დღის წინ, ჩამოფრინდნენ, გაძლიერებულად იცავენ. ისინი სასტუმრო „ევროპარკში“ არიან გამოკეტილნი და მხოლოდ სალამოობით თუ გავლენ სუფთა ჰაერზე, უფრო სწორად „ქემალ სტაფას“ სტადიონზე, რომელიც იქვეა, ხუთი წუთის სავალზე. ივარჯიშებენ და ისევ სასტუმროში ბრუნდებიან.

სლოვენიელები საკმაოდ დიდ გულზე გვეწვივნენ, მათ რომ ჰკითხოთ, უეჭველად მოიგებენ, თუმცა კატანეცი ამბობს, ჩვენ ჩვენი უკვე გავაკეთეთ, ლატვიელებს რიგაში მოვუგეთ და თქვენთან წაგების შემთხვევაშიც შინ ისე დავბრუნდებით, მეორეობის კარგი შანსი გვექნებაო. ფეხბურთელები, როგორც ზემოთ ვთქვი, პირიქით, იბრიქებიან და ნაღდად გავიმარჯვებთო, გაიძახიან. განსაკუთრებით ზაჰოვიჩი აქტიურობს.

ამასობაში ჩვენებისას არ იკითხავთ? ჯერ კიდევ ნორვეგიელებთან მატჩამდე ალბანეთის ნაკრების მწვრთნელი ასტრიტ ჰაფიზი სლოვენიელებზე საკმაოდ კარგი წარმოდგენისა კი იყო, მაგრამ იმასაც ამბობდა, დავამარცხებთო. ჰაფიზის თქმით, იგი შემადგენლობაში ბევრი ცვლილების მოხდენას არ აპირებს და შესაძლოა, სლოვენიელებს ერთბაშად სამი თავდამსხმელი დაუპირისპიროს. არაა გამორიცხული, ძირითად შემადგენლობაში გამოჩნდეს ახალგაზრდა ალბერტ დურო, რომელმაც თბილისში, თქვენს ახალგაზრდულ ნაკრებსაც გაუტანა ის ერთადერთი გოლი. საეჭვოა ჰაჯის თამაში, რომელიც ისევ ავადაა, თუმცა ჰაფიზი ადრინდელივით იმედიანადაა, ითამაშებსო, გვეუბნება. ცოტა ფეხი აწუხებს ვატას, ნორვეგიელებთან მატჩისას ფლომ რომ ჩასცხო. სხვა კი ყველაფერი ძველებურადაა, ტირანაში ძალიან ცხელა, ტემპერატურამ ლამისაა 35 გრადუსს მიაღწიოს.

სამართალდამცავები ისევ მობილიზებულნი არიან, არის ჯავშანტრანსპორტიორების გრუხუნი და მისთანები. ვნახოთ, თამაშისას რა იქნება. როგორც შევიტყვე, ბილეთების 80 პროცენტი გაყიდულია, დანარჩენსაც, ალბათ, მატჩის წინ შეიძენენ ალბანელი ქომაგები.

ჩვენც მოგების იმედი გვაქვს. ნორვეგიასთან კარგი თამაში ამის საფუძველს იძლევა. ეგაა, იღბალმაც უნდა გაგვიღიმოს.

# ჯერ კიდევ გაურკვევლობა

### I ჯგუფი

ჯგუფის ფავორიტ იტალიას შვეიცარიაში გამარჯვების შემთხვევაში ევროპის ჩემპიონატზე მოხვედრა თითქმის განაღდებული ექნება. რაც შეეხება მეორე ადგილს, აქ ერთბაშად სამი გუნდია პლეი ოფის საგზურის კანდიდატი. უელსის და დანიის დაპირისპირება მართლაც ბევრ რამეს გაარკვევს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იტალია | 5 | 4 | 1 | 0 | 11:2 | 13 |
| შვეიცარია | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| უელსი | 5 | 2 | 0 | 3 | 5:11 | 6 |
| დანია | 5 | 1 | 2 | 2 | 4:5 | 5 |
| ბელარუსი | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | 2 |

### III ჯგუფი

მიუხედავად იმისა, რომ გერმანიასა და თურქეთს შორის პირველი ადგილისთვის დაძაბული ბრძოლა მიმდინარეობს, უნდა ვივარაუდოთ, რომ ბუნდესნაკრები მეტოქეს ლიდერის პოზიციას არ დაანებებს. რაც უნდა იყოს, გერმანია გერმანიაა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ევროპის სამგზის ჩემპიონთა უშუალო კონკურენტი თურქეთს მასპინძლობს, ალბათ, ადვილი მისახვედრი იქნება, რომ გერმანელებს თურქთა გასწრება არ გაუჭირდებათ.

შინ თურქეთთან მარცხით ფინელთა შანსები ძალიან შემცირდა. მიუხედავად ამისა, ისინი ბოლომდე ბრძოლას აპირებენ.

ფინეთი დღეს მოლდოვას ხვდება, თუმცა თუ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენლის ნათქვამს ვენდობით, იარი ლიტმანენი კოჭის ტრავმის გამო მოლდოვას, ალბათ, ვერ დაუპირისპირდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გერმანია | 5 | 4 | 0 | 1 | 14:3 | 12 |
| თურქეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 12 |
| ფინეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 8:10 | 6 |
| ჩრდ. ირლანდია | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | 5 |
| მოლდოვა | 6 | 0 | 2 | 4 | 6:16 | 2 |

### IV ჯგუფი

რუსეთის სენ დენიში გამარჯვებამ სიტუაცია ძალიან დაძაბა. დარჩენილი კალენდარი ისეთია, ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

მსოფლიოს ჩემპიონთა მძლეველი რუსეთი ისლანდიას მასპინძლობს და მორიგი გამარჯვების იმედი აქვს. გუნდის ექიმის, იური ვასილკოვის თქმით, ისლანდიელებს ვერ დაუპირისპირდება ალექსანდრ მოსტოვოი. იგი ფრანგებთან შეხვედრისას დაშავდა. სამაგიეროდ, მომჯობინებულა დმიტრი ალეინიჩევი და, ალბათ, ითამაშებს კიდეც.

ჯგუფის მეორე შეხვედრაში ლიდერი უკრაინა სომხეთს ხვდება. უკვე გადაწყდა, რომ სომხებთან მატჩში უკრაინელთა კარს ტრავმირებული ალექსანდრ შოვკოვსკის ნაცვლად მოსკოვის „ტორპედოში“ მოთამაშე ვალერი ვორობიოვი დაიცავს. შოვკოვსკის ვარჯიშზე კოჭი დაუზიანებია, ხოლო რაც შეეხება ვორობიოვს მან ანდორელთა წინააღმდეგაც ითამაშა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უკრაინა | 6 | 4 | 2 | 0 | 12:3 | 14 |
| ისლანდია | 6 | 3 | 3 | 0 | 7:2 | 12 |
| საფრანგეთი | 6 | 3 | 2 | 1 | 10:6 | 11 |
| რუსეთი | 6 | 3 | 0 | 3 | 16:10 | 9 |
| სომხეთი | 6 | 1 | 1 | 4 | 3:10 | 4 |
| ანდორა | 6 | 0 | 0 | 6 | 2:19 | 0 |

### V ჯგუფი

საქმეს ისეთი პირი უჩანს, ინგლისს პლეი ოფში მოხვედრაც ძალიან უნდა გაუჭირდეს. იცით, რატომ ისჯებიან ალბიონელები? იმიტომ, რომ ფეხბურთის გამომგონებლებმა ძალიან ბევრი ქულა გაატანეს ქარს.

ახლა ინგლისელები ბულგარეთს სტუმრობენ და უეჭველი გამარჯვების იმედი აქვთ. თან ბულგარელებს რამდენიმე მოთამაშე დააკლდებათ. გაირკვა, რომ მათ არ ეყოლებათ ნახევარმცველები ზლატკო იანკოვი და მარიან ხრისტოვი, ასევე მეკარე ზდრავკო ზრდავკოვი. მათ დარდ, დაშავებულნი არიან დანიელ ბორიმიროვი და ივაილო იორდანოვი, რომელთა თამაშიც ასევე სათუოა. რაც შეეხება თავდამსხმელ ხრისტო იოვოვს, იგი ინგლისელებთან ორი გაფრთხილების გამო ვერ ითამაშებს.

ლიდერ შვედეთს თავი ქუდში აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| შვედეთი | 5 | 4 | 1 | 0 | 6:1 | 13 |
| პოლონეთი | 5 | 3 | 0 | 2 | 9:4 | 9 |
| ინგლისი | 5 | 2 | 2 | 1 | 7:3 | 8 |
| ბულგარეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 2:6 | 4 |
| ლუქსემბურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 0:10 | 0 |

### VI ჯგუფი

მოდით, ვიწინასწარმეტყველოთ — ჩვენი აზრით, ესპანეთი ევროპის ჩემპიონატზე ჯგუფის გამარჯვებულის რანგში მოხვდება, ფინალურ ეტაპზე კი ამ ჯგუფიდან მეტი ვერავინ გავა. დიახ, დიახ, შეიძლება გაგიკვირდეთ, მაგრამ არა გვგონია, ისრაელმა ანაც ავსტრიამ (პლეი ოფში მოხვედრის შემთხვევაში) მეტოქეთა წინააღმდეგობა დაძლიონ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ესპანეთი | 5 | 4 | 0 | 1 | 28:4 | 12 |
| ისრაელი | 5 | 3 | 1 | 1 | 15:3 | 10 |
| ავსტრია | 6 | 3 | 1 | 2 | 15:16 | 10 |
| კვიპროსი | 5 | 3 | 0 | 2 | 8:8 | 9 |
| სან მარინო | 7 | 0 | 0 | 7 | 1:36 | 0 |

### VII ჯგუფი

გამარჯვებულის დასახელებისგან ამჯერად თავს შევიკავებთ. ლიდერ პორტუგალიას და რუმინეთს პირველ ადგილზე გასვლის თანაბარი შანსი აქვთ. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ რუმინეთს პორტუგალია მისსავე მოედანზე ჰყავს დამარცხებული და მას უნდა უმასპინძლოს, პოტენციურ ლიდერად სწორედ რომ იგი შეიძლება მივიჩნიოთ.

რუმინეთი აზერბაიჯანს ხვდება და მორიგ „გასეირნებას“ ალბათ, სამი ქულის მოპოვებით დაასრულებს. სხვათა შორის, ექსსაბჭოელთა წინააღმდეგ ვერ ითამაშებს „ვალენსიას“ ადრიან ილიე, რომელიც დღეს ესპანეთის თასის ნახევარფინალში მადრიდის „რეალს“ დაუპირისპირდება.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პორტუგალია | 6 | 5 | 0 | 1 | 19:2 | 15 |
| რუმინეთი | 6 | 4 | 2 | 0 | 12:1 | 14 |
| უნგრეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 11:6 | 8 |
| სლოვაკეთი | 6 | 2 | 2 | 2 | 7:4 | 8 |
| აზერბაიჯანი | 6 | 1 | 0 | 5 | 5:17 | 3 |
| ლიხტენშტაინი | 6 | 1 | 0 | 5 | 2:26 | 3 |

### VIII ჯგუფი

ძნელია რაიმეს წინასწარ თქმა. საქმე ლამის საყოველთაო ბოიკოტამდე მივიდეს. უეფა ირლანდიელებს ევროპის ჩემპიონატიდან მოხსნით დაემუქრა, ნატო და სხვა მშვიდობისმოყვარე ორგანიზაციები კი იუგოსლავიის წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადებას ითხოვენ.

არაა გამორიცხული, ევროპის ჩემპიონატზე 1988 წლის შემდეგ პირველად ითამაშოს ირლანდიამ.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 3 | 0 | 0 | 8:1 | 9 |
| მაკედონია | 4 | 2 | 1 | 1 | 9:5 | 7 |
| ხორვატია | 4 | 2 | 1 | 1 | 7:6 | 7 |
| ირლანდია | 3 | 2 | 0 | 1 | 7:1 | 6 |
| მალტა | 6 | 0 | 0 | 6 | 3:22 | 0 |

### IX ჯგუფი

ერთი მოგებაც და ჩეხეთი ევროპის ჩემპიონატზე მოხვდება.

დღეს ევროპის კონტინენტზე გასამართ შესარჩევ მატჩთაგან ჩეხეთი — შოტლანდიის დაპირისპირება, ალბათ, ყველასგან გამორჩეულია.

ფარერებთან მოუგებელი მატჩის შემდეგ შოტლანდიური პრესა ნაკრების მთავარ მწვრთნელ კრეიგ ბრაუნს ძალიან აკრიტიკებდა, თანამდებობის დატოვებაც მოსთხოვა, მაგრამ ბრაუნმა — ცოტა მაცალეთო.

ჩეხებთან შეხვედრაზე დიდადაა დამოკიდებული მისი გუნდში დარჩენა-არდარჩენის საკითხი. სხვათა შორის, ამ შესარჩევ ციკლში ჩეხეთი შოტლანდიას უკვე შეხვდა და დაამარცხა. თამაში გლაზგოში შედგა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩეხეთი | 6 | 6 | 0 | 0 | 14:3 | 18 |
| შოტლანდია | 5 | 2 | 2 | 1 | 7:6 | 8 |
| ესტონეთი | 6 | 2 | 1 | 3 | 11:11 | 7 |
| ბოსნია | 5 | 2 | 1 | 2 | 7:8 | 7 |
| ლიტვა | 6 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 |
| ფარერები | 6 | 0 | 2 | 4 | 2:10 | 2 |

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08; Fax: 93 16 08

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ვიერი და რონალდო, როგორი თავდასხმაა?!

მილანის „ინტერის“ წარმომადგენელთა ოფიციალური განცხადებით იტალიის ნაკრების ფორვარდმა კრისტიან ვიერიმ უკვე მოაწერა მათთან კონტრაქტს ხელი. იმავე განცხადებაში აღნიშნეს, რომ არგენტინელი ნახევარმცველი, დიეგო სიმეონე, საპირისპირო მიმართულებით, „ინტერიდან“ ვიერის ყოფილ კლუბ „ლაციოსკენ“ გაემართა.

— მორჩა, ვიერი „ინტერის“ ფეხბურთელია. ახალი სეზონიდან იგი რონალდოს მხარდამხარ ითამაშებს“— მოჰყავს საინფორმაციო სააგენტო ANSA-ს მილანელთა კლუბის მეპატრონის, მასიმო მორატის ციტატა. მორატიმ ეს კომენტარი „ლაციოს“ პრეზიდენტ სერჯო კრანიოტისთან შეხვედრის შემდეგ გააკეთა.

მორატიმ დასძინა, რომ გარიგება 42,89 მილიონი დოლარის ტოლფასია და თან, ამ თანხაში, სიმეონეს ფასი არ იგულისხმება. ამრიგად, გამოდის რომ მსოფლიოს ფეხბურთის ისტორიაში, არნახული ტრანსფერი განხორციელდა.

შეგახსენებთ, რომ იმავე „ინტერმა“, „ბარსელონას“, რონალდოში 29, 7 მილიონი გადაუხადა, თუმცა, მაშინ, მორატის დამატებითი თანხის გაღებაც მოუხდა და ჯამში ამ საქმეში 45 მილიონი აღმოჩნდა გაღებული. ახლა, როგორც გენებოთ ისე განსაჯეთ, ოფიციაულრად კი ტრანსფერი 29,7 მილიონად შეფასდა.

აქამდე მსოფლიოს რეკორდად ესპანური „ბეტისის“ მიერ ბრაზილიელ დენილსონში, 1997 წელს გაღებული 35 მილიონი დოლარი ითვლებოდა, ხოლო იტალიური რეკორდი ისევ და ისევ ვიერსთან იყო დაკავშირებული: იგი „ლაციომ“ მადრიდის „ატლეტიკოსგან“ 28 მილიონ დოლარად შეიძინა.

გასულ სეზონში კრისტიან ვიერიმ „ლაციოს“ შემადგენლობაში სერია A-ში 12 გოლი გაიტანა. მეტის გატანა ტრავმამ არ დააცალა, თუმცა მაისში, თასების მფლობელთა თასის ბოლო ფინალში, სწორედ ვიერიმ გახსნა ანგარიში. ვიერი ავსტრალიაშია გაზრდილი. სამშობლოში დაბრუნებისა და პროფესიონალ ფეხბურთელად ქცევის შემდეგ „ლაციომდე“ ითამაშა „პრატოში“, „პიზაში“, „რავენაში“, „ვენეციაში“, „ტორინოში“, და „იუვენტუსში“ (1996-97) სადაც გაიცნო მარჩელო ლიპი, მწვრთენლი, რომელსაც „ინტერში“ კვლავ შეხვდება. „იუვენტუსსა“ და „ლაციოს“ შორის შუალედებში ფორვარდმა ესპანეთში, კერძოდ მადრიდის „ატლეტიკოში“ გაატარა ერთი სეზონი. მადრიდელებმა იგი ტურინელებისგან 19,31 მილიონ დოლარად იყიდეს.

მაგრამ... „ლაციოს“ ოფიციალურად ჯერ არაფერი დაუდასტურებია.



კრისტიან ვიერი

# ...ხოლო რუსები კიტრივით იყვნენ

ემანუელ პეტი, საფრანგეთის ნაკრებისა და ლონდონის „არსენალის“ ნახევარმცველი გვაფრთხილებს: ფეხბურთში დოპინგის მასობრივად შემოჭრაა მოსალოდნელი. მიზეზი, პეტის თქმით, კალენდრის დაუსრულებელი გადატვირთვა გახლავთ.

„როდესაც ველოსპორტში არსებულ დოპინგ-პრობლემაზე ვკითხულობ, საკუთარ თავს ვეუბნები, რომ ფეხბურთშიც ზუსტად იგივეა მოსალოდნელი. ასე თუ გაგრძელდა ყველა სპორტსმენს, ყოველ შემთხვევაში, უმეტესობას, კარიერაში, დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში მოუწევს სტიმულატორების სმა“ — ამბობს პეტი. კაცი რომელმაც გასულ სეზონში 50-ზე მეტი შეხვედრა მარტო „არსენალის“ შემადგენლობაში ჩაატარა.

„მანიუსი კარგად მესმის. მეც შემიძლია, იგივე აზრი განვავრცო“ — განუცხადა გაზეთ „ეკიპს“ საფრანგეთის ნაკრების ექიმმა ჟან-მიშელ ფერემ — დროა, მთელ ევროპაში ჰარმონიზებული კალენდარი შემოვიღოთ. მასში ეკონომიკური მომენტიც უნდა გავითვალისწინოთ და საბოლოოდ დავადგინოთ, რამდენი მატჩი უნდა ჩაატაროს პროფესიონალმა ფეხბურთელმა სეზონის განმავლობაში“.

ფერე ექიმია და როგორც პროფესიონალი, ამტკიცებს, რომ მოთამაშეები, გარდა ფიზიკურისა, ფსიქოლოგიურად გახლავან მეტისმეტად გადაღლილი. მაგალითად, ფერეს გასული წლის მსოფლიოსა და ევროპის საუკეთესო ფეხბურთელის, ზინედინ ზიდანის ტრავმა მოჰყავს და ამტკიცებს, რომ სწორედ გადაღლა იყო ამ ტრავმის გამომწვევი მიზეზი.

„გარკვეულ მომენტში ჩვენს თავს უნდა ვუთხრათ „სტოპ“ და ფეხბურთელებს დასვენებისა და ძალთა აღდგენის საშუალება მივცეთ“ — აცხადებს ექიმი.

საფრანგეთში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, ფეხბურთელთა შორის ანაბოლური სტეროიდის, ნანდროლინის გამოყენების რამდენიმე შემთხვევაა დაფიქსირებული, თუმცა ამ ქვეყნის მთავარი საზრუნავი მაინც ველოსპორტია.

პეტი ამბობს, რომ შაბათს, რუსეთის ნაკრებთან შეხვედრის დროს (საფრანგეთმა წააგო 2:3), თანაგუნდელის, იური ჯორკაეფის ტრავმა რომ იხილა, ძმის სიკვდილი გაახსენდა.

„მომაგონდა ძმა და განსაკუთრებით მწვავედ ვიგრძენი იმ რიტმისა და ცხოვრების სიმძიმე ჩვენ რომ გვაწევს ზურგზე“ — თქვა პეტიმ, რომლის უმცროსი ძმა, მოყვარული ფეხბურთელი, მოედანზე წაიქცა და გარდაიცვალა.

„რუსებთან თამაშმა კრივი მომაგონა. მატჩის მიწურულს ჩვენ გაქცევის თავი აღარ გვქონდა, რუსები კი კიტრივით სალად გამოიყურებოდნენ... ამის მერე, კიდევ, მსოფლიოს ჩემპიონატზე ორ წელიწადში ერთხელ თამაშზე დაგვიწყებენ ლაპარაკს“ — დასძინა პეტიმ.

## ფეხბურთის რუკასთან



**გერმანიის ბუნდესლიგის ბინადარ ბერლინის „ჰერტას“ მადრიდის „რეალის“ ხორვატი თავდამსხმელის — დავორ შუკერის გადაბირება უნდა. 30 წლის ფეხბურთელით კიდევ სამი ლონდონური კლუბია დაინტერესებული. ინგლისელთა განცხადებით, თუ შუკერი მათთან გადავა, მისი ანაზღაურება კვირაში საშუალოდ 40 000 გირვანქა იქნება. ხორვატიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელის შეძენის სურვილი სხვა ბუნდესლიგურმა კლუბმა, დორტმუნდის „ბორუსიამ“ ჯერ კიდევ ზამთარში გამოთქვა.**

თურქეთის ჩემპიონატში წლეულს მესამე ადგილზე გასულმა სტამბულის „ფენერბაჰჩემ“ „ტრაბზონსპორისგან“ თურქეთის ეროვნული ნაკრების ორი ფეხბურთელი — აბდულა ერკანი და ოგუნ თემისქანოღლუ 7 მილიონ აშშ დოლარად შეიძინა.

**ინგლისის დედაქალაქის კლუბ „არსენალში“ ლივერპულის „ევერტონიდან“ ფრანგი ნახევარმცველი, ოლივიე დაკურტი გადავიდა. ლივერპულულმა კლუბმა დაკურტი შარშან ზაფხულში ფრანგული „სტრაბსურიდან“ 4 მილიონ გირვანქად შეიძინა, ახლა კი „არსენალმა“ მასში 2 მილიონით მეტი გადაიხადა. ამჟამად ინგლისური კლუბი ბრაზილიურ „კრუზეიროსთან“ აწარმოებს მოლაპარაკებას — ინგლისელები მათი მცველის, სილვინიოს შეძენას აპირებენ.**

იტალიური „პარმას“ წარმომადგენლებმა გუშინ გამართულ პრეს-კონფერენციაზე კატეგორიულად განაცხადეს, რომ მათი კლუბის ფრანგი მცველი ლილიან ტურამი მომავალ სეზონსაც „პარმაში“ გაატარებს. „პარმაში“ თავს მშვენივრად ვგრძნობ და გუნდის გამოცვლას ჯერჯერობით არ ვაპირებ. ამჟამად მხოლოდ ოთხშაბათის მატჩზე ვფიქრობ, სადაც აუცილებლად უნდა ვიმარჯვოთ“ — თქვა თავად ტურამმა. შეგახსენებთ, რომ ოთხშაბათს საფრანგეთის ეროვნული ნაკრები სტუმრად ანდორას ეთამაშება.

**ავსტრალიის ეროვნული ნაკრების თავდამსხმელი მარკ ვიდუკა 5 მილიონ გირვანქად გლაზგოს „სელტიკიდან“ ლონდონის „ტოტენჰემში“ გადავიდა. თავად 23 წლის ფეხბურთელი, რომელიც შოტლანდიელებმა გასულ ნოემბერს „ზაგრებისგან“ 3,5 მილიონ გირვანქად შეიძინეს, კმაყოფილია ტრანსფერით და იმედოვნებს, რომ ახალ კლუბში თავის შესაძლებლობებს სრულად გამოავლენს.**

პორტუგალიური საკლუბო ფეხბურთის ერთ-ერთი გრანდი ლისაბონის „სპორტინგი“ უმწვრთნელოდ დარჩა მას შემდეგ, რაც გასულ ორშაბათს კლუბის ხელმძღვანელობამ გუნდის ხორვატი თავკაცი მირკო იოზიჩი დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლა. „სპორტინგის“ ხელმძღვანელობა უკმაყოფილო იყო იმით, რომ გუნდმა წლეულს პორტუგალიის ჩემპიონობა ვერ მოიპოვა. ეს ლისაბონური კლუბი ბოლოს 17 სეზონის წინ ფლობდა პორტუგალიაში უძლიერესის ტიტულს, წლევანდელ გათამაშებაში კი ჩემპიონ „პორტუს“ 16 ქულით ჩამორჩა.

**შვედეთის ახალგაზრდული ნაკრების ნახევარმცველი ოუმარ კონდე ინგლისურ „ბლექბერნ როვერსიდან“ გერმანულ „ფრაიბურგში“ გადავიდა, სადაც სამწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.**

ესპანეთის ეროვნული გუნდის ყოფილი თავკაცი ხავიერ კლემენტე, რომელიც ამჟამად სევილიის „რეალ ბეტისს“ წვრთნის, სეზონის ბოლოს დატოვებს კლუბს. მას არგენტინელი ფეხბურთის სპეციალისტი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი ამერიკო გალიეგო შეცვლის. გალიეგოს საკმაო სამწვრთნელო გამოცდილება აქვს. იგი დანიელ პასარელას ასისტენტი იყო, როცა ეს უკანასკნელი არგენტინის ნაკრებს თავკაცობდა, აგრეთვე სათავეში ედგა ბუენოსაირესის „რივერ პლეიტს“. რაც შეეხება „ბეტისის“ შემადგენლობაში ალფონსოს დარჩენა-არდარჩენას, კლუბის პრეზიდენტის, მანუელ რუის დე ლოპერას განცხადებით, თუ რომელიმე გუნდი მის გადაბირებას მოისურვებს, 8 000 მილიონი პესეტას (49,54 მილიონი აშშ დოლარი) გადახდა მოუწევს.

**ბრაზილიის ნაკრების ნახევარმცველი, პაულუ სერჟიო, ახლოსაა გერმანიის ჩემპიონ მიუნხენის „ბაიერნში“ გადასვლასთან. ეს ამბავი ბავარიელთა დირექტორმა, ული ჰოინესმა, გამოაცხადა. „მოლაპარაკებები ძალიან კარგად მიდის როგორც ფეხბურთელის ასევე კლუბის ინტერესების გათვალისწინებით“ — განაცხადა ჰოინესმა. ელიან, რომ პაულუ სერჟიო სამწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და ამის საფასურად მისი ახლანდელი კლუბი, „რომა“ 7.95 მილიონ დოლარს მიიღებს.**

# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

### ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.06 | უელსი — დანია | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | შვეიცარია — იტალია | 4,4 | 2,8 | 1,8 |
| | ალბანეთი — სლოვენია | 2,0 | 2,8 | 3,5 |
| | საბერძნეთი — ლატვია | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,6 |
| | მოლდოვა — ფინეთი | 3,5 | 2,8 | 2,0 |
| | ანდორა — საფრანგეთი | 20,0 | 10,0 | 1,01 |
| | რუსეთი — ისლანდია | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| | სომხეთი — უკრაინა | 10,0 | 5,6 | 1,15 |
| | ლუქსემბურგი — პოლონეთი | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| | ბულგარეთი — ინგლისი | 4,0 | 3,0 | 1,8 |
| | პორტუგალია — ლიხტენშტაინი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 0:5 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| | უნგრეთი — სლოვაკეთი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | რუმინეთი — აზერბაიჯანი | 1,01 | 10,0 | 20,0 |
| | 0:4 | 1,9 | 4,7 | 2,0 |
| | ირლანდია — მაკედონია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| | ესტონეთი — ლიტვა | 2,2 | 2,8 | 3,1 |
| | ფარერები — ბოსნია | 3,6 | 2,9 | 1,9 |
| | ჩეხეთი — შოტლანდია | 1,5 | 3,3 | 6,0 |

### შვედეთის ჩემპიონატი. IX ტური

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.06 | ელფსბორგი — იურგარდენი | 1,9 | 2,8 | 3,8 |
| | იორგრიტე — კალმარი | 1,6 | 3,2 | 5,0 |
| | ჰალმსტადი — იორებრო | 1,6 | 3,1 | 5,3 |
| | მალმიო — ნორჩიოპინგი | 1,7 | 3,0 | 4,7 |
| 10.06 | ტრელებორგი — ჰელსინგბორგი | 2,4 | 2,7 | 2,8 |

### ესპანეთის თასის ნახევარფინალი. I მატჩები

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.06 | ვალენსია — რეალი | 2,2 | 2,8 | 3,1 |

### ხელბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი. მერვედფინალი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.06 | ესპანეთი — ბრაზილია | 1,03 | 8,0 | 12,0 |
| | დანია — კუბა | 1,5 | 8,0 | 2,0 |
| | ეგვიპტე — ტუნისი | 1,05 | 8,0 | 8,0 |
| | გერმანია — ალჟირი | 1,1 | 8,0 | 5,3 |
| | რუსეთი — კორეა | 1,03 | 8,0 | 12,0 |
| | ხორვატია — იუგოსლავია | 1,9 | 8,0 | 1,55 |
| | საფრანგეთი — უნგრეთი | 1,3 | 8,0 | 2,8 |
| | შვედეთი — ნორვეგია | 1,1 | 8,0 | 5,3 |

### კალათბურთი. NBA. პლეი-ოფი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 09.06 | ინდიანა — ნიუ იორკი | 1,3 | 12,0 | 2,8 |

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

## EURO 2000
ახალგაზრდული ნაკრებები

UNDER-21 Championship

II ჯგუფი

**საბერძნეთი 6:0 ლატვია**

1:0 პაპაძოპოლუ (32), 2:0 ხუტოსი (40), 3:0 კარაგუნისი (63), 4:0, 5:0 ხუტოსი (72, 75), 6:0 ლიკოპიოსი (90)

III ჯგუფი

**მოლდოვა 1:1 ფინეთი**

1:0 ივანოვი (57), 1:1 კალიო (81)

IV ჯგუფი

**სომხეთი 1:1 უკრაინა**

1:0 აკოფიანი (13), 1:1 მიტროფანოვი (47)

V ჯგუფი

**ბულგარეთი 0:1 ინგლისი**

0:1 კორტი (87)

VII ჯგუფი

**რუმინეთი 1:1 აზერბაიჯანი**

1:0 ლუკა (20), 1:1 ისმაილოვი (65)

**უნგრეთი 3:0 სლოვაკეთი**

1:0 ფერენცი (32), 2:0 ბოორი (36), 3:0 საბიჩი (51)

IX ჯგუფი

**ლიტვა 2:0 ესტონეთი**

1:0 სამსონოვასი (52), 2:0 პოსკუსი (84)

**ჩეხეთი 3:2 შოტლანდია**

1:0 დოშეკი (8), 1:1 ტომპსონი (50), 1:2 პიკლო (69), 2:2 პაიზი (74), 3:2 სიონკო (86)

## არგენტინა

მე-17 ტური. ინდეპენდიენტე — ბოკა ხუნიორსი 4:0, რივერ პლეიტი — რასინგ კლუბი 2:3, ესტუდიანტესი — ნიუელს ოლდ ბოისი 0:0, როსარიო სენტრალი — ხიმნასია ლა პლატა 2:0, უნიონი — ფერო კარილი 0:0,ველეს სარსფილდი — პლატენსე 1:1, სან ლორენსო — ბელგრანო 0:0, ტალერესი — ურაკანი 2:2, ლანუსი — ხიმნასია ხუხუი 1:2

*„ბოკა ხუნიორსი“ კლაუსურას ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე ჩემპიონია. შეგახსენებთ, რომ არგენტინაში ერთი სეზონის მანძილზე ორი ჩემპიონატი ტარდება — აპერტურა და კლაუსურა. კლაუსურას პირველობა მეორეა. ჩემპიონატები ერთ წრედ ტარდება.*

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 17 | 12 | 4 | 1 | 29:8 | 40 |
| რივერ პლეიტი | 17 | 10 | 3 | 4 | 33:18 | 33 |
| სან ლორენსო | 17 | 9 | 5 | 3 | 28:18 | 32 |
| როსარიო | 17 | 8 | 4 | 5 | 21:19 | 28 |
| ინდეპენდიენტე | 17 | 7 | 5 | 5 | 28:24 | 26 |
| ნიუელსი | 16 | 7 | 4 | 5 | 27:18 | 25 |
| უნიონი | 17 | 7 | 4 | 6 | 25:25 | 25 |
| კოლონი | 16 | 6 | 6 | 4 | 24:17 | 24 |
| ბელგრანო | 16 | 6 | 4 | 6 | 18:18 | 22 |
| არგ. ხუნიორსი | 16 | 6 | 4 | 6 | 17:19 | 22 |
| ხიმნასია (ლ-პ) | 17 | 6 | 4 | 7 | 27:32 | 22 |
| ლანუსი | 17 | 5 | 4 | 8 | 22:24 | 19 |
| ხიმნასია (ხ) | 17 | 5 | 4 | 8 | 27:35 | 19 |
| ესტუდიანტესი | 17 | 3 | 9 | 5 | 15:16 | 18 |
| ტალერესი | 17 | 4 | 6 | 7 | 22:25 | 18 |
| ველესი | 17 | 4 | 6 | 7 | 18:22 | 18 |
| რასინგ კლუბი | 15 | 5 | 3 | 7 | 17:23 | 18 |
| ფერო კარილი | 17 | 2 | 8 | 7 | 8:17 | 14 |
| პლატენსე | 17 | 3 | 5 | 9 | 14:27 | 14 |
| ურაკანი | 17 | 2 | 6 | 9 | 14:29 | 12 |


REUTERS ბეჟენის არქივიდან

სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარებული მარტინ პალერმო (მარცხნივ) ჩემპიონთა ლიდერი გახლდათ

# მსოფლიოს ჩემპიონთა ჩემპიონატი

FIFA

ფიფას პრეზიდენტმა ზეპ ბლატერმა ახალი იდეა წამოაყენა — ჩატარდეს ჩემპიონატი მსოფლიოს ჩემპიონატის ყველა გამარჯვებულს შორის.

უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, ბლატერის აზრით, ინგლისი, გერმანია, იტალია, საფრანგეთი, არგენტინა, ბრაზილია და ურუგვაი, ანუ მსოფლიოს ჩემპიონატის გამარჯვებულები უდავოდ იმსახურებენ ცალკე ტურნირს.

ფიფას პრეზიდენტმა პირველი ასეთი ტურნირის მასპინძელი ქვეყანაც შეარჩია — ესპანეთი, რომლის ნაკრებიც პირდაპირ იქნება დაშვებული ტურნირზე.

— ჯერ მხოლოდ საწყის სტადიაში ვართ. თუ წამოწყებამ გაამართლა და გუნდებმაც მონაწილეობაზე თანხმობა განაცხადეს, მაშინ სასურველი იქნება, ეს ტურნირი ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ჩატარდეს. სწორედ ისე, როგორც მსოფლიოს ჩემპიონატი — თქვა ბლატერმა.

იდეის ხელისშემშლელ პირობად შეიძლება კონტინენტის პირველობები იქცეს, თუმცა, ბლატერის აზრით, მთავარია, გადაწყდეს და ამ პრობლემას მოევლებაო.

# თუ ანელკა წავა

„არსენალის“ საქმე ასეა: თუ ნიკოლა ანელკა ვერ შეინარჩუნა, „იუვენტუსს“ ტიერი ანრის შეევაჭრება — ფრანგი ფრანგით უნდა შეიცვალოს ანუ ზანგი ზანგით.

ლონდონური კლუბი ფიფაში ჩივის, მადრიდის „რეალმა“ ჩემს 19 წლის თავდამსხმელს, ანელკას, ჩუმად გაუბა მოლაპარაკება და აგენტების მთელი ჯარი მის ესპანეთში გადაყვანაზე მუშაობსო. „არსენალმა“ გამოიძია, რომ ანელკას წარმომადგენლები — ფეხბურთელის ძმები — „რეალის“ პრეზიდენტს, ლორენსო სანსს შეხვედრიან და ტრანსფერის პირობებზე დაუწყიათ საუბარი. არადა, არსებობს მკაფიოდ დაწერილი კანონი, რომელიც კლუბის ზურგსუკან მის ფეხბურთელებთან მოლაპარაკებას კრძალავს.

რაც შეეხება ანრის, იგი გასულ ნოემბერს, 13 მილიონი გირვანქის სანაცვლოდ, „მონაკოდან“ „იუვენტუსში“ გადავიდა. საგულისხმოა, რომ „მონაკომ“, მანამდე, სწორედ „არსენალს“ შეუთვალა ანრის ყიდვაზე უარი.

„არსენალი“ და „იუვენტუსი“ უკვე სხედან მოლაპარაკებათა მაგიდასთან. მათი საუბრის საგანი ჯერჯერობით მხოლოდ ტურინული გუნდის მცველი ჯანლუკა პესოტო გახლავთ. ლონდონელები მასში 7 მილიონ გირვანქას იხდიან.

სარბიელის საერთაშორისო სატელეფონო კავშირს
უზრუნველყოფს კომპანია საქტელეკომ პლუსი
☎ 99 67 67, 98 30 20

# რომიდან და რომში მიმავალი გზები

„რომა“ მადრიდის „რეალს“ იუგოსლაველ თავდამსხმელს, პრედრაგ მიატოვიჩს სთხოვს. თუ გარიგება შედგება, მიატოვიჩი იქნება რომაელთა ახალი მწვრთნელის, ფაბიო კაპელოს პირველი შენაძენი. შეგახსენებთ, რომ ორი სეზონის წინ კაპელო „რეალს“ ედგა სათავეში და 11 მილიონ გირვანქად შეფასებული ფორვარდის ავანჩავანი ძალიან კარგად მოეხსენება.

მიატოვიჩის გაყიდვა „რეალს“ განახლებისთვის ასე საჭირო, დამატებით თანხას მისცემს. მოგეხსენებათ, მადრიდული კლუბი დიდ გეგმებს ისახავს. ის პრიმერა დივიზიონში „ბარსელონას“ კონკურენციას, ხოლო ევროპის ჩემპიონთა ლიგაში თასისთვის ბრძოლას აპირებს.

მეორე მხრივ, იუგოსლაველი კონტინენტის ერთ-ერთ ყველაზე კარგ თავდამსხმელად არის აღიარებული. 1998 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში მან მეტოქეთა კარში 14 გოლი გაიტანა.

„რომა“ მიატოვიჩით, სამპდორიელ ვინჩენცო მონტელასთან კონტრაქტის გაფორმებიდან ორი კვირის მერე დაინტერესდა. მონტელა კი ის ფორვარდი გახლავთ, რომელმაც იტალიის ეროვნულ გუნდში, პირველად, გასულ შაბათს, უელსის წინაამდეგ 4:0 მოგებულ შეხვედრაში ითამაშა.

კაპელოს რომაულ პრობლემათაგან მარკო დელვეკიოსა და ლუიჯი დი ბიაჯოს მომავალია გამოსაყოფი. ეს წყვილი, წინა მწვრთნელის, ზდენეკ ზემანის დროს ინგლისურ „ჩელსში“ 16 მილიონ გირვანქად იყიდებოდა, მაგრამ კაპელომ შეიძლება გარიგება ჩაშალოს.

„რომას“ რუსი ფეხბურთელი, დმიტრი ალეინიჩევი კი გამოჯანმრთელდა. მას ნეკნი ჰქონდა გატეხილი, მაგრამ მკურნალობამ წარმატებით ჩაიარა და დღეს ისლანდიის ნაკრებთან თავისი ქვეყნის ეროვნული გუნდის შემადგენლობაში, ალბათ, ითამაშებს.

# წავიდა

## ჯანლუკა ვიალიმ თამაშს თავი დაანება


ჯანლუკა ვიალი

თავდამსხმელი

დაიბადა 1964 წლის 9 ივლისს იტალიის ქალაქ კრემონაში

კლუბები: „კრემონეზე“ (იტალია, 1980-84), „სამპდორია“ (იტალია, 1984-92), „იუვენტუსი“ (იტალია, 1992-96), „ჩელსი“ (ინგლისი, 1996-99)

ტიტულები: იტალიის ჩემპიონი — 1991, 95; იტალიის თასი — 1985, 88, 89, 95; იტალიის სუპერთასი — 1991; ინგლისის თასი — 1998; ინგლისის ლიგის თასი — 1997; ჩემპიონთა თასი — 1996; თასების მფლობელთა თასი — 1990, 98; უეფას თასი — 1993; ევროპის სუპერთასი — 1998; მსოფლიოს ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1990; ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი — 1988

ნაკრებში: 59 მატჩში 16 გოლი

**თანამედროვეობის** ერთ-ერთმა უძლიერესმა თავდამსხმელმა გუშინ განაცხადა, რომ ფეხბურთს თავს ანებებს. დღეიდან ვიალი „ჩელსის“ მოთამაშე-მწვრთნელი აღარ იქნება. ახლა ლუკა მხოლოდ მწვრთნელობას გასწევს.

ბოლო წლებში ვიალი იშვიათად ჩნდებოდა მინდორზე. თავს ბევრს არ სთხოვდა — გამოდიოდა შედარებით სუსტ მეტოქეებთან და მისი ფეხბურთელობაც ამით შემოიფარგლებოდა. ახლა მიხვდა, რომ აღარ უნდა ეთამაშა და რადგან ლონდონის კლუბს ახალი სეზონიდან დიდი მიზნები აქვს, მისმა თამაშმა შეიძლება კლუბის გეგმები ჩაფუშოს. თან „ჩელსი“ თავდამსხმელებს ყიდულობს, ამ შემთხვევაში კი ვიალის ფეხბურთელები უნებურად უნდა შეევიწროებინა.

სამართლიანი გადაწყვეტილება იყო. დღესდღეობით ვიალი-მწვრთნელი „ჩელსის“ უფრო მეტ სიკეთეს მოუტანს, ვიდრე ვიალი-ფეხბურთელი. ეს, ალბათ, თავად იტალიელმაც იცის. კაცმა რომ თქვას, 1997 წლის შემდეგ, ანუ კლუბში გატარებული პირველი სეზონის მერე, ვიალის ფეხბურთი ხეირიანად არც უთამაშია. მერე მწვრთნელის თანამდებობაზე რუდ გულიტი შეცვალა და დაიწყო საინტერესო, ერთი შეხედვით უცნაური ცხოვრებაც — მწვრთნელ-ვიალის როცა მოესურვებოდა, მაშინ ჩაერთვებოდა თამაშში. ისე მომხდარა, გოლიც გაუტანია, მაგრამ იშვიათად. მთლიანობაში ვიალის მწვრთნელობა უფრო სასარგებლო გახლდათ.

დღეს იგი პატივცემული პიროვნებაა. ჯანლუკა ვიალი ბოლო ათწლეულის ერთ-ერთი უძლიერესი თავდამსხმელი გახლდათ. საქვეყნოდ დაფასებულ საფეხბურთო მოღვაწედ მწვრთნელობისას იქცა. ასე რომ, ბედს ნამდვილად არ უჩივის. იტალიაში იყო და გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდა, „ჩელსიში“ გადავიდა და კლუბის აღზევებაც დაიწყო.

გენუის „სამპდორიაში“ დაიქუხა პირველად. მან, რობერტო მანჩინიმ და კიდევ რამდენიმე შესანიშნავმა ფეხბურთელმა კლუბს ის მწვერვალები დააპყრობინეს, რომელზეც „სამპდორია“ ადრე მხოლოდ თუ ოცნებობდა. გენუელებმა იტალიის თასი სამჯერ მოიგეს, 1990 წელს თასების მფლობელთა თასიც აღმართეს, მაგრამ ყველაზე დიდ მიღწევად დღემდე 1991 წელს მოგებულ ჩემპიონატს მიიჩნევენ. სერია A „სამპდორიას“ არც მანამდე და არც შემდეგ არ მოუგია. ვიალიმ და მისმა თაობამ კი შეძლეს.

1992 წელს ლუკა მსოფლიოს უძვირფასესი ფეხბურთელი შეიქნა — იტალიის ყველაზე პოპულარულმა კლუბმა ტურინის „იუვენტუსმა“ გენუელებს 12 მილიონი გირვანქა გადაუხადა და თავდამსხმელი თავისთან წაიყვანა. არც ტურინში შეურცხვენია თავი ვიალის — გამარჯვებისთვის ილვწოდა და მიზანსაც აღწევდა. იტალიის ჩემპიონობა, იტალიის თასი, უეფას თასი და ყველაფერი ამის გვირგვინი — ჩემპიონთა თასი. 1996 წელს „იუვენტუსმა“, რომლის ლიდერიც ვიალი გახლდათ, ევროპის ყველაზე პრესტიჟული ევროთასი მოიგო.

აპენინები ვიალიმ სწორედ 1996 წელს ზაფხულში დატოვა. იტალიაში ყველაფერი მოვიგეო, თქვა თავდამსხმელმა და ნახევარკუნძულიდან კუნძულისკენ გასწია. ნისლიანი ალბიონი ვარსკვლავს სიხარულით შეხვდა, არც ვიალი იყო დაღვრემილი. ასე დაბადა ურთიერთგაგება და პირველი გამარჯვება — ინგლისის ლიგის თასი. ამას ასოციაციის თასი მოჰყვა, მერე თასების მფლობელთა თასი, სულ ბოლოს კი ევროპის სუპერთასი.


იყო და აღარ იქნება

უცნაურია. ამდენი ხანია, ვიალის სამ კლუბზე ვსაუბრობთ და უამრავი თასის და ტიტულის ჩამოთვლამ მოგვიწია. და ფეხბურთელი, რომელიც საკლუბო დონეზე მუდამ (იშვიათი გამონაკლისის გარდა) გამარჯვებულთა შორის გახლდათ, ქვეყნის პირველ გუნდში იშვიათად ჩნდებოდა.

ვიალი „სკუადრა აძურადან“ არიგო საკიმ მოკვეთა. მწვრთნელსა და ფეხბურთელს შორის რაიმე განხეთქილება არ ყოფილა, ვიალის გუნდიდან წასვლასაც არ ეთქმოდა სკანდალური. უბრალოდ, საკიმ ერთ დღეს გაიღვიძა და ლუკას ნაკრებიდან დათხოვნა გადაწყვიტა. ყველაფერი უჩუმრად მოხდა, დიდი აყალ-მაყალის გარეშე. საერთოდ, ვიალის ცხოვრება, მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში საკმაოდ კეთილშობლიური გვარის შთამომავალია, ხმაურიანი არასდროს ყოფილა. ერთი ამ ზაფხულს იყო, დოპინგ-სკანდალში რომ დასდეს ბრალი, თორემ ისე ლუკა ჩვეულებრივზე ჩვეულებრივად, წყნარად, მშვიდად ცხოვრობდა.

ფეხბურთსაც უხმაუროდ გამოეთხოვა. საყვარელ საქმეს უცბად არ შეეშვა — ნელ-ნელა, ორი წელი ეჩვეოდა უფეხბურთოდ ცხოვრებას და ახლა გადაწყვეტილებაც მიიღო:

ვიალი ფეხბურთიდან წავიდა.

**ლაშა გოდუაძე**

# ვანდერლეი ლუქსემბურგო
# მანჩესტერ იუნაიტედის მომავალი მწვრთნელი

*ვანდერლეი ლუქსემბურგო, ბრაზილიის ნაკრების მწვრთნელი, ამბობს: „ხალხს ჰგონია, რომ დაბადებიდან ეროვნულ გუნდს ვუდგავარ სათავეში, მაგრამ ავიწყდებათ, რომ საკმაოდ გრძელი გზის გავლა მომიხდა. ულარიბესი წრიდან გამოსული კაცი ვარ, ბავშვობა მშობლების გაყრამ გამიმწარა. მთელი ცხოვრება პრობლემების ძლევაში მაქვს გატარებული, მაგრამ წარსულის არ მრცხვენია“.*

*47 წლის ლექსემბურგო ფეხბურთს რიო დე ჟანიეროში თამაშობდა, მწვრთნელობას კი სან პაულუში მიჰყო ხელი და სახელიც გაითქვა. „უპირველეს ყოვლისა, მაკრო გეგმა უნდა დავისახოთ“ — თქვა ლუქსემბურგომ, როდესაც ბრაზილიის ნაკრების სათავეში დანიშნეს. ახლა, კარს „კოპა ამერიკაა“ მომდგარი. მისთვის მზადებას მსოფლიოს ტეტრაკამპეონები ჰოლანდიის ნაკრებთან ორი ამხანაგური თამაშით ასრულებენ, თუმცა, საუბარი „უორლდ სოკერის“ კორესპონდენტ ტიმ ვიკერისა და ვანდერლეი ლუქსემბურგოს შორის ცოტა ადრე გაიმართა.*



**— შარშან, ბრაზილიის ნაკრებისა და კლუბის, „კორინთიანსის“ მწვრთნელობას უთავსებდით ერთმანეთს. ახლა მხოლოდ ეროვნული გუნდით ხართ დაკავებული. რა სჯობს ნაკრების თავკაცისთვის, სხვა საქმეთაგან ჩამოცილება თუ...**

— ეს საკითხი მსჯელობად ღირს. დღეს მთელი ჩემი დრო ეროვნულ გუნდს ეთმობა. საშუალება მაქვს, ყველაფერს დავესწრო, მაგრამ როგორც მწვრთნელი, პასიური გავხდი. აშკარად მაკლია საწვრთნელ მინდორზე მუშაობა, ხოლო ეს სახიფათოა. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს დროის გამოთავისუფლებამ დიდი მსხვერპლი მომთხოვა, თუმცა, როგორც გითხარით, ყველაფრის ნახვას ვახერხებ, რაც თავისთავად დიდი პლუსია. პლუსი გახლავთ ისიც, რომ კრიტიკის ობიექტი ნაკლებად ვარ. ერთადერთი, ეროვნულ გუნდში მიმდინარე მოვლენების გამო თუ დაწერენ ჩემზე რამეს. ახლა წარმოიდგინეთ, კლუბშიც რომ ვიყო და ორივე მხრიდან ცეცხლი მქონდეს შენთებული...

**— რაც თქვენ მწვრთნელი ხართ, ბრაზილიის ნაკრებმა სამი შეხვედრა ჩაატარა. პირველი იუგოსლავიასთან შინ ითამაშეთ და მსაჯად ბრაზილიელი გყავდათ, რის გამოც გაზეთებში დიდი ამბავი ატყდა. მეორე ეკვადორში გამართეთ, გუნდთან, რომელმაც ფეხბურთელები უშუალოდ მატჩის წინ ძლივს შეკრიბა, ხოლო მესამე რუსეთის ნაკრებთან იყო, უფრო სწორედ, რუსეთის ნაკრებად წოდებულ მესამე შემადგენლობასთან, რომელმაც მისთვის ჩვეულ ტემპერატურაზე 40 გრადუსით მეტში ითამაშა. ჰქონდა კი ასეთ შეხვედრებს აზრი?**

— ახლა თქვენ აშკარად ანტიბრაზილიურად ლაპარაკობთ. მხოლოდ ცუდს ხედავთ. როგორც ჩანს, თვლით, რომ ბრაზილიის ეროვნულ გუნდს იმ შეხვედრებში თავი არაფრით გამოუჩენია.

**— კეთილი, მაშინ სხვანაირად გკითხავთ: როგორ გგონიათ, მოსამზადებელი თამაშების უკეთ დაგეგმვა არ შეიძლებოდა?**

— ბრაზილია ზუსტად ისე ემზადება, როგორც ინგლისი. განა ინგლისი ამხანაგურ მატჩებს მხოლოდ ბრაზილიასთან, გერმანიასა და იტალიასთან მართავს? არა, ის მალტასა და კვიპროსსაც ეთამაშება. ძალიანაც მინდა დიდი ტრადიციების მქონე ქვეყნებთან, იმავე ინგლისთან, გერმანიასა და იტალიასთან თამაში. ასე ხომ ერთმანეთის ყაიდას უკეთ ავუღებდით ალღოს, მაგრამ ძნელია. მაგალითად, ჩვენ ინგლისი დავპატიჟეთ. მას ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციასთან კონტრაქტი აქვს და ამხანაგური მატჩი მართებს, მაგრამ კალენდარში თავისუფალი დღე ვერ უპოვნია და არ ჩამოდის.

**— ბრაზილიის ნაკრებს სპონსორად „ნაიკი“ ჰყავს. ის რამდენიმე შეხვედრას გიფინანსებთ. ეს კომპანია ერევა მეტოქეთა არჩევაში?**

— „ნაიკს“ ერთობ მარტივი როლი აქვს. ის ჩვენი პარტნიორია. „ნაიკი“, ბუნებრივია, ზეგავლენას ახდენს სხვა ქვეყნებთან ჩვენს ურთიერთობებზე. ის ცდილობს, რომ მათთან ვითამაშოთ, მაგრამ მე თუ არ მინდა ამა თუ იმ გუნდთან მატჩის გამართვა, არ გაიმართება. მე „ნაიკის“ ინტერესს ვიცავ, მაგრამ ხელფასს ის კი არა, ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაცია მიხდის. გადაწყვეტილებები, ფეხბურთელთა თუ ტაქტიკის არჩევა ჩემზეა. ცხადია, რაც უფრო ძლიერია ჩვენი პარტნიორი, მით უკეთესად თამაშობს ბრაზილიის ნაკრები. ისიც ცხადია, რომ „ნაიკს“ ფულის დაბანდება ისეთ საქმეში სურს, მოგებას რომ მოუტანს. რატომ დააფინანსებს იგი რაიმე მატჩს ფარველაში (რიოს შტატის პატარა ქალაქია), როდესაც არსებობს მსოფლიოს ჩემპიონატი, სადაც „ნაიკის“ პროდუქცია მთელი პლანეტის თვალწინ იქნება. ეს ბიზნესია.

**— მოკლედ, თქვენ მკაფიოდ იცით შესაძლებლის და შეუძლებლის საზღვარი.**

— ბუნებრივია. ასე რომ არ იყოს, „ნაიკი“ თვითონ განსაზღვრავდა, რა, სად და როდის. მას შეუძლია, იდეა მომაწოდოს, მე კი ვფიქრობ, შეძლებენ თუ არა ფეხბურთელები შემოთავაზებულ დროს, შემოთავაზებულ ადგილას გამგზავრებას. თუ ვატყობ, რომ წინადადება არარეალურია, ვამბობ, რომ დღეს ეს გამორიცხულია, ამა და ამ დროს კი შესაძლებელი იქნება. ამაში უცნაურს ვერაფერს ვხედავ. სპონსორი სხვა ქვეყნებსაც ჰყავთ. არ მესმის ჩვენს გამო ასეთი მითქმა-მოთქმა რადაა ატეხილი.

**— მსოფლიოს ჩემპიონატიდან რა დასკვნები გამოიტანეთ?**

— ტაქტიკური სიახლე არ შემინიშნავს. ბოლო წლებში, ფეხბურთში, ტაქტიკური რევოლუცია არ მომხდარა. რაც შეეხებათ ფეხბურთელებს, დავინახე, რომ დაცვისკენ დაწეული ნახევარმცველების ტექნიკა საგრძნობლად დაიხვეწა. მაგალითად ფრანგებს ამ ამპლუის ორი ძლიერი მოთამაშე, პეტი და დეშამპი ჰყავდათ, ჰოლანდიელებს დავიდსი და იონკი — აქვე ზედორფის დასახელებაც შეიძლება — ბრაზილიაში დუნგა და სეზარ სამპაიო გამოდიოდნენ, ორი აბსოლუტურად განსხვავებული თვისებების მქონე ფეხბურთელი.

**— ეჭვი არაა, თქვენ ნაკრებში უფრო მეტ უნივერსალურ მოთამაშეს მიიწვევთ.**

— ზუსტად ასე მოვიქცევი. ჩემი სურვილია, მოთამაშეებმა ყოვლისმომცველ ფეხბურთს მისდიონ. არ მინდა გუნდში ორი გამოკვეთილი თავდასხმელი, ოთხი გამოკვეთილი ნახევარმცველი და ასე შემდეგ მყავდნენ. რაც მეტი სვლა გექნება, მით უფრო დიდ საგონებელში ჩავარდება მოწინააღმდეგე. ჩვენ უნდა შევძლოთ როგორც ერთი, ისე ოთხი კაცით შეტევა. მარსიო ამოროზოს ნაირ ფეხბურთელებს წინაც შეუძლიათ მოქმედება და შედარებით უკანაც. პოზიციათა ასეთი ცვლა გუნდში აუცილებელია.

**— როგორც ჩანს, მსოფლიოს ჩემპიონატის დროინდელი ნაკრები ძალიან შეიცვლება.**

— მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ზოგი ფეხბურთელი უკვე ასაკოვანია, მაგრამ არიან ისეთებიც, რომელთაც დიდი კრიტიკის მიუხედავად, ნაკრებში დაბრუნება შეუძლიათ. ეს მხოლოდ მათზეა დამოკიდებული. განა შეიძლება მოთამაშის უარყოფა მხოლოდ იმიტომ, რომ მსოფლიოს ერთ ჩემპიონატზე ვერ იყოჩაღა? ისტორია გვაჩვენებს, რომ ერთი პირველობის ჩავარდნა, ხშირად მეორეში წარმატების საწინდარი გამხდარა. გახსოვთ, რას წერდნენ 1990 წლის ჩემპიონატის მერე დუნგაზე? ამბობდნენ, რომ იგი მაგალითია იმისა, თუ როგორ არ უნდა ითამაშო ფეხბურთი. შემდეგ დადგა 1994 და დუნგამ მსოფლიოს ჩემპიონატის ტიტულის მოპოვებაში დიდი როლი ითამაშა. სულაც არ ვაპირებ რობერტო კარლოსისა თუ ჟუნიორ ბაიანოს დავიწყებას. ამ ფეხბურთელებს თამაშის გასაუმჯობესებლად გვარიანი დრო აქვთ. ცხადია, ცვლილებები აუცილებლად იქნება, მაგრამ ზაგალოს ჯაფის უარყოფა არ შეიძლება. მე გავაგრძელებ იქიდან, სადაც ის შეჩერდა. ბრაზილიურ ფეხბურთს მოდერნიზება სჭირდება, თუმცა ეს ევროპის მიბაძვას არ ნიშნავს. ჩვენ მეტი პროფესიონალიზმი გვინდა, მეტი პასუხისმგებლობა და მოვალეობათა განაწილება. ამ მიმართულებით გარკვეული პროგრესი უკვე გვაქვს, მაგრამ წინ კიდევ დიდი გზაა. მსურს, ჩვენი შესაძლებლობების მაქსიმუმი გამოვავლინოთ. კარგია ბურთის ფლობის ტექნიკა და იმპროვიზაციის უნარი, მაგრამ იმავდროულად ყველასგან უდიდესი პასუხისმგებლობა უნდა მოვითხოვოთ. მარტო იმიტომ, რომ ხალხს დრიბლინგის ცქერა ატკბობს, საკუთარ საჯარიმოში კენწლაობა არ უნდა წამოიწყო.

**— მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატის შესარჩევი ციკლი, გაისად, მარტში იწყება. უკვე იცით თქვენი გუნდის ბირთვი?**

— დიახ. „კოპა ამერიკზე“ უძლიერესი შემადგენლობით ვითამაშებთ და მის ბაზაზე გავაგრძელებთ მუშაობას.

**— დაცვის ცენტრში .პრობლემა ხომ არ გაქვთ?**

— ამ საკითხს კითხვის ნიშანი უზის, მაგრამ უფრო დიდ პრობლემად დაცვის მარჯვენა ფრთა მესახება. მე რომ ახალგაზრდა და ნიჭიერი ნახევარმცველი ვიყო, მწვრთნელს ვთხოვდი მარჯვნივ თამაში მასწავლე-მეთქი. ამ ფრთაზე ძლიერი მოთამაშე გვჭირდება.

**— როგორ გგონიათ, ევროპაში ამდენი ბრაზილიელის თამაშიც პრობლემაა?**

— არა, ეს დიდებულია. ჩვენ შერწყმულ მსოფლიოში ვცხოვრობთ. დღეს გაცილებით დიდი იმპორტის საშუალება გვაქვს. ფეხბურთი ხომ პროდუქციაა, გაცვლა კი ამდიდრებს მას. ჩვენი ფეხბურთელები ევროპაში ცხოვრებისა და თამაშის დონეს იუმჯობესებენ, მერე კი გაძლიერებულნი გვიბრუნდებიან.

**— დენილსონზე რას იტყოდით? მას ევროპაში საქმე ცუდად მიუდის.**

— ვიცოდი, რომ პრობლემები შეექმნებოდა. დიდი ბრაზილიური კლუბების ფეხბურთელები მოგებას არიან დაჩვეული. ისინი ჩემპიონები ხდებიან, მათ ნაკრებში იწვევენ. ასეთი კაცი თუ შედარებით სუსტ გუნდში მოხვდა და ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლადღა იწყებს ბრძოლას, ჩნდება პრობლემაც. გავიხსენოთ ჟუნინიო. ის რომ „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეყიდა, ინგლისში გაცილებით უკეთეს დროებას გაატარებდა. დენილსონი „ბეტისში“ „სან პაულუდან“ წავიდა. მართალია „ბეტისის“ ხელმძღვანელობა ტიტულს უმიზნებდა, მაგრამ დენილსონის გარშემო, სხვა მოთამაშეებს იგივე ამბიცია არ ჰქონდათ. აბა, ახლა, რივალდო გავიხსენოთ. რაც ევროპაში თამაშობს, იხვეწება და იხვეწება. მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაკრებში ყველას სჯობდა და კვლავ აღმავლობის გზაზეა.

**— რონალდო?**

— მან იცის, რომ მჭირდება და ამიტომაც არ შფოთავს ყოველდღე რომ არ ვუკავშირდები. რონალდოს პრობლემები ჰქონდა. მითხრა, რომ დრო სჭირდება და ნაკრებში შემდგომი გამოძახებისთვის მზად იქნება. როგორც კი კარგად ათამაშდება, იმ წუთას გამოვიძახებ. საკმარისია სამი-ოთხი შეხვედრა თავისებურად ჩაატაროს, რომ მისი ფსიქოლოგიური პრობლემები აღარავის ეხსომება.

**— თამაშების დროს, როგორც წესი, კლასიკურ სამოსში ბრძანდებოდით გამოწყობილი. ეს ევროპული სტილია?**

— არა. ეს უფრო იმის მტკიცებაა, რომ ბრაზილიელმა მწვრთნელებმა თავის ფასი იციან. ჩაცმულობის ასეთი სტილი ფრანც ბეკენბაუერის ცქერამ მიკარნახა. ბრაზილიაში მისმა ელეგანტურობამ, თავის დროზე, ყველა აღაფრთოვანა. ახლა მეც კოსტუმს ვიცვამ და ამით ვამბობ, რომ ჩვენში ფეხბურთი პროფესიულია. ბრაზილიელები ინგლისში სამუშაოდ ვერ მივდივართ, ინგლისელი კოლეგები კი ჰოლანდიასა თუ ესპანეთში ეწყობიან. რა, ბრაზილიელ მწვრთნელებს საზღვარგარეთ მუშაობა არ შეგვიძლია? არა მგონია. ჩვენ სადაც გნებავთ, იქ გავუძღვებით საქმეს.

**— და როდესაც ბრაზილიის ნაკრებს აღარ გაწვრთნით, ევროპის დიდ კლუბში ხომ არ ისურვებთ მუშაობას?**

— მაქვს ასეთი სურვილი. ვგონებ, „ბარსელონაში“ შევძლებდი მუშაობას. „მანჩესტერ იუნაიტედისთვისაც“ გამოვდგებოდი. სხვათა შორის, მათი დღევანდელი მწვრთნელებიც მოერგებოდნენ ბრაზილიურ კლუბებს. ასეთი ინტეგრაციისთვის ხელისშემშლელ პირობას ვერ ვხედავ. თუ მიზეზი ენობრივი და კულტურული განსხვავებაა, მაშ ოზი არდილესმა როგორ შეძლო ინგლისში მოღვაწეობა? მე ინგლისურს ვსწავლობ და უკვე კარგადაც ვლაპარაკობ. ასე რომ, ერთ მშვენიერ დღეს, როცა „მანჩესტერ იუნაიტედი“ დამირეკავს, მზად ვიქნები.

**თარგმნა ბაპუნა ძედიამ**

# ლუდისა და შარდის წინააღმდეგ

ბრაზილიელმა პოლიტიკოსებმა გადაწყვიტეს, რომ საქვეყნოდ ცნობილ „მარაკანას“ სტადიონს რემონტი სჭირდება და ამისათვის 34 მილიონი დოლარი გამოყვეს. საქმე ის გახლავთ, რომ „მარაკანა“, ბოლო დროს, სიბინძურის ბუდედ იყო ქცეული. თამაშების დღეებში იგი ლუდისა და შარდის გუბეებით იტბორებოდა.

რიო დე ჟანეიროს შტატის ხელისუფალთა განცხადებით ისტორიული, მაგრამ იავარქმნილი ნაგებობის გაპატიოსნება გუბერნატორის, ანტონი გაროტინიოსა და ბრაზილიის სპორტისა და ტურიზმის მინისტრის, რაფაელ გრესას ორშაბათის შეხვედრაზე გადაწყდა.

— „მარაკანა“ მსოფლიოს საუკეთესო სტადიონი გახდება. ჩვენ მას ღირსეულ ელფერს შევძენთ, ჯერ რიოს, ხოლო, მოგვიანებით, მთელი ქვეყნის სიმბოლოდ ვაქცევთ — განაცხადა გაროტინიომ და ეს გამონათქვამი ოფიციალურ, სამთავრობო დოკუმენტშიც დაფიქსირდა.

გუბერნატორმა პირობა დასდო, რომ სტადიონზე ყველა სკამი ინდივიდუალური იქნება და ამ საქმეს თავს იანვრამდე მოაბამენ — მოგეხსენებათ, ფიფას მიერ დადგენილი მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი სწორედ ბრაზილიაში, 2000 წელს უნდა გაიმართოს. რაც შეეხება მთელი რემონტის დამთავრებას, იგი მომავალი წლის ივლისისთვის, ნაგებობის 50 წლისთავისთვის არის დაგეგმილი.

ბრაზილია 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მასპინძლობისთვისაც იბრძვის...

„მარაკანა“ 1950 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის წინ ააშენეს და იმავე წელიწადს რეკორდი დაამყარა: ბრაზილიისა და ურუგვაის ნაკრებთა გადამწყვეტ შეხვედრას 200 ათასი ადამიანი დაესწრო. გადიოდა წლები და „მარაკანა“ ეროვნულ სიამაყედ რჩებოდა. მისი ტრიბუნებისთვის 150 ათასი გულშემატკივარი ჩვეულებრივი ამბავი გახლდათ, მაგრამ თანდათანობით ენთუზიაზმი ჩაცხრა და სიმბოლოც დაკნინდა.

გასულ ათწლეულში „მარაკანა“ ორჯერ დაიხურა. ერთხელ, როდესაც ზედა იარუსმა სახიფათოდ დაიწყო ყანყალი, ხოლო მეორედ, როცა ამავე იარუსს მოაჯირი მოტყდა და ათეულობით ქომაგი ქვევით ჩავარდა. იმ ინციდენტს სამი ადამიანი ემსხვერპლა.

რემონტის ახალი გეგმა მუზეუმის, ავტოსადგომისა და სალაროების აგება-განახლებასაც ითვალისწინებს.

შტატის ხელისუფალთა განცხადებით პროექტში მონაწილეობას ფედერალური მთავრობა დე ტელეკომპანიათა ჯგუფიც მიიღებს. სხვათაშორის, შემოსავლის მეოთხედს კოროპრაციათათვის 120 საგანგებო ლოჟის მიყიდვა მოიტანს.

საგულისხმოა, რომ ცნობა რეკონსტრუქციის შესახებ რიოს შტატის პირველობისთვის ასე დამახასიათებელი არეული მატჩის, „ვასკუ და გამა“ — „ფლამენგოს“ მეორე დღეს გავრცელდა. ეს მატჩი 15 წუთის დაგვიანებით დაიწყო. მიზეზი: გუნდებს სათამაშოდ დროულად გასვლაში ხელი ალტყინებულ გულშემატკივართა შემოჯარვამ შეუშალა. კიდევ, „ვასკუს“ მეორე გოლს (მან გაიმარჯვა 2:0), ქომაგთა ერთი ჯგუფის მინდორზე გადახტომაც მოჰყვა, მაგრამ ყველაზე საინტერესო, გაგანია თამაშის დროს, „ვასკუ და გამას“ წყალბურთელთა გუნდის საპატიო წრე და გულშემატკივართა კლუბის წევრებთან ერთად შუა ცენტრიდან ტრიბუნებთან სალამ-ქალამი გამოდგა — იმ დილას მათ რაღაც შეჯიბრება მოუგიათ.



ცნობილი ბრაზილიელი მესვეტე სერჟიო ნორონია მერე დანანებით წერდა: „თამაში მხოლოდ და მხოლოდ მოედანზე ჩადენილი მკვლელობის გამო უნდა წყდებოდეს“.

**ბრაიან ჰოუმვუდი, როიტერი**

# სარგსიანმა თუ დაგვანება

დღეს ტალინში საქართველოს დევისის თასის გუნდი ევრო-აფრიკული ზონის მესამე ჯგუფის შესარჩევ ტურნირში ჩაებმება.

ესტონეთის დედაქალაქში სულ 8 ქვეყნის წარმომადგენლები იასპარეზებენ, რომლებიც ორად არიან დაყოფილი. A ჯგუფში ჩვენთან ერთად მოხვდნენ სომხეთი, კენია და ლიტვა, B ჯგუფში კი ესტონეთი, მოლდოვა, მონაკო და ზამბია არიან.

საქართველოს ნაკრებს ფრიად ძნელი ამოცანა აქვს გადასაწყვეტი — იმისთვის, რომ მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატის ფსკერს ავცილდეთ, მეორე ჯგუფში გადავინაცვლოთ და ნამდვილი დევისის თასის ფორმატით, ესე იგი, შინ ან გარეთ ვეთამაშოთ მეტოქეებს, ტალინში ფინალში მაინც უნდა გავაღწიოთ.

ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენს ჯგუფში პირველ ან მეორე ადგილზე უნდა გავიდეთ, მერე კი ნახევარფინალში მეორე ჯგუფში რომელიმე თავგამოჩენილ გუნდსაც მოვუგოთ.

ჩვენი საქმე კიდევ უფრო იმან გაართულა, რომ საუკეთესო ქართველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე ვერაფრით დაგვეხმარება. აშშ-ში მცხოვრები 17 წლის თბილისელი, რომელმაც როლან გაროსზე იუნიორთა წყვილებში იმარჯვა, ახლა უიმბლდონზე სასპარეზოდ ემზადება და გვპირდება, ნაკრებს გაისად მივხედავო.

ასე რომ, გუნდის კაპიტან დავით კაჭარავას მაინცდამაინც დიდი არჩევანი არ ჰქონია — ნაკრები ერთი ვეტერანის, ვლადიმერ გაბრიჩიძისა და სამი ახალბედა მოთამაშის — ირაკლი უშანგიშვილის, გიორგი რევაზიშვილისა და მიხეილ ჩოხელის იმედად გაემგზავრა ტალინს, ჩოგბურთის აკადემიაში ორკვირიანი შეკრების გავლის შემდეგ.

თავად კაჭარავას ჩვენი ჯგუფის ფავორიტად სომხეთის გუნდი მიაჩნია, ოღონდ იმ შემთხვევაში, თუ მათ ამჟამად კლასიფიკაციით 74-ე სარგის სარგსიანი ჩამოუვათ: „სარგსიანს მაინცდამაინც მაშინ მოუნდება-ხოლმე თამაში, როდესაც ქართველებს ხვდება. ისე, ორიოდ წლის წინ იგი ასეთივე ტურნირზე გაბრიჩიძემ დაამარცხა. ორი ხეირიანი ჩოგბურთელი ჰყავთ ლატვიელებს, აი, კენიელებზე კი არაფერი ვიცით. კარგი იქნება, თუ მეორე ადგილზე გავალთ, რადგან მეორე ჯგუფში შედარებით სუსტი გუნდები არიან და ნახევარფინალში არცთუ ცუდი შანსები გვექნება“.

ბოლო ცნობებით, სარგის სარგსიანი ამ კვირაში ლონდონში, „ქუინსის“ ტურნირზე თამაშობს, სადაც მეორე წრეში მსოფლიოს პირველ ჩოგან ევგენი კაფელნიკოვთან მოუხდება შეხვედრა. ჩვენი ინტერესებიდან გამომდინარე, იმ მატჩის სენსაციურად დასრულება და სომეხის ინგლისში შერჩენა ურიგო ნამდვილად არ იქნება.

ჩვენ გუნდს რაც შეეხება, წყვილებში უეჭველად გაბრიჩიძისა და უშანგიშვილის დუეტი ითამაშებს, ერთეულებში კი ამ ორიდან პირველ-მეორე ჩოგნის თანმიმდევრობა მხოლოდ ადგილზე გადაწყდება.

და ერთიც, ტალინის ტურნირი ახალი წესებით ტარდება: 40:40-დან გეიმის მოსაგებად ორი კი არა, ერთი ქულა იკმარებს, თამაში კი მოწოდების ბადესთან გაკარების შემთხვევაშიც გაგრძელდება.



ანდრე აგასი

REUTERS

# ანდრე ახლა გამოიჩეკა

„მუსიკალური რიტმის არანაირი შეგრძნება არა მაქვს, ისევე, როგორც სმენა და უცხო ენების ნიჭი. საერთოდაც, უნდა ვაღიარო, რომ მეტად უგერგილო ვინმე ვარ, როლიკებზე“ დგომაც კი ვერაფრით ვისწავლე“.

საკუთარი თავის ასე კრიტიკული შეფასება ერთ 29 წლის მელოტ ამერიკელს ეკუთვნის, რომელსაც დაავიწყდა დაემატებინა, რომ მსოფლიოში ყველაზე უკეთ ეხერხება კარიერის დაღუპვა და მერე მკვდრეთით აღდგომა, ტყვიასავით მოწოდებების მოთვინიერება და მაყურებლების დატყვევება.

1997-ში, ბრუკ შილდსის ცოლად მოყვანის შემდეგ, ანდრე აგასის ჩოგბურთისთვის სულაც არ სცხელოდა და სეზონის ბოლოს კლასიფიკაციაში 141-ე ადგილზეც დაეშვა. მაშინ მას თითქმის ყველამ ხაზი გადაუსვა და ნაადრევად პენსიაზე გასვლაც გამოუწერა, თუმცა აგასის სხვა გეგმები ჰქონდა.

შარშან მეორე ასეულიდან ამერიკელი საუკეთესო ათეულში აღზევდა (სარეკორდო წინსვლა კლასიფიკაციის შემოღებიდან დღემდე), წარმატებების რწმენისთვის კი კვირას, როლან გაროსის ფინალში ემოციური გამარჯვებით დასაჩუქრდა, რომელმაც, როგორც ყველა დიდი სლემის ტურნირის მომგებს, ისტორიაშიც დაუმკვიდრა ადგილი.

„კარგად მესმის, რომ კარიერაში მეტის მიღწევა შემეძლო, თუმცა მე არაფერს ვნანობ. მართალია, ჩოგბურთი ჩემი ცხოვრების ნაწილია, მაგრამ მე მსურდა კორტსგარეთაც გამეკეთებინა რაიმე ღირებული. უფრო მეტი დრო რომ დამეთმო სპორტისთვის, მაშინ იმ ფაქტსაც უნდა შევეგუო, რომ ბევრი რამ ჩემს პირად ცხოვრებაში სხვაგვარად იქნებოდა. ტყუილი იქნება თუ ვიტყვი, რომ ეს მსურს“ — აღნიშნა ფინალის შემდეგ აგასიმ.

ანდრეს სულაც არ ეამაყება, რომ თავის დროზე ჩოგბურთს საჭიროზე გაცილებით ნაკლებ დროს უთმობდა, მაგრამ თავისი ოცნებების ასრულების მიუხედავად, სპორტიდან წასვლას კიდევ კარგა ხანი არ აპირებს და ჩვეული ოპტიმიზმიც არ დაუკარგავს.

„მჯერა, რომ წინ კიდევ ბევრი წარმატება მელის. თუ პარიზში მოვახერხე გამარჯვება, ამაში სხვა ქალაქებში, სხვა „მეიჯორებზეც“ ვერაფერი შემიშლის ხელს. იქნებ ბევრი უკვე ვეტერანად მთვლის, მაგრამ ყველას ავიწყდება, რამდენი წელი გავაცდინე საკუთარი ნებით. თავს ახალგამოჩეკილ ბარტყივით ვგრძნობ“.

ორშაბათს ახალგამოქვეყნებულ კლასიფიკაციაში აგასი ვინ იცის, უკვე მერამდენედ დაუბრუნდა ნამდვილ საჩოგბურთო ელიტას და სავსებით შესაძლებელია, მომავალ წარმატებათა სიაში მსოფლიოს პირველ ჩოგნობასაც გულისხმობდეს.

როლან გაროსზე წარუმატებელი ასპარეზობის მიუხედავად, საუკეთესოთა ნუსხის სათავეში, ზედიზედ მეექვსე კვირით, რუსი ევგენი კაფელნიკოვი დარჩა, თუმცა რამდენიმე დღეში შეიძლება ყველაფერი შეიცვალოს.

შარშან სწორედ ამ დროს სოჭელმა ჟენიამ ჰალეს ბალახის ტურნირი მოიგო და თუ მაშინ მოპოვებულ ქულებს ამჯერად ვერ დაიცავს, პირველი ადგილიდან მესამეზე ან მეოთხეზე ელის დაქვეითება.

ასე რომ, მომავალი ორშაბათიდან რუსის ტახტის დაკავების საუკეთესო შანსი პატრიკ რაფტერსა და პიტ სამპრასს ექნებათ, იმის მიხედვით, ამ კვირაში რომელი უკეთ იასპარეზებს.

რაც შეეხებათ ქალებს, მნიშვნელოვანი და აღსანიშნავი აქ შტეფი გრაფის მსოფლიოს მესამე ჩოგნად აღზევებაა. უბერებელი გერმანელი რამდენიმე დღეში თავის 30 წლის იუბილეს შესანიშნავ ხასიათზე შეხვდება — როლან გაროსზე ტრიუმფს ხომ თავხედი ახალი თაობისთვის ჭკუის სწავლებით ერთიორად მოემატა ფასი.

ალბათ, ნაკლებად წარმოსადგენია, რომ დიდი გერმანელი მარტინა ჰინგისს კლასიფიკაციაში პირველობასაც წაართმევს, მაგრამ მთავარია, ბოლო ორი სეზონის მანძილზე ასე მომრავლებულმა ტრავმებმა ხელი აღარაფერში შეუშალოს, მერე კი, ღმერთმა უწყის...

**ავთანდილ სვანიძე**

## კლასიფიკაცია

| კაცები | | | | ქალები | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1. | 1. | ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი) | 3403 | 1. | 1. | მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) | 5755 |
| 2. | 3. | პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) | 3315 | 2. | 2. | ლინდსი დევენპორტი (აშშ) | 4968 |
| 3. | 2. | პიტ სამპრასი (აშშ) | 3300 | 3. | 6. | შტეფი გრაფი (გერმანია) | 4186 |
| 4. | 14. | ანდრე აგასი (აშშ) | 2993 | 4. | 3. | მონიკა სელეში (აშშ) | 3608 |
| 5. | 5. | რიჩარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია) | 2856 | 5. | 4. | იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) | 3456 |
| 6. | 7. | ტიმ ჰენმანი (ინგლისი) | 2678 | 6. | 5. | ვინუს უილიამსი (აშშ) | 3451 |
| 7. | 8. | გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) | 2655 | 7. | 7. | არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) | 2528 |
| 8. | 6. | ალექს კორეტხა (ესპანეთი) | 2408 | 8. | 8. | მარი პირსი (საფრანგეთი) | 2525 |
| 9. | 9. | მარსელო რიოსი (ჩილე) | 2370 | 9. | 9. | ნატალი ტოზია (საფრანგეთი) | 2148 |
| 10. | 10. | მარკ ფილიპუსისი (ავსტრალია) | 2262 | 10. | 10. | სერენა უილიამსი (აშშ) | 1979 |
| 11. | 4. | კარლოს მოია (ესპანეთი) | 2234 | 11. | 12. | ამანდა კუტცერი (სამხრეთ აფრიკა) | 1834 |
| 12. | 12. | ტოდ მარტინი (აშშ) | 2216 | 12. | 11. | სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) | 1771 |
| 13. | 13. | გრეგ რუზეცკი (ინგლისი) | 2195 | 13. | 16. | ბარბარა შეტი (ავსტრია) | 1746 |
| 14. | 11. | კაროლ კუჩერა (სლოვაკეთი) | 2185 | 14. | 14. | დომინიკ ვან რუსტი (ბელგია) | 1737 |
| 15. | 16. | გორან ივანიშევიჩი (ხორვატია) | 1813 | 15. | 17. | ამელი მორესმო (საფრანგეთი) | 1708 |
| 16. | 15. | ფელიქს მანტია (ესპანეთი) | 1782 | 16. | 18. | ანა კურნიკოვა (რუსეთი) | 1673 |
| 17. | 18. | ტომი ჰაასი (გერმანია) | 1698 | 17. | 15. | ნატაშა ზვერევა (ბელარუსი) | 1666 |
| 18. | 30. | დომინიკ ჰრბატი (სლოვაკეთი) | 1651 | 18. | 19. | ჟული ალარი (საფრანგეთი) | 1618 |
| 19. | 17. | ტომას იოჰანსონი (შვედეთი) | 1650 | 19. | 13. | პატი შნიდერი (შვეიცარია) | 1597 |
| 20. | 19. | ტომას ენკვისტი (შვედეთი) | 1641 | 20. | 22. | კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) | 1567 |
| 21. | 21. | ნიკოლას კიფერი (გერმანია) | 1524 | 21. | 20. | ირინა სპირლეა (რუმინეთი) | 1525 |
| 22. | 20. | ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) | 1519 | 22. | 21. | ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) | 1404 |
| 23. | 22. | ჟერომ გოლმარი (საფრანგეთი) | 1478 | 23. | 23. | ჩანდა რუბინი (აშშ) | 1291 |
| 24. | 24. | მარიანო ზაბალეტა (არგენტინა) | 1268 | 24. | 24. | სილვია ფარინა (იტალია) | 1216 |
| 25. | 23. | ალბერტ კოსტა (ესპანეთი) | 1253 | 25. | 25. | ჰენრიეტა ნაგიოვა (სლოვაკეთი) | 1127 |
| 26. | 55. | ფერნანდო მელიჯენი (ბრაზილია) | 1252 | 26. | 28. | რუქსანდრა დრაგომირი (რუმინეთი) | 1017 |
| 27. | 27. | ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) | 1249 | 27. | 27. | ემი ფრეზერი (აშშ) | 1004 |
| 28. | 28. | უეინ ფერერა (სამხრეთ აფრიკა) | 1248 | 28. | 34. | სილვია პლიჩკე (ავსტრია) | 990 |
| 29. | 36. | ვინსენტ სპედეა (აშშ) | 1241 | 29. | 29. | ნატალი დეში (საფრანგეთი) | 922 |
| 30. | 100. | ანდრეი მედვედევი (უკრაინა) | 1226 | 30. | 30. | ანკე ჰუბერი (გერმანია) | 904 |
| 57. | 49. | მაიკლ ჩანგი (აშშ) | 779 | 41. | 53. | ჯენიფერ კაპრიატი (აშშ) | 633 |
| 82. | 81. | ბორის ბეკერი (გერმანია) | 622 | 49. | 125. | ბარბარა შვარცი (ავსტრია) | 525 |
| 90. | 56. | ტომას მუსტერი (ავსტრია) | 579 | 98. | 121. | ჟუსტინ ენენი (ბელგია) | 299 |

## ვინ რამდენი $ მოიხვეჭა 1999-ში

| | | | |
|---|---|---|---|
| 1.გუსტავო კუერტენი | 1 092 152 | 1.მარტინა ჰინგისი | 1 513 495 |
| 2.ევგენი კაფელნიკოვი | 840 691 | 2.შტეფი გრაფი | 866 080 |
| 3.ანდრე აგასი | 813 062 | 3.ვინუს უილიამსი | 803 589 |
| 4.მარსელო რიოსი | 808 062 | 4.სერენა უილიამსი | 662 671 |
| 5.მარკ ფილიპუსისი | 724 612 | 5.მონიკა სელეში | 428 244 |
| 6.რიჩარდ კრაიჩეკი | 643 532 | 6.ანა კურნიკოვა | 419 985 |
| 7.კარლოს მოია | 608 602 | 7.ლინდსი დევენპორტი | 416 441 |
| 8.პატრიკ რაფტერი | 591 234 | 8.იანა ნოვოტნა | 412 621 |
| 9.ტიმ ჰენმანი | 566 661 | 9.ამელი მორესმო | 311 726 |
| 10.ტომას ენკვისტი | 559 451 | 10.არანჩა სანჩეს-ვიკარიო | 311 097 |
| 11.ფელიქს მანტია | 518 512 | 11.მარი პირსი | 277 875 |
| 12.დომინიკ ჰრბატი | 454 093 | 12.ელენა ლიხოვცევა | 259 362 |
| 13.სენდონ სტოლი (ავსტრალია) | 428 896 | 13.ამანდა კუტცერი | 231 331 |
| 14.ტომი ჰაასი | 410 753 | 14.პატი შნიდერი | 203 241 |
| 15.ანდრეი მედვედევი | 391 956 | 15.ბარბარა შეტი | 201 022 |

# ხმა მიეცით მინის

სათაურში ნახსენები სამოსი ჩოგბურთის დიაც ვარსკვლავებს მართლაც ძალიან უხდებათ, მაგრამ ჩვენს მინის პირსთან, კურნიკოვასთან და მისთანებთან არაფერი ესაქმება — იგი ჩოგბურთის ერთ-ერთი სახეობაა.



ლუკა სანტილი

მინი-ჩოგბურთი ჩოგბურთთან დაახლოებით ისეთივე კავშირშია, როგორც მინი-ფეხბურთი ფეხბურთთან: უფრო პატარა კორტი, პატარა ბადე, პატარა ბურთები, მაგრამ დიდი იმედი იმისა, რომ უფროსი კოლეგის პოპულარიზაციას და პატარების დაინტერესებას შეუწყობს ხელს.

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) ევროპის რეგიონის განვითარების განყოფილების თავკაცის, **ლუკა სანტილის** საქართველოში ვიზიტის ერთ-ერთი მიზანიც სწორედ ეგ გახლდათ.

— ვფიქრობ, მინი-ჩოგბურთი საუკეთესო საშუალებაა ბავშვებისთვის ჩვენი სახეობის გასაცნობად — გვეუბნება სტუმარი — ITF-ის და ადგილობრივი ფედერაციების მონდომებით, მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში იგი სასკოლო პროგრამებში შეიტანეს და ჩილელი, მაროკოელი თუ ჩინელი პატარები დიდი სიამოვნებითაც თამაშობენ. კორტის მოწყობა ძალიან იოლია, ინვენტარი — იაფი, ჩვენც ყოველმხრივად ვეხმარებით. ასე რომ, ახლა სიტყვა თქვენს განათლების სამინისტროზეა.

**— ჩოგბურთი შეძლებულთა სახეობად ითვლება, საქართველოში კი ასეთები ბოლო ხანებში შესამჩნევად შემცირდნენ. რითი შეიძლება დაეხმაროს ITF თავის მატერიალურად არცთუ შეძლებულ წევრებს?**

— სიმართლე გითხრათ, ამ მხრივ მაინცდამაინც არც ჩვენ ვართ განებივრებული. განვითარების პროგრამის მთელი წლიური ბიუჯეტი 4,5 მილიონი დოლარია, რაც უამრავ ქვეყანაზე უნდა გადანაწილდეს. ჩვენ ფედერაციებს ძირითადად ინვენტარს ვაწოდებთ. მაგალითად, მე თან 45 ჩოგანი, უამრავი ბურთი და ჩოგნის სიმები ჩამოვიტანე.

ჩვენი პოლიტიკაა, დავეხმაროთ მათ, ვინც საკუთარ თავს ეხმარება. სწორედ ამიტომ ITF ხელს უწყობს საჩოგბურთო მწვრთნელების კვალიფიკაციის ამაღლებას, რისთვისაც ყოველწლიურად ვაწყობთ სემინარებს, კურსებს, რომელზეც ქართველ მწვრთნელებსაც მივიწვევთ. ვუშვებთ სასწავლო სახელმძღვანელოებს, გამოყოფილია თანხები ნიჭიერი იუნიორების საზღვარგარეთ მოგზაურობისა და საერთაშორისო ტურნირებში მონაწილეობისათვის.

**— ქართული ჩოგბურთის მდგომარეობაზე რას იტყვით?**

— თითქმის ყველა კორტი და საჩოგბურთო ცენტრი მოვინახულე. მართალია, ზოგიერთი იდეალურ მდგომარეობაში არ არის, მაგრამ, რაც ყველაზე მთავარია, პატარათა დიდი დაინტერესება და სიმრავლე ყველგან იგრძნობოდა. ძალიან მომეწონა საჩოგბურთო კომპლექსი ბათუმში. თქვენი ფედერაცია მცდელობას არ აკლებს, რომ სპორტული ცხოვრება არ ჩაკვდეს. როგორც ვიცი, უამრავ იუნიორთა ტურნირის გარდა ორი ქალთა პირველობაც ტარდება — 25 და 50 ათასდოლარიანი საპრიზო ფონდით. მე თავად იტალიელი ვარ, სადაც ევროპის საჩოგბურთო ასოციაციის ეგიდით ბევრი ტურნირი ეწყობა, მაგრამ 50 ათასიანი მათგან ერთიც არ არის.

**— ITF ბოლო ხანებში საჩოგბურთო წესებში ცვლილების შეტანას ცდილობს: მეტობა-ნაკლებობის გაუქმება, მოწოდებისას ბადეზე გაკარების მიუხედავად თამაშის გაგრძელება. რატომ ხდება ეს?**

— დასავლეთში სპორტის სახეობებს შორის ძალიან დიდი კონკურენციაა. ყველა ცდილობს, რაც შეიძლება მეტი მაყურებელი მოიზიდოს. ამ ცვლილებებით მატჩების ხანგრძლივობა შემცირდება, რაც ჩოგბურთს ნაკლებად მოსაწყენს და უფრო დინამიურს გახდის. დიდი სლემის ტურნირებზე მატჩები ზოგჯერ ოთხ საათზე მეტს გრძელდება, რაც ქომაგების გარდა მათ გადამცემ ტელეკომპანიებსაც დიდ პრობლემებს უქმნის. არადა, სატელევიზიო უფლებების გაყიდვით ძალიან დიდი თანხები შემოდის. მოკლედ, ერთბაშად ორი კურდღელს ვიჭერთ. მე იმის მომხრე ვარ, რომ მატჩის პირველი გეიმის შემდეგ შესვენებაც გაუქმდეს.

**ავთანდილ სვანიძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქართულ კალათბურთს წასაგები ჯერაც არ წაუგია!

### კალათბურთი რომ გვქონდეს...

ისევე, როგორც ყველაფერში, ერთ დროს ქართველებიც ვტრაბახობდით, აქაოდა, კალათბურთი გვაქვსო. ისტორიაში ისეთი საკალათბურთო დიდება ჩაგვიწერია, ბევრი ქვეყანა ინატრებდა. გვყავს ოლიმპიური, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონები. მოგვიგია ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასი, ფინალში ვყოფილვართ.

აბა, ახლა რა გვაქვს — სამწუხაროდ, არაფერი. გადაგვარებული ეროვნული ნაკრები, ვალებში ჩამხრჩვალი ფედერაცია, დაქცეული ეროვნული ჩემპიონატი და მასში მოასპარეზე დაუძლურებული, კინკილა გუნდები.

ასეთი სურათის ფონზე ვერაფერი ნუგეშია ფაქტი — ქართველებს ერთი კალათბურთელი გვყავს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში. ევროპიდან ამერიკაში გადაბარგებული ვლადიმერ სტეფანია ქართული კალათბურთისთვის სახელი კია, მაგრამ ეროვნულ ნაკრებს ფაქტობრივად ვერც ეხმარება.

არც ისე დიდი ხნის წინათ იყო და, ცხადია, ბევრსაც ახსოვს, ეროვნული ჩემპიონატის დასკვნით ეტაპზე სპორტის სასახლე პირამდე ივსებოდა, ერთი იმდენიც გარეთ რჩებოდა. ალმაცლობა იწყებაო, გავიძახოდით და არც არავინ აჭარბებდა.

თვალსა და ხელს შუა გაქრა ის საკალათბურთო ბუმი. მხოლოდ წაგება და მეტი არაფერი. არადა, საწუხარიც ის არის, რომ ქართულ კალათბურთს წასაგები ჯერაც არ წაუგია.

### ღარიბი ვარ, ღარიბი...

კლუბები რომ უსუსურია, ნაკრები რომ არ გივარგა და სალაროშიც თეთრი არ გიჭყავის, რაღა ფედერაცია გქვია, გაუგებარია.

თუ სახელმწიფო არ დაგვეხმარა, ვალებს ვერ გადავიხდით, ჩემპიონატს ვერ წამოვწევთ და ვერც ნაკრებს ვუშველითო. სახელმწიფო დიახაც უნდა გეხმარებოდეს, მაგრამ როცა ვერ ან არ შეგეწევა, ხელმძღვანელი ორგანო იმიტომ გქვია, სხვა გამოსავალი ეძიო.

ცუდი მაჩვენებლები იმის მანიშნებელია, რომ სათავეშია საქმე ჩაფლავებული. ქართული კალათბურთი დაპირისპირებულ მხარეთა ბრძოლის ველად იქცა და სანამ ისინი ერთმანეთში ურთიერთობებს გაარკვევენ, მანამ კალათბურთი არ გვექნება.

როდის გაუჩნდება კალათბურთის ფედერაციას ფული? ძნელი სათქმელია, თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, არასდროს. არ იქნება ფული, ვერ გადავიხდით ფიბას ვალებს. გამოგვაძევებს ის პატივცემული ორგანიზაცია თავისი რიგებიდან და ქართული კალათბურთის მზეც საბოლოოდ ჩაესვენება.

ნუთუ ისეთი ღარიბია საკალათბურთო ფედერაცია, რომ ნაკრებისთვის ერთი სრულფასოვანი შეკრების მოწყობა ვერ მოახერხა. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, იმათ პრობლემები არ ჰქონოდეთ. გაყინული დარბაზი, ნახევრად მშიერი მოთამაშეები და მუდამ კაცნაკლული ნაკრები. ის ვერ ჩამოვიყვანეთ, იმას კლუბიდან არ უშვებენ, სხვას თამაში არ სურს და ასე შემდეგ დაუსრულებლად. არაფერს ვამბობთ ტრავმირებულებსა და ბედის ანაბარა მიტოვებულებზე.

თუ კალათბურთის ფედერაცია პრობლემებს დროზე ვერ მოუვლის და გამოსავალს ვერ იპოვის, მაშინ უმჯობესი იქნება, სავარძლები სხვებს დაუთმონ. მუდამ წაგებულს და ატირებულს მტერმა უყურა. ჯერაც დადის მაყურებელი კალათბურთის სანახავად. ზოგს იმედი კიდევ შერჩენია და რატომღაც ინტერესით შესცქერის ჩემპიონატის თამაშებს, ზოგიც, უბრალოდ, მოცლილია და ვერის ბაღში გასართობად და დროის მოსაკლავად შეივლის-ხოლმე. ბევრსაც არაფერი აინტერესებს, მაგრამ დარბაზში მაინც მოხვდება გზაარეული მგზავრივით.

რომ აუკვიატებიათ, ნაკრები ორი წელი უსაქმოდ დაგვირჩაო, ამდენი ხანი ეროვნული გუნდის უმოქმედობა დაუშვებელია. ორი წლით ცივილიზებულ საკალათბურთო სამყაროს მოწყვეტა ახლა იმას ნიშნავს, რომ სასიკვდილო განაჩენს მოვაწეროთ ხელი.

ქვეყანა მართლაც არ დაქცეულა იმით, ქართველებმა საკვალიფიკაციო ეტაპი რომ ჩააფლავეს. კალათბურთის ფედერაციამ კეთილი ინებოს და მოუწყოს ნაკრებს სრულფასოვანი შეკრება, თანაც არა ერთი და ორი. გამონახოს საშუალება და წელიწადში ორჯერ მაინც რაიმე ტურნირზე გაუშვას გუნდი. მხოლოდ ასე თუ ანაზღაურდება დანაკლისი, თორემ სხვა შემთხვევაში მომავალი საკვალიფიკაციო ეტაპიც ჩავარდება და ორს კიდევ ორი უმოქმედო წელი მიემატება.

რა არის ამისთვის საჭირო? რა და, უნდა მორჩეს ქიშპობა ხელმძღვანელობაში, შეიკრან კალათბურთის საკეთილდღეოდ და იშოვონ თავის გასატანი ფული. ფული, რომელსაც სახელმწიფო არ იძლევა.

### ალბათ არის გამოსავალი

დღევანდელ სპორტულ სამყაროში ისეა დანერგილი — ნებისმიერი სპორტის სახეობაში მწვრთნელს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით ბურთიან სახეობებში.

საჭირო რომ არ იყოს, განა ღამეებს გაათევდნენ ათასგვარი ტაქტიკური ვარიანტების გამოთვლაში. დაჯდებიან, გამოითვლიან, იფიქრებენ, მერე თავიანთ ნაშრომს შეგირდებამდე მიიტანენ, ახლა მათთან ერთად იშრომებენ და შედეგიც თავისთავად მოდის.

საქართველოს ნაკრებს თუ გააჩნია ტაქტიკა?! რა მოგახსენოთ, ალბათ, დამალული აქვთ და არ აჩენენ. არანაირი ტაქტიკა არ გვინახავს. ასე რომ არ ყოფილიყო, განა ამდენ თამაშს წავაგებდით?

მწვრთნელი თუ ჰყავს საქართველოს ნაკრებს?! ჰყავს, ლევან მოსეშვილი, პატივცემული კაცი საკალათბურთო საქართველოში და არამარტო ჩვენში. ძნელია, ძალიან ძნელი მას კრიტიკა შეჰკადრო. დიდი ღვაწლი მიუძღვის ქართული კალათბურთის წინაშე. ბევრი უნახავს, ბევრი გადაუტანია, ზურგს უდიდესი გამოცდილება უმძიმებს. ახლაც კალათბურთს ემსახურება, თუმცა წარსულის დიდება რომ წონის დღევანდელს, ფაქტია. არადა, კარგი იქნებოდა, ორივე თანაბრად ყოფილიყო.

ლევან მოსეშვილის გაწვრთნილმა გუნდმა შესარჩევ ციკლში თამაშიც ვერ მოიგო. პირწმინდად დათმო რამდენიმე შეხვედრა და, რაც ყველაზე საწუხარია, ვერაფერი გვაჩვენა სასიკეთო.

საკვალიფიკაციო ეტაპზე პორტუგალიისა და ირლანდიის ძლევა ვერაფერს ჰმატებს ბატონი ლევანის ნაღვაწს. მისი მწვრთნელობის პერიოდში ნაკრებმა უფრო გააუარესა თამაში.

დაიღალა მწვრთნელი, კალათბურთმა დაღალა. სხვაგვარად ვერ ამიხსნია ასეთი რეგრესი. ახლა ბევრი ბუზღუნებს და ილანძღება, რა თქმა უნდა, ზურგსუკან და არა მგონია, ლევან მოსეშვილი ამას იმსახურებდეს.

საქართველოს ნაკრების მწვრთნელს კალათბურთში ვერავინ გააკვირვებს, უბედობა და უიღბლობა, ალბათ, ქართული კალათბურთის ჩამორჩენილობის ბრალიცაა, ვერც ვერავინ ჰკადრებს, კვალიფიკაცია აიმაღლე, ევროპაში (სხვაგანაც) წადი და ისწავლეო. ამიტომ საქმისთვის სჯობს, რომ ბატონი ლევანი გადადგეს. ამდენი წაგებების შემდეგ მხოლოდ ეს თუა ერთ-ერთი გამოსავალი.

მადლობა მოვახსენოთ გაწეული სამუშაოსთვის, დავაფასოთ წარსული დამსახურებისთვის, მოვეფეროთ არაერთი სიხარულისთვის, მაგრამ ნაკრები სწავლასმოწყურებულ ახალგაზრდა სპეციალისტს ჩავაბაროთ, რომელიც ახლებურ აზროვნებას და თანამედროვე კალათბურთს აზიარებს.

თუ ასეთიც არავინ გვეგულება, მაშინ უცხოელი სპეციალისტი დაიხმარონ, არადა, მაინც კვდება კალათბურთი და სადმე, როდესმე კადეტები თუ გაგვახარებენ, იმით დავკმაყოფილდეთ.

### გამოვსწორდები...

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს რომ უყურებ, პირველი, რაც თვალში გეცემა, ისაა, რომ მოედანზე არ დგას გუნდი — ყველა თავისთვისაა, საქმის კეთებას ცალ-ცალკე აპირებენ და საბოლოოდ არაფერი გამოდის. ერთსულოვნება აკლიათ ჩვენს კალათბურთელებს.

წაგებული და განადგურებული ნაკრები ბრუნდება, თითოეულ კალათბურთელს საკმაოზე მეტი დრო აქვს განვლილი მოვლენების გასაანალიზებლად, მაგრამ მათ შორის თითქმის არავინაა ისეთი, დალაგებულად, კონსტრუქციულად ახსნას მარცხის მიზეზი.

პირველი, რაც თქვეს, ეს იყო, ძალიანაც ნუ გაგვაკრიტიკებთ, ნუ გაგვასწორებთ მიწასთან, ვეცადეთ, მაგრამ არაფერი გამოგვივიდაო. არც გამოუვიდოდათ, რადგან არ იყო გუნდი.

დროს ქარს ატანენ ჩვენი კალათბურთელები — ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოგვისმენია უკვე გაცვეთილი, დაზეპირებული ფრაზები — ახლა სხვაგვარად ვფიქრობ, სულ სხვა ადამიანი გავხდი, ვარჯიში დავიწყე და ოციოდ კილოგრამითაც შევმსუბუქდიო. ცუდია ისიც, რომ ამ სიტყვებს ნაკრების რიგითი წევრისგან კი არა, ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშისგან ისმენ და არა პირველად.

მთლად შეხმატკბილებულადაც ვერ უნდა იყვნენ ჩვენი კალათბურთელები ერთმანეთში. აქა-იქ დაპირისპირებაც შეინიშნება და შედეგიც შესაბამისი აქვთ.

კალათბურთს ჭკვიანი, საქმის მკეთებელი ხელმძღვანელი სჭირდება, ნაკრებს დისციპლინა და თანამედროვე ტაქტიკა, ხოლო კალათბურთელებს მეტი სოლიდურობა და სერიოზულობა, რაც პროფესიონალიზმია და სხვაც არაფერი.

როცა ამას მივაღწევთ, მაშინ გამარჯვებაც არ გაგვიუცხოვდება და სპორტის სასახლეც ქომაგებით ისევ გაივსება.

**მამუკა ქვანტალიანი**

# ვლადიმერ ბოისა: ელჩმა სადილად დამპატიჟა, ოღონდ არ შემკურნალია

*უკვე ძველი ამბავია, საქართველოს ნაკრები შვეიცარიიდან დამარცხებული, სირცხვილნაჭამი დაგვიბრუნდა. ეროვნული გუნდი კი ჩამოვიდა, მაგრამ ვლადიმერ ბოისა თან არ ჩამოჰყოლია. ვიცოდით, ვოვა ფრიბურგიდან პირდაპირ სლოვენიაში უნდა ჩასულიყო და იქ თავისი თანატოლების პირველობაზე ლიუბლიანის „ოლიმპიას" შეშველებოდა, მაგრამ თბილისში ჩამოსულმა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ლევან მოსეშვილმა ამას წინათ გვითხრა, ვოვა ფრიბურგში სერიოზულად დაგვიშავდა და შვეიცარიაში საქართველოს ელჩმა, რომელიც იქ მხურვალედ გვქომაგობდა, ჟენევაში წაიყვანა სამკურნალოდო.*

ბოისა შვეიცარიაში დავიგულეთ, ვფიქრობდით, იქ სრულფასოვნად იმკურნალებს და სლოვენიისკენ მერელა გასწევსო, მაგრამ მისი სლოვენიური სამყოფელის ნომერი ყოველ შემთხვევისთვის მაინც ავკრიფეთ. მოულოდნელად ვოვა შინ დაგვიხვდა:

**— ვოვა, გავიგეთ შვეიცარიაში ფეხი გიტკენიათ. რამდენად სერიოზულია ტრავმა?**

— საგანგაშო არაფერია, ფეხის კუნთი მაქვს დაჭიმული. ეგ არის, კვლავაც მაწუხებს და ვარჯიში დღემდე ვერ მომიხერხებია. ექიმები მეუბნებიან, დრო სჭირდება, ცოტას დაისვენებ და გაგივლისო. ვფიქრობ, ერთ კვირაში ბოლომდე გამოვჯანმრთელდები და ვარჯიშსაც განვაახლებ.

**— თბილისში ამბობენ, ვოვა ჟენევაში საქართველოს ელჩმა წაიყვანა და მკურნალობის ხარჯებიც თავად იკისრაო...**

— მსგავსი არაფერი ყოფილა. რაკი ფრიბურგიდან პირდაპირ სლოვენიაში არაფერი მიდიოდა, ჟენევაში ჩაველი და ლიუბლიანაში იქიდან გადავფრინდი. უბრალოდ, მე და ელჩმა ჟენევაში ერთად ვიმგზავრეთ, აეროპორტში მიმაცილა, თვითმფრინავის აფრენამდე კარგა დრო რჩებოდა და სადილად დამპატიჟა. უარი არც მე მითქვამს. სლოვენიაში კი იმავე საღამოს ჩაველი.

**— ფეხმტკივანი რომ გნახეს, რა გითხრეს?**

— ეწყინათ, მაგრამ რაღა უნდა ექნათ. მკურნალობის კურსი დამინიშნეს. რა შედარებაა, თითქმის უკვე დამიცხრა ფეხი. ისე, გუნდი დიდად არ დაზარალებულა, „ოლიმპია" უჩემოდაც უპრობლემოდ იგებს თამაშებს. ჭაბუკებში, ისევე როგორც დიდებში, ამ გუნდს აქ ბადალი არ ჰყავს.

**— ამასწინათ, ჩვენი ბოლო საუბრისას, მითხარით, მომავალ სეზონს, ალბათ, „პოსტოინაში" აღარ გაატარებ და იქნებ „სლოვანში" გადავბარგდეო. მართლა აპირებთ ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას ყოფილ გუნდში გადასვლას?**

— მე „ოლიმპიას" საკუთრება ვარ. ასე რომ, სწორედ ეს კლუბი წყვეტს, მომავალში „პოსტოინაში" ვიქნები, „სლოვანში", თუ სადმე სხვაგან. დღესაც ეუბნება „ოლიმპიას" „სლოვანი", ბოისა ახლა ჩვენ გვათხოვე ერთი წლითო. მართალია, ჯერ გადაჭრით აფჭრაფერს ამბობენ, მაგრამ „ოლიმპიას" ხელმძღვანელობამ მითხრა, შემოდგომიდან ან „სლოვანში" გაგიშვებთ, ანაც უფრო კარგ, სლოვენიის მესამე-მეოთხე ადგილოსან გუნდშიო. დღეს კი ასე ლაპარაკობენ, მაგრამ ვინ იცის, ხვალ-ზეგ რა მოუვათ თავში.

**— ვოვა, შვეიცარიაში ალბათ მზვერავებიც იქნებოდნენ. ფეხი ბოლო თამაშზე იტკინეთ, იქამდე კი შეგეძლოთ თავის გამოჩენა, კონკრეტულად არავინ გამოგლაპარაკებიათ?**

— ვიღაც თურქები და ებრაელები დამელაპარაკნენ, თუ არ ვცდები, ერთი ესპანელიც, მაგრამ როცა ჩემი და „ოლიმპიას" ოთხწლიანი კონტრაქტი ვუხსენე, ხელი ჩაიქნიეს, სლოვენიელებთან არაფერი გამოგვივაო.

**— თურქები ახსენეთ და, თუ არ ვცდები, ერთხანს სერიოზულად აპირებდით იქ თამაშს.**

— ასეა. „ეფეს პილსენთან" სიტყვიერადაც შევთანხმდი. სიმართლე გითხრათ, სამჯერ უკეთეს პირობებს მთავაზობდნენ ვიდრე აქ, სლოვენიაში, მაგრამ მერე გული ავიცრუე. შევატყვე, ჩემი მოტყუება უნდოდათ, ნაკრებში ვერ გაგიშვებთო, წამოსცდათ და...



ვლადიმერ ბოისა

— მერე „ოლიმპიას" ვარიანტიც გამოჩნდა. სტეფანიას აზრს რომ დავეკითხე, ასე მითხრა, ფულების იმედი არ გქონდეს და ვარჯიში თუ გინდა, მართლაც მისწრებააო. თავადაც დავრწმუნდი, რომ ჩემი მომავლისთვის ასე სჯობს. ყველანაირი პირობაა სავარჯიშოდ. დღეს ამითაც კმაყოფილი ვარ.

**— თუ არ ვცდები, ნაწილობრივ მართლდება თქვენი უფროსი კოლეგის, სტეფანიას სიტყვები. რამდენადაც ვარჯიშები მოგწონთ, იმდენად ფინანსურად, მგონი, ყველაფერი რიგზე არაა. ასეა?**

— „ოლიმპიას" ჩემი სამი თვის ვალი აქვს, მაგრამ ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ჩემი ფულია, მეკუთვნის და, ადრე თუ გვიან, აუცილებლად მივიღებ. სლოვენიელები სულელები არ არიან, კონტრაქტი დაარღვიონ. ალბათ, მიმიხვდით, რასაც ვგულისხმობ, ჩემგან ხომ ისინი მოგებას ელიან.

**— გავიგეთ, ახლა ბარსელონაში „ნაიკი" საზაფხულო შეკრებას მართავს და ევროპის რჩეულ თანატოლებთან ერთად ბოისაც მიიწვიესო...**

— „ნაიკის" წარმომადგენელი მართლაც დამიკავშირდა. მითხრა, 19 ივნისს ბარსელონაში სამოც კალათბურთელს ვკრებთ და გვინდა, შენც გვეწვიოო. ყოფილი საბჭოეთიდან სულ ხუთი მოთამაშე შეუგულებიათ, მე და ოთხიც რუსი. ახლა მთავარია, ფეხი დროზე მომირჩეს და ბარსელონაში აუცილებლად ჩავალ. სხვა თუ არაფერი, ეს დიდი პრესტიჟია. მზვერავებიც აბა, იქ იქნებიან, თუ იქნებიან.

**გიორგი გიქაშვილი**

# 36 ქულის ჩემპიონატი

# საუკეთესო მოთამაშე

## დავით უსტიაშვილი
### „ვითა“

„ვითა“ — „აზოტი“ რეგულარული ჩემპიონატის ბოლო მატჩი იყო. ორივე გუნდს წინასწარ დაებევებინა ადგილი პლეი ოფში, მაგრამ მათ დაპირისპირებას ინტრიგაც ახლდა. მესამე წრეში 27-ქულიან მარცხს „ვითა“ იოლად არ შეარჩენდა მეტოქეს. თავის მხრივ, თუ „აზოტი“ მოიგებდა ფინალურ სერიას (ამ გუნდების ფინალში გასვლის შემთხვევაში, რა თქმა უნდა) 1:0 დაწინაურებით დაიწყებდა.

ვითელებს ოცნების ასრულებაში, ხოლო რუსთაველებს — დამსხვრევაში, დიდად წაეხმარა „ვითას“ გამთამაშებელი დავით უსტიაშვილი. მან სტაბილურად ითამაშა და რვადან რვა საჯარიმო ჩააგდო. ბურთის გათამაშებისას და შეტევების ორგანიზებისას, ტრადიციულად ზუსტი და აუღელვებელი იყო.



**— მესამე წრეში „აზოტთან“ გამანადგურებელი ანგარიშით (66:93) დამარცხების შემდეგ თუ ელოდით, რომ უკვე მომდევნო წრეში შეძლებდით ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერის დამარცხებას?**

— „ვითასთვის“ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში უხერხული მეტოქე არ არსებობს. თავის ქებაში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ თუ მოვინდომებთ, ნებისმიერი გუნდის დმარცხება შეგვიძლია. სიტუაციას გააჩნია, რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენთვის მატჩის შედეგი.

**— თქვენი საუბრიდან გამოდის, რომ მესამე და მეოთხე წრეში „აზოტთან“ შეხვედრებს ერთმანეთისგან განსხვავებული მნიშვნელობა ჰქონდა.**

— რა თქმა უნდა. სისტემატიური გამარჯვების შემდეგ წარმატებასაც ეკარგება ფასი. მესამე წრეში „აზოტთან“ სათამაშოდ ისევე გავედით, როგორც რიგით მატჩში. მეტოქე კი, სხვა გუნდებისგან განსხვავებით, ბევრად ძლიერი აღმოჩნდა და ამიტომაც მივიღეთ ჩვენთვის განსხვავებული შედეგი. მეოთხე წრის მატჩმა კი სულ სხვა მნიშვნელობა მიიღო. აუცილებლად უნდა მოგვეგო. წინააღმდეგ შემთხვევაში, ფინალში „აზოტს“ ერთქულიანიუპირატესობა ექნებოდა. ცხადია, თუკი იქ ჩვენ და რუსთაველები შევხვდებით.

**— პირველი ტაიმის შემდეგ, რომელიც 9 ქულით (30:39) წააგეთ, „ვითას“ წარმატების გარანტია ჰქონდა?**

— კალათბურთში 9 ქულა არ არის ის სხვაობა, რომელიც ნორმალური გუნდის მიერ დაუძლეველი ბარიერი იყოს. მეორე ტაიმში დავამტკიცეთ კიდეც ჩვენი სიძლიერე და საწადელ შედეგსაც მივაღწიეთ.

**— კონკრეტულად რამ განაპირობა „ვითას“ წარმატება?**

— დაცვაში კარგმა თამაშმა. ამის გარეშე დღევანდელ კალათბურთში წარმატებაზე ფიქრიც კი ზედმეტია.

**— მთავარი მწვრთნელის დავალება მარტო დაცვაში კარგი თამაში იყო?**

— დაცვაში თამაშთან ერთად სწრაფი და, რაც შეიძლება, შედეგიანი შეტევები.

**— თქვენ რა კონკრეტული დავალებები გქონდათ „ვითას“ ხელმძღვანელობისგან?**

— კოლეგის, აჩიკო ჟღენტის მეურვეობა, ბურთის მეტოქის მოედანზე გადმოტანა და თამაშის ორგანიზება.

**— დათო, თქვენ მიმდინარე ჩემპიონატში სამი თვის წინ ჩაერთეთ. მანამდე რას საქმიანობდით?**

— „ფილიპოსიდან“ (საბერძნეთი) დაბრუნების შემდეგ გავიკეთე მენისკის ოპერაცია. ფეხმა ძალიან შემაწუხა, რამდენიმე თვე აღარ მივარჯიშია და ერთი პერიოდი კალათბურთში დაბრუნებასაც აღარ ვაპირებდი. შემდეგ ტკივილმა გამიარა, ნელ-ნელა ვარჯიშსაც შევუდექი, მეგობრები და „ვითას“ ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ და გადავწყვიტე, დავბრუნებოდი კალათბურთს.

**— „ფილიპოსი“ ახსენეთ. თუ შეიძლება, მოკლედ გვიამბეთ თქვენი საკალათბურთო ბიოგრაფიის შესახებ.**

— დავიბადე თბილისში 1971 წლის 9 იანვარს. ვარჯიში დავიწყე „მართვეში“ გია მიქაძისა და თამაზ ოქრუაშვილის ხელმძღვანელობით. 16 წლისა ჩავირიცხე თბილისის „დინამოში“ და რამდენიმე სეზონი გამოვდიოდი საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში. „დინამოს“ რიგებში გავხდი საქართველოს პირველი ჩემპიონი. შემდეგ წავედი საბერძნეთში და რამდენიმე წელი გამოვდიოდი ქალაქ სალონიკის საკალათბურთო კლუბ „ფილიპოსში“. ორი წლის წინ ჩავირიცხე „ვითაში“, რომელიც ევროპის თასზე გამოდიოდა. ერთი სეზონის შემდეგ კვლავ „ფილიპოსში“ ვითამაშე, ხოლო შემდეგ, ტრავმის გამო, დავბრუნდი სამშობლოში.

**— რომელი ლიგის და რა დონის გუნდი იყო „ფილიპოსი“?**

— საბერძნეთში დაახლოებით 7 საკალათბურთო ლიგა იქნება. ყველაზე ძლიერია პირველი. „ფილიპოსი“ ასპარეზობს მეორე ლიგაში, კარგი გუნდია, არა უშავს. თითქმის ყოველთვის გავდიოდით მესამე-მეოთხე ადგილებზე, მაგრამ პირველ ჯგუფში გადამსვლელ პირველ-მეორე ადგილზე გასვლა ვერ მოვახერხეთ.

**— 12 წელიწადზე მეტია, დიდ კალათბურთს თამაშობთ და გასახსენებელიც უთუოდ გექნებათ რამე.**

— დღესაც მახსოვს პირველი მატჩი სსრკ-ს პირველობაზე ლენინგრადში ადგილობრივ „სპარტაკთან“. დაძაბული თამაში იყო, 3 ქულით წავაგეთ. სხვა თამაშებიდან გამოვყოფდი ცსკა-თან გამარჯვებას მოსკოვში და ევროპის თასზე გამარჯვებას თბილისში უნგრეთის „კიორმენდთან“, როდესაც „ვითამ“ უნგრელებს ორ წუთზე ნაკლებ დროში 12 ქულა ამოუქაჩა. ასეთი რამ იშვიათად ხდება.

**— დავუბრუნდეთ საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატს, სადაც პლეი ოფის მატჩებიღა დარჩა. ნახევარფინალში ვახტანგ ნაცვლიშვილითა და რეზო ჩხეიძეც გაძლიერებულ სტუ-სთან „ვითას“ შანსებს როგორ აფასებთ?**

— ყველას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ „ვითას“ მიზანი არა მარტო ნახევარფინალის დაძლევა, არამედ ჩემპიონობის შენარჩუნებაა.

**— თქვენ კვლავაც შეხვეული ფეხით თამაშობთ, კიდევ ხომ არ გაწუხებთ?**

— ტკივილი აღარ მაწუხებს. ფეხს მხოლოდ თავის დაზღვევის მიზნით ვიხვევ.

**— კალათბურთის თამაშს კიდევ დიდხანს აპირებთ?**

— ფაქტი ერთია, რომ იგი საქართველოში არავის აინტერესებს. ისევ მეპატიჟებიან საბერძნეთიდან. ვნახოთ, ჯერ არ გადამიწყვეტია. თუ პირობები იქნება, მე საქართველოში თამაში მირჩევნია.

**როლანდ ლაგუჩიძე**

---

1999 NBA PLAYOFFS

კონფერენციების ფინალი (ოთხ მოგებამდე)

# ახლა კი დააკლდათ იუინგი

## აღმოსავლეთი
### ინდიანა — ნიუ იორკი 2:2

7 ივნისი

**ნიუ იორკი 78:90 ინდიანა**

**ნიუ იორკი:** ვორდი (5), ჰიუსტონი (14), სპრიუელი (12), ჯონსონი (11), დადლი (1 ქულა, 8 მოხსნა); კემბი (18 ქულა, 14 მოხსნა), ჩაილდსი (9 ქულა, 8 პასი), ტომასი (8)

**ინდიანა:** ჯეკსონი (6), მილერი (12), მულინი (18), დ. დევისი (10 ქულა, 12 მოხსნა), სმიტსი (4); როუზი (19), ა. დევისი (16 ქულა, 8 მოხსნა), მაკკეი (2), ჰოიბერგი (2), პერკინსი (1)

წინა შეხვედრაში არა და ახლა კი დაეტყო ნიუ იორკს ბებერი პატრიკ იუინგის არყოფნა. იგი სერიის მესამე შეხვედრაშიც აკლდა თავისიანებს, მაგრამ მათ ულიდეროდაც გაართვეს საქმეს თავი ესოდენ ძნელ ამოცანას, ლარი ჯონსონის თავგამოდების წყალობით ბოლო წამებზე გამოჰგლიჯეს ხელიდან გამარჯვება ინდიანას. ჯონსონი, რომელმაც სულ 26 ქულა მოაგროვა და, რაღა თქმა უნდა, იმ მატჩის გმირად შერაცხეს, ახლაც ბევრს ილვწოდა, მაგრამ ინდიანა ორჯერ არ შეცდება და გმირს გმირობის გამეორება აღარ დააცადა. „პეისერზმა“ გამოასწორა შეცდომა, მეორედ გაათანაბრა სერიის საერთო ანგარიში და კვლავ დაიბრუნა მოედნის უპირატესობა.

გაუჭირდა ნიუ იორკს. „ნიქსს“ მიმდინარე პლეი ოფში ჯერ ასეთი სხვაობით არ წაუგია. წინა მატჩმა ნიუ იორკის თავკაცი ჯეფ ვან განდი ღრმად ჩააფიქრა, მისმა ბიჭებმა ხომ ძლივძლივობით მიაღწიეს გამარჯვებას. ის, რაც ჯონსონმა მაშინ იმოქმედა, ყოველთვის ვერ განმეორდება და ვან განდიმ გამარჯვებისკენ მიმავალი სხვა გზების ძიებას მიჰყო ხელი, რაც ერთი შეხედვით იოლად გამოინახა. ადგა ვან განდი და აქამდე სათადარიგო უკანახაზელს, ლატრელ სპრიუელს სასტარტო ხუთეულში მიუჩინა ადგილი, იქიდან კი თავდამსხმელი კურტ ტომასი გამოაძევა. ამ ცვილილებამ თავიდან თითქოს გაამართლა კიდეც. ცხელსისხლიანმა სპრიუელმა ჩვეული ტემპერამენტით შეუტია სტუმართა კალათს, მაგრამ მისი თავგამოდება მეორე ნახევარში რამდენადმე შემცირდა და ამაში დიდი წვლილი შეიტანა ინდიანას ფრთამ და მისმა მეურვემ კრის მულინმა. მულინი და სპრიუელი ორი წლის წინ ერთად თამაშობდნენ გოლდენ სტეიტში და ძველ თანაგუნდელებს მეტი სტიმული აქვთ, ერთმანეთს აჯობონ.

სერიის წინა თამაშებში უფრო ნიუიორკელი მძლავრობდა, მაგრამ ამ შეხვედრაში მულინის უდიდესმა გამოცდილებამ გადაწონა სპრიუელის ენერგია. ეს ნიუიორკელმაც აღიარა: „მულინი ძალიან ჭკვიანია — თქვა მან მატჩის შემდეგ — ჩვენ რამდენიმე წელი ერთად ვთამაშობდით და ყოველთვის მიჭირდა მისი მეურვეობა ვარჯიშისას. იგი ბებერია, მაგრამ სწრაფი, იცის, როგორ მოექცეს ბურთს და როცა კრისს ეთამაშები, მისგან ყოველთვის რაღაც სიურპრიზს უნდა ელოდო“. მართლაც კარგად გაწვალდა სპრიუელი. მულინის ხელში ჯარიმას ჯარიმაზე იღებდა, მეორე ტაიმის შუაწელში მეექვსე პერსონალურის შემდეგ საბოლოოდ გადაბარგდა სკამზე და თავისი ასევე გაწამებული გუნდი ბოლო მომენტში სუპერსათადარიგოს გარეშე დატოვა.



REUTERS ნიუ იორკიდან

ნიუ იორკი — ინდიანა. ლატრელ სპრიუელი (№8) ცდილობს ბურთი წაართვას ინდიანელ ჯალენ როუზს

საერთოდ იმ დღეს მასპინძელთაგან სხვასაც ბევრს უჭირდა. ვან განდის თავის შეგირდთაგან მხოლოდ მარკუს კემბიზე არ ეთქმის აუგი, კემბი წლეულს გადავიდა ნიქსში ტორონტოდან ბებერი ჩარლზ ოკლის ნაცვლად, მაგრამ თავიდანვე პატრიკ იუინგის ჩრდილში მოექცა. იუინგმა ტრავმა მიიღო და ვან განდიმ კემბი მოედანზე ჩვეულზე მეტხანს გააჩერა. ამით არც წაუგია. წინა შეხვედრაში მარკუსი ურიგოდ არ გარჯილა და ჯონსონთან ერთად საუკეთესოც იყო, ამ მატჩში კი მასპინძელთაგან ლამის ერთადერთი აღმოჩნდა, ვინც მომხდურთ თავი არ დააჩაგვრინა. სწორედ მისი დამსახურებაა, რომ ინდიანას მეორე ბომბარდირმა რიკ სმიტსმა სულ ოთხი ქულა დააგროვა. მაგრამ ინდიანას სმიტისა და, ასევე პასიური რეჯი მილერის გარდა კიდევ ბევრი კარგი მოთამაშე ჰყავს. თუნდაც მათი შემცვლელები — ანტონიო დევისი და მალიქ როუზი. ამ ორმა, მულინმა და სხვებმაც იმდენი ქნეს, ინდიანა მთელი მატჩის განმავლობაში წინ იყო. ნიუ იორკი კემბის თავგამოდების შემდეგ რამდენადმე დაუახლოვდა მას ბოლო მეოთხედში, მაგრამ აქ მატჩის საუკეთესო მოთამაშემ, კრის მულინმა იძალა, ამ მოკლე მონაკვეთში 12 ქულა მიითვალა და ნიუ იორკს ამდენივე ქულით წააგებინა.

**ირაკლი ფირაშვილი**

---

# ობრადოვიჩი — პანათინაიკოსში. აეკ — ოლიმპიკოსის როქი...

იუგოსლავიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ჟელკო ობრადოვიჩი ათენის „პანათინაიკოსის“ მწვრთნელი გახდა. 39 წლის სპეციალისტი, რომელსაც მწვრთნელის რანგში ყველაფერი მოგებული აქვს ოლიმპიადის გარდა, საბერძნეთის დედაქალაქში იტალიიდან, ტრევიზოს „ბენეტონიდან“ გადაბარგდა. შეგახსენებთ, რომ წლეულს ობრადოვიჩმა საპორტას თასი მოაგებინა „ბენეტონს“.

ჟელკოს კონტრაქტი სამწლიანია. თუმცა მხარეებს ამ ხნის შემდეგ მისი გადასინჯვის უფლებაც აქვთ. თითო სეზონში ობრადოვიჩი 1,35 მილიონ დოლარს მიიღებს.

ობრადოვიჩს „პანათინაიკოსში“ ხორვატი ცენტრი დინო რაჯა და იუგოსლაველი უკანახაზელი დეიან ბოდიროგა დახვდებიან. „ბენეტონიდან“ კი ათენის გზას უკვე ადგას იუგოსლაველი ცენტრი ჟელკო რებრაჩა, რომელიც ობრადოვიჩის გაწვრთნილ აგერ უკვე მესამე გუნდში ითამაშებს. მანამდე ორი ჟელკო ბელგრადის „პარტიზანში“ და „ბენეტონში“ თანამშრომლობდნენ.

„პანათინაიკოსის“ მოსისხლე მტრის, პირეოსის „ოლიმპიაკოსის“ პრეზიდენტს სოკრატის კოკალისს ჭეშმარიტად „ბერძნული“ გუნდის გაკეთება გადაუწყვეტია. ამისთვის მან გუნდიდან გაუშვა იუგოსლაველი მწვრთნელი დუშან ივკოვიჩი და ათენის აეკ-იდან მოიყვანა იანის იოანიდისი, ბერძნული ეროვნების საუკეთესო მწვრთნელი. ეს კაცი „ოლიმპიაკოსს“ სამწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა. ახალ მწვრთნელს კი „ოლიმპიაკოსის“ ექს-კაპიტნის, ამჟამად სალონიკის „არისის“ და საბერძნეთის ნაკრების ლიდერის ჯორჯ სიგალასის დაბრუნება მოუსურვებია. „ოლიმპიაკოსი“ აღარ განუახლებს ხელშეკრულებას ამერიკელ გოლდვაიერს და ხორვატ კომაზეცს, სამაგიეროდ, ყველა ღონეს იხმარს პასპორტით ბერძენი, ეროვნებით კი იუგოსლაველი ფრანკო ნაკიჩის ბერლინის „ალბადან“ გადმოსაყვანად.



ჟელკო ობრადოვიჩი

რაც შეეხება დუშან ივკოვიჩს, იგი... ათენის აეკ-ის მწვრთნელად დაინიშნა. მისი ახალი კონტრაქტი სამწლიანია.

# უელსმა შერკინება შეადუღა

**არგენტინა — უელსი**

**26:36 (23:10)**

არგენტინა: 2ლ — კვესადა, ბერტოლუჩი; 2გ და 4ს — კვესადა

უელსი: 3ლ — ჯეიმსი, სინკინსონი, უაიტი; 1ა — ჰოვართი; 3გ და 4ს — ჯენკინსი

არგენტინაში ჩასულმა უელსის მორაგბეთა ნაკრებმა მასპინძლებთან პირველი ტესტ-მატჩი გამართა და მიუხედავად ცუდი დასაწყისისა, შეხვედრის თავისთვის სასურველი შედეგით დამთავრება მაინც შეძლო — 36:26. ეს უპირველესად მეათე ნომრად მობურთალი ნილ ჯენკინსის დამსახურებაა, რომელმაც იმ დღეს გუნდს 18 ქულა მოუპოვა. თუმცა მარტო ჯენკინსი რას გააწყობდა, კელტი მორკინალების ბრწყინვალე თამაში რომ არა. აქამდე გამართულ ორ ამხანაგურ შეხვედრაში უელსელებს სწორედ შერკინებაში ჰქონდათ პრობლემები, მაგრამ ამჯერად ყველაფერი რიგზე იყო. სტუმრები პირველად მატჩის დასრულებამდე ექვსი წუთით ადრე დაწინაურდნენ ჯენკინსის ზუსტად შესრულებული საჯარიმოთი, მანვე დაუსვა წერტილი სამხრეთამერიკელთა დამარცხებას.

მასპინძელთაგან ყველაზე მეტად გონსალო კვესადა აქტიურობდა და მისი და ოქტავიო ბერტოლუჩის გარდა, რომელმაც ერთი ლელო გაიტანა, ვერავინ შეძლო, გუნდისთვის ქულა მაინც მოეტანა.

იმ ორ ამხანაგურ მატჩში კი, რომლებიც უელსელებმა ამ შეხვედრამდე ჩაატარეს, პირველში ბუენოს აირესის ნაკრებთან 29:31 დამარცხდნენ, ხოლო მეორეში ტუკუმანის პროვინციის ნაკრებს სძლიეს 69:44.

მეორე ტესტ-მატჩი არგენტინელებსა და უელსელებს შორის შაბათს, 12 ივნისს გაიმართება.



REUTERS ბუენოს აირესიდან

უელსელმა სკოტი ქვინელმა (მარცხნივ) არგენტინელ როლანდო მარტინს ბურთთან ერთად ლამის თავიც წააცალა

# არხეინობით ვის რა ხეირი?!

**ახალი სამხრეთი უელსი — ირლანდია**

**39:24 (13:10)**

ახალი სამხრეთი უელსი: 6ლ — დოულინგი (4), პინკერტონი, სტეინფორსი; 3გ და 1ს — ბურკი

ირლანდია: 3ლ — ოში, მოსტინი, სკელი; 3გ — ჰამფრიზი (2), ელვუდი; 1ს — ელვუდი

უელსელთაგან განსხვავებით, რომლებმაც არგენტინული ტურნეს პირველი მატჩი წააგეს, მაგრამ შემდეგ კი დაიბრიყვეს მეტოქე, ირლანდიელებმა ავსტრალიური ტურნეს პირველ მატჩში ახალი სამხრეთ უელსის გუნდს საკმაოდ იოლად სძლიეს — 43:6, აი, შემდეგ კი... ამ გუნდების შაბათს გამართულ მეორე შეხვედრაში ყველაფერი პირიქით მოხდა. სიდნეის სტადიონზე, 19 000 მაყურებლის გასახარად, მასპინძლებმა 39:24 იმარჯვეს. მომავალ კვირას „ვოლაბებთან" ტესტის წინ, ავსტრალიის ყველაზე სუსტ პროვინციულ გუნდთან მარცხის მიზეზად ირლანდიელთა მწვრთნელმა უორენ გეტლანდმა მეტოქის ჯეროვნად შეუფასებლობა დაასახელა: „პირველ მატჩში ავსტრალიელთა იოლად დამარცხების შემდეგ მოთამაშეები მეორე შეხვედრაშიც მოგებას ელოდნენ, მაგრამ სასტიკად შეცდნენ". აღსანიშნავია, რომ ავსტრალიელებს ძირითადი შემადგენლობის რვა მობურთალი აკლდათ და კიდევ: მასპინძელ მეთიუ ბურკს მსაჯმა რატომღაც წესების სრული დაცვით გატანილი ლელო არ ჩაუთვალა.

პირველ ტაიმში სტუმრები უკეთ გამოიყურებოდნენ და მასპინძელთა ორ ლელოს ორივე უპასუხეს, მეორეში კი ავსტრალიელთა შეჩერება შეუძლებელი იყო და შედეგმაც არ დააყოვნა — გარემარბმა მეტ დოულინგიმ ოთხი ლელო გაუტანა მეტოქეს მაშინ, როცა სტუმრებმა მხოლოდ ერთი იკმარეს და ისიც გაირლანდიელებული ავსტრალიელის მეტ მოსტინის ანგარიშზეა.

**პაატა თოთაძე**



# რას გადაურჩა ნაპოლეონი

## Sempre... sono... Pantani!

ის-ის იყო, გაივაკა ჯირომ, ის-ის იყო თავისი მშვიდობიანი ფინიში უნდა აღენიშნა მილანში, რომ მოხდა ის, რისიც ასე ეშინოდათ სპორტის მოყვარულებს — მართალია, განსხვავებული სცენარით, მაგრამ მაინც გამეორდა შარშანდელი ტურ დე ფრანსის კოშმარი.

ეს იყო მეოცე ეტაპზე, ოცდამეერთეზე კი ასორმოცდაათი ველომრბოლი ისეთი კაცის გარეშე გაუდგა გზას, რომელსაც იტალიელები და ფრანგები პელოტონის პატრონს, რუსები კი ХОЗЯИН-ს ეძახიან.

1992 წელს პელოტონის სწორედ ასეთმა პატრონმა დონ მიგელმა — დიდმა ინდურაინმა მოახერხა ის, რაც ველოსპორტის ისტორიაში სულ რამდენჯერმე მოხდა: ჯერ ჯირო დიტალია მოიგო, მერე კი სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ ტურ დე ფრანსი. მანამდე ამის გაკეთება შორეულ 1970 წელს კაციჭამიად მონათლულმა ბელგიელმა ედი მერქსმა შეძლო. მაშინ მარკო პანტანი ექვსი თვისა იყო.

ზუსტად 28 წლის შემდეგ, სამწლიანი გაუთავებელი ავარიების, ოპერაციებისა და კლინიკებში თვეობით ყურყუტის მიუხედავად, მარკო იგებს ჯიროს, მერე კი ტურ დე ფრანსში სასტიკად ამარცხებს გერმანულ რობოტად შერაცხულ იან ულრიხს. იტალია ზეიმობს.

შარშანდელი წელი პანტანის წელიწადი იყო.

წლევანდელი ჯიროც ისე დაიწყო და ისე გაგრძელდა, როგორც მოსალოდნელი იყო. მარკო პანტანის კონკრეტული მეტოქე არ ჰყავდა. სადა ეტაპებზე „მერკატონე უნოს" ბიჭებით გარშემორტყმული მშვიდად მიუყვებოდა გზას, მთიან ეტაპზე კი... არც იქ ებრძოდა ვინმეს. ვერც სხვები ბედავდნენ. მარკოს ერთადერთი მეტოქე თვითონ მთები იყო, რადგან სულ ბოლოს, როცა ძალისგან იცლებოდა მთელი პელოტონი, მართლა მარტო რჩებოდა მთებთან.

და როცა უკან დარჩა თითქმის 4000 კილომეტრი, როცა თვითონ „პირატიცა" და პირატის ქომაგნიც უკვე ტურ დე ფრანსის ეტაპებს დაადგნენ ფიქრით, ყუმბარასავით გასკდა: მარკო პანტანი დისკვალიფიცირებულია!

ამდენი ოფლი ღვარო კაცმა, ამდენი იშრომო, ასე ახლო იყო გამარჯვებასთან და...

არ გამოუვიდათ ორგანიზატორებს happy end, რადგან მარტო მარკოს არ ააცილეს ჯიროს გვირგვინი, იმ დღეს მილიონობით იტალიელ ტიფოზსაც ატკინეს გული.

დარჩენილი ეტაპი და ფორმალური ფინიში მილანში ფიქციად იქცა, მომავალი ჩემპიონი კი — ქაღალდის ჩემპიონად.

მარკო პანტანი დისკვალიფიცირებულია! სისხლის საკონტროლო სინჯის შემდეგ სამედიცინო კომისია ადგენს: ჰემატოკრიტი, სპორტსმენის სისხლში ფორმიანი ელემენტების პროცენტული რაოდენობა ნორმით გათვალისწინებული ორმოცდაათის ნაცვლად ორმოცდათორმეტია. უფრო გასაგებ ენაზე ეს ნიშნავს, რომ პანტანის სისხლში ტრომბოციტების, ლეიკოციტებისა და ერითროციტების ჯამური რაოდენობა ორი პროცენტით აღემატებოდა ნორმას. და რადგან ოთხასამდე აკრძალული პრეპარატიდან სისხლში ვერ იპოვნეს ვერც ერთი, რადგან თავისთავად გამოირიცხა დოპინგის გამოყენების ბრალდება, კომპეტენტურმა კომისიამ სპორტსმენის ჯანმრთელობაზე ზრუნვის საბაბით მარკო პანტანის თხუთმეტი დღით აუკრძალა შეჯიბრებაში მონაწილეობა. სიტყვამ მოიტანა და ამაზე უფრო სასაცილო დასკვნით გააძევეს შარშან ტურ დე ფრანსიდან მთის მეფის ტიტულის ოთხგზის მფლობელი რიშარ ვირანკი. მისი ჰემატოკრიტი 48 პროცენტი იყო.

რა თქმა უნდა, ზემოხსენებული ელემენტების რაოდენობის ზრდაში კარგი არაფერია, რაღაც ზღვარს იქით სისხლი იმდენად სქელდება, რომ ფერხდება მისი მიმოქცევა. მაგრამ გასათვალისწინებელია სხვაც — ეს ზღვარი ინდივიდუალურია, ისევე როგორც ტემპერატურა, ისევე როგორც პულსი და ასე შემდეგ. პეტრესთვის რომ, ვთქვათ, 55 პროცენტი ჩვეულებრივი ამბავია, პავლეს ორმოცმაც კი შეიძლება ფეხები გააფშეკინოს. გააჩნია, ვის როგორი გული აქვს, როგორი ღვიძლი, თირკმელები და საერთოდ, ადამიანი ქარხანაში დაშტამპული სერიული ნაწარმი არ არის, ვიღაცის მიერ მიღებულ სტანდარტებს რომ აკმაყოფილებდეს. ისე, ველოსიპედთან დაკავშირებით რა გასახსენებელია, მაგრამ ამ კომპეტენტურ კომისიას ნაპოლეონ ბონაპარტი რომ ჩავარდნოდა ხელში, დარწმუნებული ვარ, იმპერატორს მთელი ცხოვრება ლოგინში წოლა განაღდებული ჰქონდა.

მაინც რა განაპირობებს, რა იწვევს იმას, რის მიზეზითაც პანტანი დასაჯეს? ერთი მძიმე ავადმყოფობაა, რაც ამ შემთხვევაში სავსებით უადგილოა. მეორე — სტიმულატორების მიღება და მესამე — სითხის დაკარგვა. სტიმულიატორების კვალი ვერ იპოვნეს. ასე რომ, რჩება მესამე და გამოდის, რომ კომისია მართლაც სპორტსმენის ჯანმრთელობაზე ზრუნავდა და თხუთმეტდღიანი დისკვალიფიკაციაც ხომ სწორედ ამის დასტურია.

ერთი მე მაწუხებს ხუანხეს ნაპირზე მცხოვრები ჩინელის პრობლემები და მეორე ოლიმპიური იდეალების დამცველთ სპორტსმენების ჯანმრთელობა. ეგრე რომ იყოს, საერთოდ ასაკრძალია სპორტი, რადგან მან, როგორც ჯანმრთელობის გაკაჟების საშუალებამ, კარგა ხანია, მოგვჭამა ჭირი.

ისე, ამ სტიმულატორებსა თუ დოპინგზე კონტროლი, სამოყვარულო სპორტში თავის დროზე სავსებით მართებულად რომ იშვა, მერე და მერე, სამოყვარულო სპორტის გაქრობის კვალდაკვალ ცოტა არ იყოს ხელოვნურ, ვიღაცეებისთვის საჭირო დაბრკოლებათ გადაიქცა.

სტიმულატორის მიღება რისკთან არის დაკავშირებული, თუმცაღა ეს რისკი ალუბლის წვენიდან და ფილა შოკოლადიდან იწყება და ერთობ ძნელი დასადგენია, სად, რა დონეზე იღებს საშიშ ფორმებს.

როცა ოლიმპიური იდეალების გულმხურვალე დამცველები და ნაგვის ყუთებში ქექვით გართული მეტიჩარა ჟურნალისტები სტიმულატორების მავნებლობაზე ლაპარაკობენ, რატომღაც არ ახსენდებათ ტაისონის მუშტი, რომლის ყოველ შემოკვრაზე მეტოქის ტვინი თავისი შესაძლებლობების რამდენიმე პროცენტს ჰკარგავს; არ ახსენდებათ დაწყვეტილი მყესები, გაგლეჯილი კუნთები, დამტვრეული ძვლები, არ ახსენდებათ, რომ რისკი ისეთივე ბუნებრივია ადამიანისთვის, როგორც შრომა და თამაში.

სტიმულატორი, რა თქმა უნდა, რისკია, მაგრამ რისკია მეხანძრეობა, კოსმონავტობა; რისკია ისეთი მშვიდობიანი პროფესია, როგორიცაა მწერლობა, რადგან ღამე მუშაობამ და ყავის უზომო სმამ მოკლა 48 წლის ბალზაკი; რისკია მასწავლებლობაც კი, რადგან პროფესიის სიყვარული რომ არა, 200 ბავშვთან ერთად ფაშისტების გაზის კამერაში საკუთარი ნებით არ შეაბიჯებდა ჩეხი პედაგოგი იანუშ კორჩაკი.

დღეს სპორტი პროფესიაა. ისევე როგორც სხვაგან, აქაც შრომობენ, ოფლს ღვრიან, რისკავენ — სახელისთვის, საკუთარი და ოჯახის კეთილდღეობისთვის, სულაც პროფესიის სიყვარულისთვის.

ეს ყველაფერი მშვენივრად იცის იმან, ვინც ოდნავ მაინც შეხებია სპორტს, მაგრამ საქმეც ის არის, რომ ვიღაცას თუ ვიღაცეებს ძალიან სჭირდებათ ეს დოპინგკონტროლი, თორემ კალათბურთის ეროვნულ ასოციაციასა და ჰოკეის ეროვნულ ლიგაში რომ დოპინგკონტროლი საერთოდ არ არსებობს, იმიტომ ვერ თამაშობენ ბიჭები ლამის ორმოც წლამდე, იმიტომ ეკვეთებოდათ მუხლები ჯორდანსა და მელოუნს, გრეცკისა და ჰოუს?!

...მარკო პანტანი დისკვალიფიცირებულია!

ეს მოხდა მეოცე ეტაპის შემდეგ, ოცდამეერთეზე კი უპატრონოდ დარჩენილი პელოტონი ზლაზვნით შეუდგა მორტილოროსკენ მიმავალ დაკლაკნილ ასფალტს, რომელზეც აღარსად ეწერა პანტანი... პანტანი... პანტანი...

ამაოდ ელოდა გზის ორთავ მხარეს მდუმარედ მდგარი ათიათასობით იტალიელი თავის კერპს. უცებ გამოჩნდა ეკრანზე თხუთმეტიოდე წლის შავგვრემანი ბიჭი ზეაწეული ტრანსპარანტით, უცებ გამოჩნდა და უცებვე გაქრა სამად სამი იმედისმომცემი სიტყვა: Sempre... sono... Pantani!

მუდამ მხოლოდ პანტანი!

**ირაკლი ბერიაშვილი**



REUTERS მადონა დი კამპილიოდან

ჯიროდან მოკვეთილმა მარკო პანტანიმ ქომაგებში წამებულის სახელიც დაიგდო

ხუთჭიდი

# არყოფნის ხუთწლედგამოვლილი ხუთჭიდელები ოლიმპიადაზე ფიქრობენ

ვარშავაში ახლახან დასრულებულ თანამედროვე ხუთჭიდელთა ევროპის ჩემპიონატში საქართველოს ნაკრებიც მონაწილეობდა. პოლონეთს წასულთაგან განსაკუთრებით დავით ჭულუხაძის ამბავი გვაინტერესებდა. მიზეზი ესაა — ჩვენი სპეციალისტები მას სიდნეის ოლიმპიადაზე მოხვედრის რეალურ კანდიდატად მიიჩნევენ. საქართველოს ხუთჭიდელების ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობის შესახებ გვესაუბრება ნაკრების მთავარი მწვრთნელი ამირან შეროზია.

— ჩემპიონატში 28 გუნდის 80-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა. პირადი პირველობის შედეგების მიხედვით ჩვენი ნაკრები დანარჩენ თხუთმეტ გუნდთან ერთად ფინალში გავიდა, საბოლოოდ კი მეათე ადგილი დაიკავა. ფინალში გასულთაგან თოთხმეტი მოწინავე გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატის გუნდური პირველობის საგზურს იღებდა. ცხადია, ის ჩვენც მოვიპოვეთ. ამასთან, შარშანდელ ევროპის ჩემპიონატთან შედარებით ხუთი ადგილით წავიწიეთ წინ.

პირად პირველობაში დავით ჭულუხაძე მეცხრამეტე იყო, ნოდარ ბარავი — ოცდამეერთე, თემურ ბალაკარი — ოცდამეცხრე.

ბიჭები სათანადოდ ვერ მოემზადნენ, თუმცა გუნდურში პროგრესი აშკარაა. ბალაკარი ამ სეზონში პირველად ასპარეზობდა, ბარავი — მეორედ, ჭულუხაძე — მესამედ. ჩვენი მეტოქეები კი ჩემპიონატისთვის მოსამზადებლად 8-12 ტურნირში მაინც მონაწილეობდნენ. ჩვენთან თანამედროვე ხუთჭიდი ხუთ წელიწადს, ფაქტობრივად, არ არსებობდა და ბოლო ორი წელიწადია, რაც ვვარჯიშობთ, თუმცა როგორ პირობებში: ზამთარში უშუქო, ცივ დარბაზში გაძლება შეუძლებელია. ამის მიუხედავად, ვთვლი, რომ საქართველოში სპორტის ეს სახეობა მაინც ვითარდება. შეერთებული შტატების, იტალიის, იაპონიის, სამხრეთ კორეის, საფრანგეთის, გერმანიის, პორტუგალიის, ესპანეთის, მექსიკის დარი ქვეყნები მაღალი დონის სპორტსმენებს ინტენსიურად ამზადებენ, ჩვენ კი მათთან თანაბარი ბრძოლა შეგვიძლია.

**— ჭულუხაძისგან ბევრად მეტს ელოდით.**

— წარუმატებელმა ფარიკაობამ მეტი ვეღარ შეაძლებინა. საქართველოში მაღალი დონის მოფარიკავეები აღარ გვყავს. ამიტომ ბიჭებს ვარჯიშისას ძლიერი მეტოქეები არ ჰყოლიათ.

ჭულუხაძეს ფარიკაობა ცუდად არ დაუწყია — 900 ქულა დააგროვა, მაგრამ მერე მოუკლო. ეს იმიტომ, რომ ზამთარში ზემოთ ნახსენები ხელის შემშლელი პირობების გამო სამი-ოთხი საათის ნაცვლად გაცილებით ნაკლებს ვარჯიშობდა. მან 100 ქულამდე დაკარგა. ამან მის შედეგებზე გადამწყვეტი გავლენა იქონია. ცურვისა და სირბილის მსგავსად რომ ფარიკაობაშიც თავისი საუკეთესო შედეგი ეჩვენებინა, ათეულში უპრობლემოდ მოხვდებოდა.

**— ჩემპიონატმა სამომავლო გეგმები ხომ არ შეგაცვლევინათ? ოლიმპიადაზე ისევ ფიქრობთ?**

— რა თქმა უნდა! თუმცა იქამდე ძნელი გზაა გასავლელი. ოლიმპიური თამაშების ლიცენზიები ძირითადად გაისად იტალიაში გასამართ მსოფლიოს პირველობაზე გაიცემა. წლეულს მას მხოლოდ ევროპისა და მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონები მიიღებენ. იტალიაში ლიცენზიის მოსაპოვებლად ათეულში მოხვედრაა საჭირო. საამისოდ აუცილებლად ვიბრძოლებთ, ოღონდ უფრო უნდა მოვინდომოთ. განსაკუთრებით ფარიკაობაში. იმედს ისიც გვიძლიერებს, რომ ამ სახეობაში თითქმის მთელი ელიტა ევროპულია და მას მეტ-ნაკლებად ვიცნობთ.

**— მალე მსოფლიოს პირველობა გელით. საამისოდ როგორ მოემზადებით?**

— მსოფლიოს ჩემპიონატი ივლისში გაიმართება ბუდაპეშტში. გვინდა, ივნისის ბოლოს კიევში ან მინსკში წავიდეთ შეკრებაზე. ბუდაპეშტშიც იქიდან ჩავალთ.

ჭიდაობა

# ასრულდა: გუნდი სრულია

ახლახან უფროსი ასაკის თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეებმა ევროპის ჩემპიონატები მოილიეს. ახლა ჯერი უმცროსებზეა. ხვალიდან ბუდაპეშტში საევროპო ესტაფეტას ახალგაზრდა „ბერძენ-რომაელები“ ჩაიბარებენ. დუნაისპირა ქალაქში ჩვენი ნაკრებიც იასპარეზებს, თანაც, სრული გუნდით. მწვრთნელებმა — ვლადიმერ ადეიშვილმა და დავით დავითაიამ უნგრეთში წაიყვანეს გიორგი ტაბატაძე (50), ირაკლი ჭოჭუა (54), მიხეილ ზავრაშვილი (58), ივანე ჩუბინიძე (63), ალექსანდრე დოხტურიშვილი (69), ბადრი ხასაია (76), გიორგი რურუა (85), ილია ლეჟავა (97), გიორგი წურწუმია (მძიმე).

ბუდაპეშტში სრული გუნდით გამგზავრებას მწვრთნელები სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე ლერი ხაბელოვს უმადლიან.

ამ მნიშვნელოვანი ტურნირისთვის ახალგაზრდების სამზადისი ორად ორი შეკრებით ამოიწურა. აქედანაც ერთი მთლიანად თბილისის სპორტის სამმართველოს უფროსის, ვლადიმერ კანკავას დამსახურებაა. ფიზმომზადებისთვის განკუთვნილი პირველი შეკრება მთლიანად მან დააფინანსა. თუ რამდენს ნიშნავს მოჭიდავისთვის კარგი ფიზიკური მომზადება, ეს განვლილმა ევროპის ჩემპიონატებმაც დაგვანახა.

მწვრთნელებმა გუნდი საქართველოს ჩემპიონატის შედეგების მიხედვით დააკომპლექტეს. ჭოჭუას გარდა ნაკრების ყველა წევრი საქართველოს ჩემპიონია. რაც შეეხება ჭოჭუას, მან, ტრავმამოშუშებულმა და წონამომატებულმა, საქართველოს პირველობაზე 58-ში იჭიდავა. იქ კი მხოლოდ ფინალში დამარცხდა. ის გუნდის გამოცდილი წევრი და შარშანდელი ევროპის ჩემპიონატის მესამეადგილოსანია. ამიტომ მწვრთნელები წლეულსაც ენდნენ. გამოცდილება არც სხვებს აკლიათ. გუნდში დებიუტანტი მხოლოდ ტაბატაძეა, სხვები კი შარშან უკლებლივ მონაწილეობდნენ ახალგაზრდების ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე. ხასაია მსოფლიოს პირველობის მესამე პრიზიორია, ხოლო სამი — ჩუბინიძე, ლეჟავა, რურუა — სულაც მსოფლიოს შარშანდელი ჩემპიონია, ოღონდ ჭაბუკებში. წლეულს მათ საქართველოს ახალგაზრდული პირველობა მოიგეს და უფროსთა ჩემპიონატშიც სცადეს ძალა, სადაც რურუამ ვერცხლი მოიპოვა.

ასეთი გუნდის პატრონი იმედიანად უნდა იყოს, თუმცა ადეიშვილი ევროპას მაინც მსოფლიოსთვის მოსამზადებელ ეტაპად განიხილავს. მწვრთნელს არც საფიქრალი აკლია. მაგალითად, ხასაიას წელის ტრავმა. ამ ბიჭს კი მწვრთნელი ძალიან ენდობა და გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც თვლის. შარშანდელ ევროპაზე ბადრიმ მეოთხე ადგილი დაიკავა, თბილისში ჩამოსული ადეიშვილი კი გადაჭრით ამტკიცებდა, ეგ ბიჭი მსოფლიოზე სამეულში აუცილებლად შევაო. ყველაფერი ასე აგსრულებოდეთ — ეგვიპტეში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ხასაიამ ბრინჯაო დაისაკუთრა.

ვლადიმერ ადეიშვილს სჯერა თავისი გუნდისა. მისი აზრით, თუ ამ ბიჭებს ყურადღებას მიაქცევენ მომავალ ოლიმპიურ ციკლში და სპორტში დასარჩენ პირობებს შეუქმნიან, ისინი 2004 წლის ოლიმპიადაზე მოწინავეებს ღირსეულად შეებრძოლებიან.

**ირაკლი თავაძე**

თურქეთში, ჭაბუკთა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირში, საქართველოს ბერძნულ-რომაული სტილით მოჭიდავეთა ნაკრებმა წარმატებით იასპარეზა და შინ ხელდამშვენებულიც დაბრუნდა. ჩემპიონები გახდნენ ალექსანდრე ტაბატაძე (42), პაატა ბიწაძე (54) და პაპუნა დოჩია (58). მეორე ადგილზე გავიდნენ ელიზბარ მაჭუტაძე (63), მამუკა ხეშიაშვილი (69), პეტრე მეტრეველი (76), პაატა ზაქარაძე (85) და რამაზ დევაძე (100). ბრინჯაოს მედალი მოიპოვა შალვა გადაბაძემ (69).

საქართველოს ნაკრები გუნდურ ჩათვლაში მასპინძლების მერე მეორე იყო.

ჰოკეი

**ბუფალო სეიბრსი**

ნჰლ-შია 1970 წლიდან

პლეი ოფში 23-ჯერ მონაწილეობდა

ორჯერ (1975, 1999) თასის ფინალში, ორჯერაც (1980, 1998) ნახევარფინალში გავიდა

**დალას სტარსი**

ნჰლ-შია 1967 წლიდან (ჯერ მინესოტა ერქვა)

პლეი ოფში 22-ჯერ მონაწილეობდა

სამჯერ (1981, 1991, 1999) თასის ფინალში, ხუთჯერ კი (1968, 1971, 1980, 1984, 1998) ნახევარფინალში გავიდა

1998-99 წლების სეზონში: +1=0-1

პლეი ოფში ორჯერ შეხვდრიან ერთმანეთს — თითო-თითო მოგება.

ფინალური სერია

8, 10, 12, 15, 17, 19 და 22 ივნისს (ბოლო სამი თამაში აუცილებლობის შემთხვევაში)

# ტეხასურ კისერს შეიძლება ხმალიც შეატყდეს

## მეკარეები

ვინ იცის, იქნებ მსოფლიოში საუკეთესო მეკარე დომინიკ ჰაშეკისთვის ეს თასის მოგების ბოლო შანსიც იყოს. ეს ერთადერთი მწვერვალია, რომელიც 33 წლის „დომინატორს“ ჯერ არ დაუპყრია. პარტნიორთა ძალისხმევის წყალობით იგი წინა სერიებში ბოლომდე არ დახარჯულა და დალასთან პაექრობას თავშენახული, ტრავმამოშუშებული და სრულ ჯანზე მყოფი ხვდება. ყველაფერ ამის გათვალისწინებით, ჰაშეკისგან ბრწყინვალე თამაშს უნდა ველოდეთ. ჩეხის გვერდით დალასელი ედ ბელფორი აშკარად იჩრდილება. წინა მატჩებში, როცა მეტოქე ახერხებდა მისი კარისკენ დარტყმების განხორციელებას, „არწივს“ (ბელფორის მეტსახელია) ხშირად ეკვეცებოდა ფრთები.

## მცველები

მაგრამ საქმე ისაა, რომ ბელფორის მაქსიმალურად დატვირთვა. დალასელ მცველთა ექვსეული წლეულს უეჭველად საუკეთესოა ლიგაში და დარტყმების გაუვნებლებაში ბადალი არ ჰყავს. კოლორადოელი ოსტატებიც კი დაუბნევია „ვარსკვლავთა“ დაცვის შეუვალობას. მაშინაც კი, როცა უკანა ხაზის ლიდერმა, დერიან ჰეჩერმა დისკვალიფიკაციის გამო 5 მატჩი გამოტოვა, ედმონტონმა ამისგან ვერანაირი ხეირი ვერ ნახა.

დალასის გამოცდილ მცველებთან შედარებით ბუფალოს უკანახაზელები ყოყლოჩინა ბიჭუნებს მოგვაგონებენ, მაგრამ მწვრთნელმა ლინდი რაფმა ისინი მკაცრი დისციპლინით მოარჯულა და ახლა ჯეისონ ვუდი (13 (3+10) ქულით ბუფალოს საუკეთესო ბომბარდირია) და ალექსეი ჟიტნიკი (4+8) თავდამსხმელებსაც ჩინებულად ეხმარებიან.

## თავდასხმა

ორივე გუნდი გამოირჩევა იმით, რომ ოთხივე სამეულს თავისი წვლილი შეაქვს საერთო საქმეში. და მაინც, არც ერთს ჰყავს აშკარად გამოკვეთილი ლიდერთა ტრიო. ასე რომ, ნებისმიერ მოთამაშეს თუ რგოლს შეუძლია, „გაისროლოს“ ერთ ან ორ მატჩში. ბუფალო ჩემპიონატში დიდი შედეგიანობით არ გამორჩეულა, მაგრამ პლეი ოფში გარდაიქმნა და სწრაფად, აგრესიულად ათამაშდა. გუნდის მთავარი იარაღი კონტრშეტევებია, რომელთა დროსაც „ხმლების“ ცქვიტი ფორვარდები ჯეფ სანდერსონი, დიქსონ უორდი (6 გოლი) და კერტის ბრაუნი (7+5) მეტოქეებს დიდ ხიფათს უქმნიან. ტრავმამოშუშებულ მიროსლავ შატანის დაბრუნებამ ბუფალო კიდევ უფრო გააძლიერა, ხოლო მაიკ პეკა, რომელსაც ჩინებულად ეხერხება მოწინააღმდეგეთა საუკეთესო თავდამსხმელების გაუვნებლება (რაც პლეი ოფშიც დაამტკიცა), ნამდვილ ლიდერად და საკმაოდ კარგ გამთამაშებლად მოგვევლინა.

დალასის საუცხოო თავდამსხმელები დაცვასაც ჩინებულად ეხმარებიან. როცა ხედავ, თუ როგორ იხევს უკან ბრეტ ჰალი, ან როგორ ებრძვის მაიკ მოდანო (5+11) საკუთარი კარის წინ მეტოქეს, ხვდები, რატომ არის უაღრესად ძნელი ედ ბელფორის კარში ორზე მეტი შაიბის შეგდება. ამასთან დაცვაზე მზრუნველ დალასელ ფორვარდებს სულაც არ „დაბლაგვებიათ“ თავიანთი საუკეთესო თვისებები. პირველი ორი, შესაბამისად, მოდანოსა და ჯო ნუინდაიკის (9+9) სამეული, უფრო ხშირად გამოირჩევა (ნუინდაიკისა და ჯემი ლანგებრუნერის დუეტი ვერავინ შეაჩერა), თუმცა კოლორადოსთან შეხვედრაში მესამე ტრიოს წევრის, მაიკ კინის ორი გოლი აღმოჩნდა გადამწყვეტი.

## ბუფალომ უკვე აჯობა. ჯერ მხოლოდ საკუთარ თავს

ერთი შეხედვით უპირატესობა დალასის მხარეზეა. მას ლიგაში ყველაზე „მომთმენი“ კლუბის რეპუტაცია აქვს. „ვარსკვლავები“ დაწინაურების შემდეგ მეტოქეს უსაფრდებიან და მშვიდად ელიან მის შეცდომებს, რომლებსაც მერე უმოწყალოდ იყენებენ. გუნდი გამოცდილი ვეტერანებისა და ძალების გაფურჩქვნის ხანაში მყოფი ახალგაზრდების ნაზავია. ისიც აღსანიშნავია, რომ დალასის რვა მოთამაშეს სხვადასხვა გუნდში სტენლის თასი მოუპოვებია. მათგან 39 წლის გი კარბონო გამოირჩევა, რომელმაც ეს წარმატება ორჯერ იზეიმა, ერთხელ — შორეულ 1986 წელს მონრეალში. „ვარსკვლავებისგან“ განსხვავებით, „ხმლებს“ თასის არც ერთი მფლობელი არ ჰყავთ, 6 ჰოკეისტს მხოლოდ ფინალში უასპარეზია. ტეხასელთა უმეტესობას, შესაძლოა, საბოლოოდ ეძლევა ჰოკეიში უმაღლესი მწვერვალის დაპყრობის შანსი და იგი უცილობლად უნდა გამოიყენონ, რადგან ამით კლუბში თავიანთი მომავალიც უნდა განსაზღვრონ.

ბუფალოელებს ძალიან გაუჭირდებათ იმის გადაწყვეტა, დალასელთა ორი შესანიშნავი ცენტრფორვარდის — მოდანოსა და ნუინდაიკისგან რომლის განეიტრალება მიანდონ მაიკ პეკას. აქამდე ხომ იგი მხოლოდ ერთ-ერთ გამთამაშებელს უპირისპირდებოდა. ამას დაუმატეთ მაღალი დონის მოთამაშეებით თანაბრად დაკომპლექტებული „ვარსკვლავთა“ შემადგენლობა და ფორვარდების ჩინებული გარჯა დაცვაში და ნათელი გახდება, რომ მათ, ფაქტობრივად, სუსტი მხარეები არ მოეძებნებათ. თუმცა, თავის მხრივ, ბუფალოსაც აქვს პლუსები.

ჯერ ერთი, გუნდს ფინალამდე რვადღიანი დასვენების საშუალება მიეცა. ჯერჯერობით ამ პლეი ოფში ბუფალოს არც ერთი საშინაო მატჩი არ წაუგია. გარდა ამისა, ბრწყინვალედ თამაშობენ რიცხვმრავლობის ბრიგადები — ისინი ყოველ შეხვედრაში შესაძლებლობების 23,6 პროცენტს იყენებენ და აქამდე ჩატარებული 15 შეხვედრიდან მხოლოდ ერთში ვერ გამოიჩინეს თავი. დალასისგან განსხვავებით, რომლისგან თავიდანვე გამარჯვებას ელიან, ბუფალომ უკვე აჯობა თავის თავს, ასე რომ, ფსიქოლოგიურადაც უფრო მშვიდად უნდა იყოს. ერთადერთი ნაკლი, ალბათ, გამოუცდელობა გახლავთ.

## პროგნოზი

თუ დომინიკ ჰაშეკი ჩვეულ დონეზე ჩაატარებს მთელ სერიას, ბუფალო კი პირველი ორი მატჩიდან, რომლებიც დალასში გაიმართება, ერთში მაინც წაართმევს მასპინძლებს გამარჯვებას, „ხმლებს“ გარკვეული შანსი ექნებათ. დალასს მოსაგებად 6 შეხვედრა უნდა ეყოს.

**სამველ ლარიბიანი**



სტენლის თასი ის ერთადერთი მწვერვალია, ბუფალოელთა მსოფლიოში საუკეთესო მეკარეს

დომინიკ ჰაშეკს

ჯერ რომ არ დაუპყრია და ამიტომაც მისგან ბრწყინვალე თამაშს ელიან. დალასში კი მრავლად არიან ჩინებული ოსტატები, ისეთები, როგორიც ცნობილი თავდამსხმელი

ბრეტ ჰალია





REUTERS ქაიროდან

# ფარაონებთან

ესპანელი ხელბურთელები ფარაონთა საძვალეებთან იწონებენ თავს. ეგვიპტეში ბევრი რამ არის სანახავი. ეგვიპტეში ცხელა. ქაირო კი აფრიკის ისტორიაში პირველად მასპინძლობს ხელბურთელთა მსოფლიოს ჩემპიონატს. მსოფლიო ხელბურთელთა მეთექვსმეტე შეჯიბრი ამავდროულად პირველია, მეხუთე კონტინენტი რომ დაუპყრია.

# შიშველი გადარეული

*აი, რა ხდება მექსიკის ქალაქ ტოლუკას სტადიონ „ბომბონიერაზე“: „ტოლუკელ“ სერბს დარკო ვუკიჩს არავინ აცლის მატჩისშემდგომი პენალტების სერიაში იღბლიანი დარტყმის თავისებურ ზეიმს. გოლი არ ითვლება. ფეხბურთელის მაისურა გაუხდია და სიხარული ასე გამოუხატავს. ამის გამო კი მსაჯი გაბრაზებულა. მაგრამ სამართალი პურსა სჭამს, იმავ პენალტების სერიაში „ტოლუკა“ ამარცხებს გვადალახარას „ატლასს“ და ზედიზედ მეორედ ხდება მექსიკის საგაზაფხულო ლიგის ჩემპიონი.*



REUTERS მეხიკოდან

# ტაილანდელი მათე-ბიჭი



REUTERS ტოკიოდან

ეს მოხდენილი ტაილანდელი გოგონა, სულაც არ არის გოგონა. უფრო მეტიც, ის ბიჭია და თანაც მეტად მძიმე ხელობისა. რალა დაგიმალოთ და ბიჭუნას პარინია კიატპურბაბა ჰქვია, ტრანვესტიტია და თანაც კიკბოქსინგს მისდევს. ახლა ტოკიოს ქუჩებში დასეირნობს და იაპონელ ჰიროიუკი დოისთან საბრძოლველად ემზადება. იაპონელ ჟურნალისტებს კი ეუბნება, ამ ბრძოლასაც მოვითავებ და საოპერაციო მაგიდაზე დავწვები სქესის შესაცვლელად. ველარ გაიგეთ, გოგო ვარ და ბიჭად დავიბადე, ეს შეცდომა კი უნდა გამოვასწოროო.



## EURO 2000 ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი

VIII ჯგუფი

**იუგოსლავია 4:1 მალტა**

0:1 სალიბა (6), 1:1 მიატოვიჩი (34), 2:1 მილოშევიჩი (48), 3:1 კოვაჩევიჩი (74), 4:1 მილოშევიჩი (90)

იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, ჯოროვიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, საველიჩი, ნადი (მილოშევიჩი 46), მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი, სტოიკოვიჩი (დრულოვიჩი 77), დ. სტანკოვიჩი (გროზდიჩი 63)

მალტა: ბარი, კეტკუტი, ბუჰაჯიარი (კუტაიარი 80), საიდი, დებონო, რუტიგი, კ. ბუზუტილი, სალიბა, კარაბოტი, კამილერი (ბრინკატი 64), ნვოკო (სულთანა 83)

## ესპანეთი

თასის ნახევარფინალი

პირველი მატჩი

**ატლეტიკო 0:0 დეპორტივო**

## შვედეთი

IX ტური

**აიკ 2:0 გიოტებორგი**

**ფრიოლუნდა 1:1 ჰამარბი**

## ამხანაგური მატჩი

**ბრაზილია 3:1 ჰოლანდია**

1:0 ამოროზო (16), 2:0, 3:0 ლეონარდო (38, 42), 3:1 ვან ჰუიდონკი (80)

# არა მხოლოდ ჯარითა

*ნეტავ მათ, ვისაც გოლფის თამაში იმგვარად შეუძლიათ, რომ პრიზები მოიგონ! ჯული ინქსტერს ამაყად უპყრია თასი. სწორედ ამ ქალმა მოიგო ამერიკის ღია პირველობა ვესტ პოინტში, მისისიპის შტატში. აქამდე ვესტ პოინტი მხოლოდ განთქმული საოფიცრო სასწავლების ალაგი გვეგონა. აწი გვეცოდინება, რომ იქ გოლფის მშვენიერი მინდვრებია.*



# ბელმონტ სტეიკთან ლიმნისფერი პაწაწა წვეთი

ამერიკა ცხენოსნობის ქვეყანაცაა. აბა ვის არ სმენია კენტუკის დიდი რბოლის შესახებ? თუმცა, არანაკლებია ბელმონტ სტეიკის შეჯიბრიც, რომელშიაც გასულ უქმეებზე „ლემონ დროფ კიდმა“ — (პაწაწა ლიმონის წვეთიო, თუ რალაც ასეთი) და მისმა მხედარმა ჟოზე სანტოსმა იმარჯვეს. სანტოსი ზეიმობს, „ლემონ დროფ კიდი“ კი სახელოვანი ტაიჭი ხდება — მან ხომ თვით განთქმულ „ქარიზმატიკს“ გადაუსწრო. „ქარიზმატიკი“ კი, კენტუკის დერბისა და პრიკნესის შეჯიბრის მომგები, დრამატულად დამარცხდა. თუმცა, ფეხმოტეხილმა იმდენი კი მოახერხა, რომ მესამე ყოფილიყო.



REUTERS ბელმონტიდან

**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

**მთავარი რედაქტორი** ზურაბ ფოცხვერია
**დირექტორი** გიორგი ოქრომჭედლიძე
**რედაქტორი** თამაზ მიგრიაული
**მთავარი რედაქტორის მოადგილეები** ილია ბაბუნაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი
**ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი** ვახტანგ ბზიკაძე
**ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი** სოსო კოტორეიშვილი
**ტექნიკური რედაქტორი** გურამ ხელაშვილი
**კალათბურთის განყოფილების გამგე** მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება** კონსტანტინე გოგიშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე **უცხოური განყოფილება** ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე, ვანო ოქროპირიძე, ონისე შინჯიკაშვილი; **ინფორმაციის რედაქცია** ირაკლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პაატა თოთაძე, ლევან კელაურაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის განყოფილება** გიო აზვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ელენე გელუტაშვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი **გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29